

ლიბანის "გრძელი" არჩევნები დასრულდა

A5



"ადმინისტრაციასთან შეუთანხმებლად ციხეში ბუნტის მოწყობა შეუძლებელია"

A7



"ჰიდროპოლისი" - დუბაის წყალქვეშა სასტუმრო

B6

www.24hours.ge

# 24 საათი

ყოველდღიური

© გაზეთი 24 საათი

ორშაბათი, 20 ივნისი, 2005 წელი. №137 (997)

ფასი 50 თეთრი

ყურადღება!

**სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს მიერ გამოცხადებულ კონკურსში, რომლითაც უნდა შერჩეულიყო ყოველდღიური გაზეთი სახელმწიფო შესყიდვების შესახებ სატენდერო განცხადებების გამოსაქვეყნებლად, გაიმარჯვა გაზეთმა "24 საათმა".**

სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის **2005 წლის 11 მაისის N3 ბრძანების** თანახმად, აღნიშნული ცვლილება შევიდა "სახელმწიფო შესყიდვების განხორციელების წესის შესახებ" დებულების დამტკიცების შესახებ" საჯარო სამართლის იურიდიული პირის - სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2001 წლის 15 ოქტომბრის №1 ბრძანებაში.

შესაბამისი ხელშეკრულებების გასაფორმებლად და სხვა დეტალების დასაზუსტებლად გთხოვთ, დაუკავშირდეთ გაზეთ "24 საათი"-ს რედაქციას:

ქ. თბილისი, ვაჟა-ფშაველას 45, მე-14 სართული.

ტელ: 202404; 202424; 200024; 8 99 220 949.

ელ-ფოსტა: tender@24hours.ge

საკონტაქტო პირი - ირაკლი ლეჟავა

## საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო

სამშაბათს, 21 ივნისს, "24 საათი" გამოაქვეყნებს **საქართველოს პროფესიული განათლების კონცეფციის პროექტს**, რომელიც შემუშავებულია განათლების სამინისტროს მიერ. ვფიქრობთ, ეს არის ძალზე მნიშვნელოვანი დოკუმენტი ჩვენი საზოგადოებრივი ცხოვრების განვითარებისთვის. ამიტომ კომპეტენტურ და დაინტერესებულ ადამიანებს ვთხოვთ, ყურადღება მიაქციონ ამ დოკუმენტს, გაზეთი კი მათ საქმიან შენიშვნებსა და წინადადებებს უყოყმანოდ დაუთმობს ადგილს.

## ამინდი

| | 19/06 | 20 /06 | 21 /06 |
|---|---|---|---|
| თბილისი | 31 | 28 | 28 |
| ტყიბული | 28 | 23 | 23 |
| სოხუმი | 27 | 21 | 21 |
| დმანისი | 27 | 22 | 22 |
| გორი | 27 | 24 | 24 |
| ონი | 22 | 22 | 20 |
| ზუგდიდი | 31 | 31 | 25 |
| ახმეტა | 30 | 30 | 28 |
| გაგრა | 21 | 19 | 19 |
| სამტრედია | 32 | 26 | 26 |

## უცხოური ვალუტის ოფიციალური კურსი ლართან მიმართებაში

| | |
|---|---|
| აშშ დოლარი | 1.8175 |
| ევრო | 2.2050 |
| ბირვანქა სტერლ. | 3.2868 |
| რუბლი | 0.0636 |


| A | | B | |
|---|---|---|---|
| ამბები | A2 | რევიუ | B2 |
| ამბები | A3 | რევიუ | B3 |
| საზოგადოება | A4 | სპორტი | B4 |
| უცხოეთი | A5 | სპორტი | B5 |
| ეკონომიკა | A6 | ქვირა | B6 |
| სამართალი | A7 | ტენდერი | B7 |
| თვალსაზრისი | A8 | სხვადასხვა | B8 |


# პრეზიდენტის პატრიოტული ვოიაჟი კახეთში

ზვიად რუაძე
*კახეთიდან*

*ოსიაურის ბანაკში, კახეთის რეგიონიდან უკვე ორი რეზერვისტთა ნაკადი მოემზადა. კახელი რეზერვისტების ასეთი აქტიურობის შემდეგ, ყვარლის რაიონის სოფელ შაქრიანთან ახალი ბანაკი გაკეთდა. ბანაკის გახსნის ცერემონიალს ქვეყნის პირველი პირი დაესწრო. პრეზიდენტს კახელებმა პომპეზური დახვედრა მოუწყვეს. ყვარლელი ბავშვის მიერ შესრულებული უკრაინული სიმღერის მოსმენა სააკაშვილმა ფეხმორთხმით ისურვა, შემდეგ კი, ჯარისკაცებთან ერთად, ძალებიც მოსინჯა. მოგვიანებით მიხეილ სააკაშვილმა ლაგოდეხში, პატრიოტულ ბანაკ "ჰერეთში", ბავშვებთან ერთად ჯერ საქართველოს ჰიმნი შეასრულა, იცეკვა, სამახსოვრო ფოტოები გადაიღო და ფეხბურთიც ითამაშა.*

ყვარლის რაიონის სოფელ შაქრიანთან კახეთში პირველი რეზერვისტთა ბანაკი გაიხსნა. აქ სამხედრო გადამზადებას მხოლოდ ამ რეგიონის რეზერვისტები გაივლიან. მთლიანობაში კი საქართველოში ეს უკვე მეთოთხმეტე ბანაკია.

გაგრძელება A2 გვერდზე



ზვიად რუაძის ფოტო

*სახელმწიფო ჰიმნი პრეზიდენტის შესრულებით*

# საკვირაო გასართობები რუსთაველის გამზირზე

თამარ ასათიანი

*"ესეც ასე, ბენდუქიძე ჩავფუშე", - აღტაცებას ვერ მალავდა ათიოდე წლის ბიჭი, რომელმაც ქართული ეკონომიკის მამას ხუთი ტყვია ზედიზედ ესროლა და არც ერთი არ აუცილებია. მოქმედება გუშინ, რუსთაველის გამზირზე ხდებოდა. ტყვიები საღებავის იყო, ხოლო სამიზნე, ანუ კახა ბენდუქიძე - დაფაზე დახატული.*

ზედიზედ მესამე კვირადღეა, ქვეყნის მთავარი გამზირი ავტოტრანსპორტისთვის გადაკეტილია. ჯებირები ცენტრალურ ფოსტასთან, უფრო ზუსტად კი, ე.წ. შევარდნაძის ხესთანაა აღმართული. სწორედ ამ ადგილიდან ეკრძალება ავტოტრანსპორტს რუსთაველის გამზირზე გადაადგილება.

სროლის მოყვარულებს კი უკვე აქედან შეუძლიათ საკუთარი შესაძლებლობების გამოცდა. რესტორან "მარკო პოლოსთან" პენტბოლის კლუბის მესვეურებმა ყველაფერი გააკეთეს, რათა ცალკე ცნობისმოყვარე საზოგადოების ინტერესი დაეკმაყოფილებინათ, ცალკე საკუთარი ბიზნესის პროპაგანდა გაეწიათ. მით უფრო, რომ აქტიური გართობის ეს სახეობა საქართველოსთვის ჯერ ისევ უცხო ხილია.

გუშინ ექსპერიმენტმა აშკარად გაამართლა (შესაძლოა, იმიტომ, რომ სამიზნედ ქართველი პოლიტიკოსები იყვნენ შერჩეულები). ერთი ტყვიის ფასი - 50 თეთრი, არავის ეძვირა, ამიტომაც ცოცხალი რიგი საღამომდე არ შეთხელებულა. კახა ბენდუქიძისთვის, ზურაბ ჭიაბერაშვილისთვის, დავით გამყრელიძესა და შალვა ნათელაშვილსთვის ტყვიები არავის დანანებია. თუმცა, ყველაზე მეტი მაინც კახა ბენდუქიძეს მოხვდა. "სნაიპერებისათვის" რიგით მეორე სასურველი სამიზნე თბილისის მერი აღმოჩნდა. მას "რეიტინგით" ოდნავ ჩამორჩა ქართველი მშრომელების ბელადი, ლეიბორისტული პარტიის ლიდერი შალვა ნათელაშვილი. დავით გამყრელიძე კი სერიოზულ მოწინააღმდეგედ შედარებით ცოტა "სნაიპერმა" მიიჩნია.

გაგრძელება A4 გვერდზე



ბესო გულაშვილის ფოტო

*გუშინ რუსთაველზე ბავშვები ყველაზე მეტად პოლიტიკოსების დაცხრილვით ხალისობდნენ.*

# ლიბერალურ ღირებულებათა სისტემა, თუ "კონტროლირებადი დემოკრატია"

გურამ მაღლაკელიძე

"მინდა გითხრათ, რომ არა მარტო ჩვენი სამშობლოს წინაშე, არამედ მთელ მსოფლიოში დემოკრატიის გავრცელების საქმეში თითოეულ ჩვენთაგანს აკისრია პასუხისმგებლობა";

"ახლა საქართველო დიდების ზენიტშია... მე დარწმუნებული ვიყავი ყოველთვის, რომ საქართველოს სულიერი მისია იყო... განსაკუთრებული მისია დღევანდელი და საერთოდ მსოფლიო ისტორიაში. აი, ახლა დადგა ამ სულიერი მისიის შესრულების დრო, ამიტომ ჩვენ არ გვაქვს უფლება, დავმარცხდეთ მთელი მსოფლიოსა და კაცობრიობის წინაშე. ამაში ვარ აბსოლუტურად დარწმუნებული";

"ჩვენ ვცხოვრობთ მნიშვნელოვან ისტორიულ დროში. საქართველოს "ვარდების რევოლუციამ" საფუძველი დაუდო ევროპის გათავისუფლების ახალ ტალღას".

მკითხველი, რომელიც ყურადღებით ადევნებს თვალს მიმდინარე პოლიტიკურ მოვლენებს, რასაკვირველია, მიხვდა, რომ ეს ფრაზები საქართველოს პრეზიდენტს ბატონ მიხეილ სააკაშვილს ეკუთვნის. როდესაც სახელმწიფოს მეთაური, რომელმაც კარგად იცის, რომ "ქვეყნის პატარა ზომის მიუხედავად და იმის მიუხედავად, რომ მოსახლეობის ძალიან დიდმა ნაწილმა დატოვა ბოლო წლებში ქვეყანა", რომ ეთნოკონფლიქტების დარეგულირების და ქვეყნის ერთიანობის აღდგენისათვის მხოლოდ პირველი ნაბიჯები კეთდება, არ არის მიღწეული ეკონომიკური მდგრადობა, ხოლო დემოკრატიული ინსტიტუტები საკმაოდ სუსტია და ჯერ კიდევ ჩანასახის სახითაა წარმოდგენილი, ხმამაღლა აცხადებს, რომ დადგა დრო, საქართველომ განსაკუთრებული სულიერი მისია შეასრულოს მსოფლიო ისტორიაში. ძალაუნებურად ჩნდება კითხვა - ხომ არ არის ეს საკუთარი და ქვეყნის რეალური შესაძლებლობების გადაჭარბებული შეფასება?

გაგრძელება A3 გვერდზე

# სახალხო დამცველთან ამოქმედდა რელიგიათა საბჭო

ერთი თვის წინ წინ სახალსო დამცველის ოფისში შეიკრიბნენ საქართველოში არსებული სხვადასხვა ეკლესიებისა და რელიგიური გაერთიანებების წარმომადგენლები, რომლებიც გამოეხმაურნენ სახალხო დამცველის ინიციატივას რელიგიათა საბჭოს შექმნის შესახებ, ხოლო 16 ივნისს სახალხო დამცველის ოფისში გაიმართა საბჭოს დაფუძნებელი სხდომა. სხდომას უძღვებოდა სახალხო დამცველი სოზარ სუბარი. საბჭო მიესალმა საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, უწმიდესისა და უნეტარესის ილია მეორის ინიციატივას სახელმწიფო აღმშენებლობის სფეროში რელიგიების კოორდინირებული მოქმედებების შესახებ. აღინიშნა, რომ საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის მხრიდან ეს არის უპრეცედენტო და რევოლუციური ნაბიჯი და გამოითქვა მჭიდრო თანამშრომლობის სურვილი.

მონაწილეები შეთანხმდნენ, რომ სახალხო დამცველთან არსებული საბჭოს საქმიანობის უმთავრესი მიზანი ადამიანის უფლებების ეფექტური დაცვა, ტოლერანტული სულისკვეთების გაღვივება, სამოქალაქო ინტეგრაციის პროცესში აქტიური მონაწილეობა, სოციალური, ჰუმანიტარული და ეკოლოგიური საქმიანობის კოორდინირებული წარმართვა იქნება.

საბჭომ შეიმუშავა მემორანდუმის ტექსტი და საქმიანობის ძირითადი პრინციპები, რომლის საფუძველზე საბჭო მიიღებს წესდებას. საბჭომ აირჩია მდივანი - ელენი ნოდია. იგი კოორდინირებას გაუწევს საბჭოს საქმიანობას.

გაგრძელება A3 გვერდზე

# საქართველოს მაკროეკონომიკური სტაბილურობის წინაშე არსებული რისკი

რობერტ ე. კრისტიანსენი
საერთაშორისო სავალუტო ფონდის მუდმივი წარმომადგენელი საქართველოში.

ახლახან საქართველოს მთავრობამ სსფ-ს დელეგაციასთან მიაღწია შეთანხმებას 2005 წლის ეკონომიკური პროგრამის შესახებ. სსფ-ს აღმასრულებელი საბჭოს მიერ შეთანხმების დამტკიცების შემთხვევაში, საქართველო მიიღებს 20 მილიონ აშშ დოლარს. ეს შეთანხმება, ნაწილობრივ, ბოლო 18 თვის განმავლობაში ქვეყნის ეკონომიკური მიღწევების შედეგია.

მომავალი თვეების საბიუჯეტო პოლიტიკის ძირითადად მიმართულებას ხარჯების ზრდა წარმოადგენს, რომელთა დაფინანსებაც მოხდება ისეთი სახელმწიფო საწარმოების პრივატიზაციისაგან მიღებული შემოსავლებით, როგორიცაა საოკეანო სანაოსნო და ჭიათურა-ვარციხე. პარლამენტის მიერ დამტკიცებული ბიუჯეტის თანახმად, ხარჯები მიმართული იქნება ინფრასტრუქტურის (უმეტესწილად გზების) რეაბილიტაციაზე, ენერგეტიკული სექტორის გაძლიერებასა და ქვეყნის თავდაცვითი სიმძლავრეების განვითარებაზე. ეს ხარჯები წარმოადგენს დემოკრატიულად არჩეული მთავრობის პრიორიტეტებს და შეესაბამება ეკონომიკის საწარმოო პოტენციალის გაფართოების საჭიროებას.

სსფ-ს მისიასა და საქართველოს მთავრობის წევრებს შორის მოლაპარაკებების ძირიდად თემას წარმოადგენდა დაგეგმილი ხარჯების მაკროეკონომიკური შედეგების ანალიზი. საყურადღებოა, რომ ხარჯების დაგეგმილი ზრდა გამოიწვევს დიდი რაოდენობით ლარის ინექციას ეკონომიკაში. 2005 წელს ჩვენ ვვარაუდობთ, რომ ლარის მოცულობა ეკონომიკაში (სარეზერვო ფული) გაიზრდება 217 მილიონით. ეს შეესაბამება 2005 წლის ინფლაციის პროგნოზს - დაახლოებით 7 პროცენტი პერიოდის ბოლოსათვის. ეკონომიკაში ლარის დამატებით მიწოდებამ შეიძლება გამოიწვიოს ინფლაციის მნიშვნელოვანი ზრდა 2005 წელს.

ეკონომიკაში ლარის მოცულობის რეგულირების უმთავრესი პასუხისმგებლობა ეკისრება საქართველოს ეროვნულ ბანკს, თუმცა სებ-ის მიერ ლარის მოცულობის კონტროლის შესაძლებლობა შეზღუდულია. ამ მიზნით სებ-ის უმთავრეს ინსტრუმენტს წარმოადგენს უცხოური ვალუტის ყიდვა-გაყიდვა. მაგალითად, საქართველოს ეროვნული ბანკი კომერციული ბანკებისაგან უცხოური ვალუტის შესყიდვის დროს იხდის ლარს. ეს ფინანსური ოპერაცია ზრდის ლარის მარაგს და შესაბამისად - ინფლაციურ ზეწოლასაც. ამავდროულად, უცხოური ვალუტის გაყიდვა ლარის გამყარებას უშლის ხელს.

მაშასადამე, ეროვნული ბანკი დილემის წინაშეა. თუ მთავრობის მიერ გაწეული ხარჯები სარეზერვო ფულის გადაჭარბებულ ზრდას იწვევს, შედეგად მივიღებთ ან მზარდ ინფლაციას ან ლარის შემდგომ გამყარებას. ორივე შედეგს შეუძლია ქვეყნის მაკროეკონომიკური სტაბილურობა საფრთხის ქვეშ დააყენოს. საქართველოს კარგად ესმის, რომ ინფლაცია მოსახლეობას გადასახადის სახით აწევს და ამცირებს მათ შემოსავლებს. იმავდროოულად, როგორც ინფლაცია, ასევე ლარის გამყარება, ამცირებს ქართული საექსპორტო საქონლის კონკურენტუნარიანობას.

სსფ-ს მისიასთან მიღწეული მოლაპარაკების თანახმად, მთავრობამ აღიარა მოსალოდნელი რისკი და დაადასტურა მზადყოფნა, შეინარჩუნოს ქვეყანაში მაკროეკონომიკური სტაბილურობა და უზრუნველყოს ინფლაციის ერთნიშნულიანი დონე (10 პროცენტამდე). ჩვენი აზრით, თუ ინფლაცია გაიზრდება, საჭირო გახდება რიგი დაგეგმილი ხარჯების გადავადება, ასეთი ქმედების პოლიტიკური არაპოპულარობის მიუხედავად. ამავდროულად, საქართველოს ეროვნული ბანკი უნდა მოემზადოს მოქნილი გაცვლითი კურსის ხელშესაწყობად, რათა მინიმუმამდე დაიყვანოს ინფლაციური ზეწოლა.

შ.პ.ს."აჭარის ენერგოკომპანია" , ფილიალების ლიკვიდაციასთან დაკავშირებით, აცხადებს აუდიტორული ფირმების შესარჩევ კონკურსს: კომპანიას ესაჭიროება ფილიალების სალიკვიდაციო ბალანსების შედგენა(კომპილაცია).
dato.gogichaishvili@aec.ge

საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროსა და მის დაქვემდებარებაში მყოფი სტრუქტურული ქვედანაყოფების თანამშრომელთა მხრიდან თქვენი უფლების შელახვის ან კანონსაწინააღმდეგო ქმედებათა შემთხვევაში დაგვიკავშირდით სოფლის მეურნეობის სამინისტროს ცხელ ხაზზე:
98-57-81

"საერთაშორისო იურიდიული ოფისი გაპი" აფუძნებს ფილიალს ქ. ბათუმში და აცხადებს კონკურსს ფილიალის მენეჯერისა და ადვოკატის თანამდებობებზე.
პირობები:
1. უმაღლესი იურიდიული განათლება;
2. ადვოკატის სერტიფიკატი;
3. ავტობიოგრაფია (CV);
4. ასაკი 27 წლამდე;
5. დახასიათება უმაღლესი სასწავლებლიდან ან ბოლო სამუშაო ადგილიდან;
6. ერთ-ერთი უცხო ენის ცოდნა.
საბუთების შემოტანის ვადაა 2005 წლის 15 ივნისამდე შემდეგ მისამართზე: ქ.თბილისი, წერეთლის გამზ.: N77 "საერთაშორისო იურიდიული ოფისი გაპი". ტ. 34 76 58

# პრეზიდენტის პატრიოტული ვოიაჟი კახეთში

პირველი გვერდიდან

**"ეს ადამიანები სამოქალაქო ხელისუფლების მხარდამჭერები არიან. ისინი ჩართულები იქნებიან კრიზისების და სხვადასხვა შემთხვევების დროს შექმნილი პრობლემების მოგვარებაში. თუ აუცილებლობა მოითხოვს, იქნება სამხედრო მომზადებაც,"** - განაცხადა საქართველოს შეიარაღებული ძალების გენერალური შტაბის უფროსმა ლევან ნიკოლეიშვილმა.

რეზერვისტთა მომზადების გეგმა გენერალურ შტაბშია შემუშავებული, ხოლო ბანაკის ადგილი თავდაცვის სამინისტრომ შეარჩია. პრეზიდენტის რწმუნებული კახეთის რეგიონში პეტრე ცისკარიშვილი აღნიშნავს, რომ აქ მომზადებისთვის ყველა აუცილებელი პირობაა შექმნილი

**"ფაქტობრივად ყველაფერი ათ დღეში გაკეთდა, დანარჩენ პრობლემებს მალე მოვაგვარებთ,"** - ამბობს პეტე ცისკარიშვილი.



პატრიოტულ ბანაკში პრეზიდენტი კარგად გაერთო.

პრაქტიკულთან ერთად, რეზერვისტები თეორიულ ცოდნასაც მიიღებენ. მათ მომზადებაში მონაწილეობენ ამერიკელი ინსტრუქტორები, რომლებმაც პროგრამაში რამდენიმე ცვლილება შიტანეს. სამკვიარიანი სწავლების შეემდეგ, კახელი რეზერვისტები ამერიკელ ინსტრუქტორებთან ორკვირიან გადამზადებას გაივლიან.

რეზერვისტებში თითქმის ყველა პროფესიის ადამიანია. მათ შორის არიან დალაქებიც, რომლებიც პროფესიულ საქმიანობას ჯარშიც გააგრძელებენ. რეგიონის ჯანდაცვის სამსახურების თანამშრომლებს კი ბრძოლის ველზე პირველადი დახმარების აღმოჩენას შეასწავლიან. გარდა ამისა, ისინი ბანაკში სანიტარულ მდგომარეობასაც შეამოწმებენ.

პრეზიდენტი რეზერვისტების მომზადებას და გადამზადებას მნიშვნელოვანს უწოდებს. მისი თქმით, ასეთი ქვედანაყოფები მხედრულ სულისკვეთებას აამაღლებენ.

**"მე გარწმუნებთ, გაძლევთ სიტყვას, რომ გავა ათწლეულები და თქვენი შვილები და შვილიშვილები იამაყებენ იმით, რომ თქვენ იყავით რეზერვისტთა მოძრაობის წევრები. ეს ბანაკები კი ქართულ სახელმწიფოს გააძლიერებს და დაჩოქილი მდგომარეობიდან გამოიყვანს საქართველოს,"** - განაცხადა პრეზიდენტმა. ამის შემდეგ პრეზიდენტმა ბანაკში გამართულ ღონისძიებებში მიიღო მონაწილეობა. მიხეილ სააკაშვილმა თავდაპირველად რეზერვისტებთან ერთად ძალები მოსინჯა, შემდეგ კი ყვარლელი ბავშვის მიერ შესრულებული უკრაინული სიმღერა მოისმინა.

ამის შემდეგ ქვეყნის პირველი პირი ლაგოდეხში პატრიოტულ ბანაკ "ჰერეთს" ესტუმრა. ბავშვებთან ერთად ქართული ჰიმნი შეასრულა, შემდეგ წაიცეკვა, ბოლოს ფეხბურთიც ითამაშა და რეგიონი კმაყოფილმა დატოვა.

# "ოტსტუპნიკების" მომავალი კვლავ გაურკვეველია

*გასულ პარასკევს, პარლამენტის საგაზაფხულო სესიის ბოლო დღეს, თითქოს, წერტილი უნდა დასმოდა ე.წ "ოტსტუპნიკების" საკითხს, რომელიც უკვე რამდენიმე წელია, თბილისში სოციალური დაძაბულობის სერიოზულ კერას წარმოადგენს. თუმცა, გორდიას კვანძის გახსნა ვერ მოხერხდა: პარლამენტარებს შორის აზრთა სხვადასხვაობის გამო, "საცხოვრებელი სადგომით სარგებლობისას წარმოშობილი ურთიერთობების შესახებ" კანონში ცვლილებების შეტანა შეუძლებელი გახდა.*

დავით გიორგაძე

ბინის მესაკუთრეთა და მოსარგებლეთა შორის კონფლიქტს სათავე საკონსტიტუციო სასამართლომ დაუდო, რომელმაც პრობლემა ოფიციალურ მესაკუთრეთა სასარგებლოდ გადაწყვიტა და 2001 წელს მიღებული გადაწყვეტილებით, ბინით მოსარგებლეთა მრავალრიცხოვანი არმია კანონგარეშედ აქცია. არადა, მათი მტკიცებით, თავის დროზე, საცხოვრებელი სადგომები მათ ნაღდი ფულით საბაზრო ფასებში შეიძინეს და ისინი მხოლოდ იმიტომ ვერ დაიკანონეს, რომ ამის უფლებას საბჭოური "ჩაწერის ინსტიტუტი" არ იძლეოდა. ანუ მოხდა ისე, რომ, ერთი მხრივ, ბინის მეპატრონეებს მესაკუთრეებისგან აღებული ფულიც შერჩათ და გაყიდული ქონებაც უკან დაუბრუნდათ, მეორე მხრივ კი, მესაკუთრეებმა მართალია არაოფიციალურად, მაგრამ რეალურად შეძენილ სახლებზე ყოველგვარი უფლება დაკარგეს.

მოგვიანებით, ამ მდგომარეობის გამოსწორებას პარლამენტი შეეცადა და ხანგრძლივი მუშაობის შემდეგ, იურიდიულ საკითხთა კომიტეტში დეპუტატმა ნიკა გვარამიამ შესაბამისი კანონპროექტიც დაიწერა, რომელიც პარლამენტმა, პირველი მოსმენით, ერთსულოვნად მოიწონა.

კანონპროექტის მიხედვით, თუ მოსარგებლეს მესაკუთრესთან დადებული ჰქონდა ფორმადაუცველი ნასყიდობის ხელშეკრულება (ანუ, დოკუმენტი ნოტარიუსის მიერ არ იქნებოდა დამოწმებული), მესაკუთრეს უფლება ეძლეოდა, სათანადო კომპენსაციის (ბინის საბაზრო ღირებულების 90 პროცენტი) გადახდის შემდეგ, მოსარგებლისთვის ბინის დატოვება მოეთხოვა. ნასყიდობის ხელშეკრულების არარსებობის შემთხვევაში კი, კომპენსაციის მაჩვენებელი 80-მდე შემცირდებოდა. თუ ბინის მეპატრონე კომპენსაციის გადახდაზე უარს იტყოდა, მოსარგებლეს შეეძლო, მისთვის ბინის საბაზრო ღირებულების 10 (მეორე შემთხვევაში - 20) პროცენტი გადაეხადა და საცხოვრებელი სადგომი თავის სახელზე გადმოეფორმებინა.

კანონპროექტში მოცემული იყო, აგრეთვე, ბინის ქირის მესაკუთრისათვის გადახდის ვალდებულებაც. ქირის ოდენობა კვადრატულ მეტრზე ერთი ლარით განისაზღვრებოდა.

საკითხის ასეთმა გადაწყვეტამ ბინის მეპატრონეთა აღშფოთება გამოიწვია. ისინი თავს დაზარალებულად და დაჩაგრულად თლიდნენ. მესაკუთრეთა ინტერესების დამცველთა კონტრარგუმენტები საკმაოდ დამაჯერებელი იყო.

**"საკუთარ გულში ჩაიხედეთ: თუ ფული არ აგიღიათ და მოსარგებლეთათვის ბინები არ მიგიყიდიათ, მაშინ გამოდის, რომ უცხო ადამიანები საკუთარ სახლებში წლების განმავლობაში უანგაროდ შემოისახლეთ,"** - გაოცებით კითხულობდა საკომიტეტო მოსმენის დროს პარლამენტარი ნაზი არონია და მოითხოვდა, რომ მესაკუთრეთა თანაბრად, მოსარგებლეთა კონსტიტუციური უფლებებიც ყოფილიყო დაცული.

**"ყვავილები ხომ არ იყვნენ "ოტსტუპნიკები", თქვენს სახლებში თავისით რომ ამოსულიყვნენ?"** - მესაკუთრეთა პრეტენზიების სამართლიანობაში კანონპროექტის ავტორს ნიკა გვარამიასაც ეპარებოდა ეჭვი.

ასე იყო თუ ისე, კანონპროექტის პირველი მოსმენით მიღების შემდეგ, გვირაბის ბოლოს სინათლე გამოჩნდა: ბინით მოსარგებლეები თითქმის შეეგუენ იმ აზრს, რომ ან თავიანთ საცხოვრებელ ბინებში თავის დროზე გადახდილი თანხის 80-90 პროცენტს მიიღებდნენ, ან ბინის საბაზრო ფასის 10-20 პროცენტის ხელახლა გადახდით, ღია ცის ქვეშ არ დარჩებოდნენ. რაც შეეხება ბინის მფლობელებს, მათ ერთხელ უკვე გაყიდული ქონებიდან 10-20-პროცენტიანი დამატებითი სარგებლის მიღების შანსი ეძლეოდათ.

თუმცა, კანონპროექტის მეორე მოსმენით განხილვის დროს, მონასტერი აირია, ვინაიდან საპარლამენტო უმრავლესობის ზოგიერთი ლიდერი ბინის მფლობელთა ინტერესების გამტარებელი აღმოჩნდა. კულუარებში მათი აქტიური მუშაობის შედეგად, ბინით მოსარგებლეთა დამცველი პარლამენტარები, რომლებიც საკომიტეტო მოსმენებზე "თავს არ ზოგავდნენ", პლენარულ სხდომებზე საერთოდ დადუმდნენ.

კულუარული თამაშები იმით დასრულდა, რომ ნასყიდობის ხელშეკრულების მქონე "ოტსტუპნიკებისთვის" დადგენილი საკომპენსაციო თანხის ოდენობამ 90-დან 75 პროცენტამდე დაიწია, ხოლო ხელშეკრულების არმქონეთათვის, - 80-დან 70 პროცენტამდე. მოსარგებლეთათვის "კომპრომისი" კი იმაში გამოიხატა, რომ ერთ კვადრატულ მეტრზე ბინის ქირის ოდენობა ერთი ლარიდან 50 თეთრამდე შემცირდა.

ეს გარემოება გარკვეული მითქმა-მოთქმის საფუძველი გახდა. პარლამენტის პლენარულ სხდომაზე თავად საპარლამენტო უმრავლესობის წევრებმა გაახმოვანეს საზოგადოებაში მოარული ხმები, რომ კანონპროექტში ცვლილებების შეტანა უანგაროდ არ მომხდარა და ამით ზოგიერთმა დეპუტატმა მატერიალური სარგებელი ნახა...

მიუხედავად ამისა, ბინის მეპატრონეთა სასარგებლოდ სახეშეცვლილ დოკუმენტს პლენარულ სხდომაზე, თითქოს, დაბრკოლება არ უნდა შეხვედროდა, მაგრამ დეპუტატ შოთა მალაშხიას გამოსვლამ ბინის მესაკუთრეთა საპარლამენტო ლობისტების გეგმები ჩაშალა: მან პლენარულ სხდომაზე ააფრიალა იურიდიულ საკითხთა კომიტეტის მიერ ვიზირებული ორი დასკვნა, რომლებშიც განსხვავებული საპროცენტო განაკვეთები ფიგურირებდა. ვინაიდან მალაშხია დაჟინებით ითხოვდა, რომ ამ "გაორების" დეტალებში საპროცედურო საკითხთა კომიტეტი გარკვეულიყო, ამიტომ, სახელისუფლებო ფრაქცია "ზედმეტ შარს" მოერიდა და დოკუმენტი კენჭისყრაზე აღარ დააყენა.

"საცხოვრებელი სადგომით სარგებლობისას წარმოშობილი ურთიერთობების შესახებ" კანონში ცვლილებების შეტანის საკითხს პარლამენტი, ალბათ, რიგგარეშე სესიაზე მიუბრუნდება, რომელიც, სავარაუდოდ, მიმდინარე კვირაში გაიმართება. დრო კი არ ითმენს: 1 ივლისს იწურება მორატორიუმის ვადა, რომლის დროსაც სასამართლოებს "ოტსტუპნიკობის" წესთან დაკავშირებული საქმეების განხილვა ეკრძალებათ. ამიტომ, თუ დარჩენილ ათ დღეში საკანონმდებლო ორგანო რაიმე გადაწყვეტილებას არ მიიღებს, ეს ბინის მეპატრონეების წისქვილზე დაასხამს წყალს: ამოქმედდება საკონსტიტუციო სასამართლოს 2001 წლის გადაწყვეტილება და ათიათასობით ბინით მოსარგებლე ქუჩაში გაყრილი აღმოჩნდება.

# ფერმერთა სახლის პრეზენტაცია წნორში

ზვიად რუაძე
კახეთიდან

სოფლის მეურნეობის სამინისტრომ სიღნაღის რაიონში ფერმერთა სახლის პრეზენტაცია მოაწყო. სახლის მიზანია ფერმერული მეურნეობების პრობლემების გაანალიზება და ფერმერთა დახმარება. აქვე გაიხსნა იმ სამუშაო ტექნიკის პარკი, რომლის საშუალებით, ფერმერი მოსავალს შეღავათიან ფასში აიღებს და მიწასაც დაამუშავებს. ფერმერთა სახლის ბაზაზეა შექმნილი კომპიუტერული საინფორმაციო ცენტრი, რომელიც ქიზიყელ ფერმერებს მათთვის საინტერესო საკითხებზე ინფორმაციას მიაწვდის. ჩატარდება კონსულტაციები შხამქიმიკატების მოხმარების წესებზე და მათი შეღავათიანი ფასებით შემოტანის თაობაზე.

**"გარდა ასეთი სერვისცენტრებისა, გათვალისწინებულია სხვა სახის კომპლექსური ღონისძიებები. კერძოდ, სათესლე მასალებით, სასუქებით და შხამქიმიკატებით უზრუნველყოფა,"** - აცხადებს სოფლის მეურნეობის განვითარების დეპარტამენტის ხელმძღვანელი კოტე ხუცაიძე. მისივე თქმით, ფერმერთა სახლის ხელმძღვანელობის დახმარებით, საერთაშორისო სადაზღვევო კომპანია "ირაოს" წარმომადგენლობა საზოგადოებას ფერმერთა მეურნეობების დაკრედიტებას მოუგვარებს, ორგანიზებას გაუწევს ბანკებიდან კრედიტის აღებისა და ტექნიკის შემოტანის საკითხებს. ფერმერები მიიჩნევენ, რომ ანალოგიური სერვის-ცენტრების ჩამოყალიბება ყველა რაიონშია საჭირო **"აღნიშნული ორგანიზაციების ჩამოყალიბებით და ერთობლივი ძალისხმევით, მეტი საქმე გაკეთდება. ყველა ასეთი ღონისძიება კი მხარდაჭერას საჭიროებს ხელისუფლების მხრიდან,"** - ამბობს ფერმერი გიორგი ჭუჭულაშვილი.

ამ დროისთვის ქიზიყში ალოობა იწყება. აქაურ ფერმერს კი პრობლემა ექმნება, რადგან მოსავლის აღების მოახლოებასთან ერთად, ხორბლის ფასი კატასტროფულად ეცემა.

# ევროსაბჭო რუსეთ-საქართველოს ურთიერთობებზე იმსჯელებს

სტრასბურგში იმყოფება საქართველოს საპარლამენტო დელეგაცია, რომელიც ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეის საგაზაფხულო სესიაში მონაწილეობს. სესია 20-დან 24 ივნისამდე გასტანს და მთავარ თემებს შორის ევროსაბჭოს წინაშე რუსეთის მიერ აღებული ვალდებულებების შესრულებაც განიხილება. რასაკვირველია, შეეხებიან რუსეთ-საქართველოს ურთიერთობების დეტალებსაც.

**"მეზობელ სახელმწიფოებთან ურთიერთობაში გამოიჩინოს კონსტრუქციული მიდგომა ღია საკითხების გადაწყვეტისადმი და შეწყვიტოს ისეთი მოქმედებები, როგორიც არის, მაგალითად, ქართული რეგიონების - აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის მცხოვრებლებისათვის რუსული პასპორტების გაცემა, რამაც, შესაძლოა, პირდაპირ ან ირიბად, საფრთხე შეუქმნას ამ სახელმწიფოს სუვერენიტეტსა და ტერიტორიულ მთლიანობას"** - ასეთია რუსეთის მიმართ ევროპის საბჭოს ერთ-ერთი მკაცრი მოთხოვნა, რომელზეც საპარლამენტო ასამბლეა სტრასბურგში იმსჯელებს.

რეზოლუციის ავტორები რუსეთს, ასევე, ურჩევენ ითანამშრომლოს საქართველოს ხელისუფლებასთან, რათა ამ უკანასკნელმა შექმნას შესაბამისი პირობები თურქი-მესხების დასაბრუნებლად.

საქართველოს პარლამენტის წევრის ელენე თევდორაძის ინფორმაციით, რეზოლუციის პროექტში ასახულია ასევე როკის გვირაბისა და ორ ქვეყანას შორის სახელმწიფო საზღვრის ერთობლივი კონტროლის საკითხიც.

რეზოლუციის პროექტის იმ ნაწილში, სადაც საუბარია რუსეთში სიტყვის თავისუფლების შესახებ, მოყვანილია ტელეკომპანიების - "რუსთავი 2"-სა და "მზის" ჟურნალისტების მიმართ რუსი ჯარისკაცების მიერ განხორციელებული ფიზიკური ზემოქმედებისა და შეურაცხყოფის ფაქტები.

**24 საათი**

# რუსებს სამხედრო ტექნიკის გატანა აფხაზეთის გავლით სურთ

სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონში სახელმწიფო რწმუნებული კახა არდია რუსეთის სახმელეთო ძალების მეთაურის მოადგილეს, გენერალ-ლეიტენანტ ვალერი ევნევიჩს შეხვდა.

"სამხედრო ბაზებზე არსებული ტექნიკის გატანა რუსეთს აფხაზეთის გავლით სურს," - განაცხადა შეხვედრის შემდეგ კახა არდიამ.

გუბერნატორის თქმით, ასეთ შემთხვევაში საჭირო გახდება საერთაშორისო დამკვირვებლების ჩართვა, რომლებიც უშუალოდ გააკონტროლებენ ტექნიკის გაყვანის პროცესს.

"ეს საჭირო იქნება იმიტომ, რომ არ მოხდეს ტექნიკის დატოვება თვითგამოცხადებული აფხაზეთის ტერიტორიაზე, მიუხედავად იმისა, რომ ევნევიჩი ასეთ შესაძლებლობას უარყოფს," - აცხადებს არდია.

აღსანიშნავია, რომ რუსეთის თავდაცვის მინისტრი სერგეი ივანოვი 6 ივნისს აცხადებდა, რომ ახალქალაქიდან და ბათუმიდან სამხედრო ტექნიკისა და ქონების ძირითად ნაწილს, ასევე პირად შემადგენლობას, რუსეთში ზღვით გაიყვანდნენ. **მედიანიუსი**

# მოსკოვში ქართულ-ოსური შეხვედრა გაიმართება

20 ივნისს მოსკოვში შერეული საკონტროლო კომისიის საგანგებო სხდომა დაიწყება. მისი მიმდინარეობის ვადების შესახებ მხარეები განსხვავებულ ინფორმაციას ავრცელებენ: თუკი სეპარატისტული ცხინვალის განსაკუთრებულ საქმეთა მინისტრი ბორის ჩოჩიევი აცხადებს, რომ სხდომა 23 ივნისამდე გაგრძელდება, კონფლიქტების მოგვარების საკითხებში სახელმწიფო მინისტრი გიორგი ხაინდრავა სხდომის გამართვის თარიღად 20-21 ივნისს ასახელებს.

ქართულ-ოსური მხარეები მთავარ საკითხად კონფლიქტის ზონაში შექმნილ რთულ მდგომარეობას განიხილავენ.

"სამხრეთ ოსეთის" თვითგამოცხადებული რესპუბლიკის განსაკუთრებულ საქმეთა მინისტრის ბორის ჩოჩიევის თქმით, შერეული საკონტროლო კომისიის ფარგლებში დაგეგმილია საქართველოს, რუსეთის, სამხრეთ ოსეთისა და ჩრდილო ოსეთის შინაგან საქმეთა მინისტრების შეხვედრაც, რომელიც კონფლიქტის ზონაში სამართალდამცავი სტრუქტურების თანამშრომლობის პროტოკოლის ხელმოწერით დასრულდება.

შერეულ საკონტროლო კომისიაში ქართული, ოსური, ჩრდილოეთ ოსეთისა და რუსული მხარეები შედიან. კონფლიქტის ზონაში მდგომარეობა მას შემდეგ გამწვავდა, რაც 29 მაისს ოს სამხედროებსა და ქართველ პოლიციელებს შორის შეტაკება მოხდა, ხოლო 6 ივნისს ცხინვალიდან ოთხი ქართველი გაიტაცეს. **მედიანიუსი.**

მთავარი რედაქტორი მამუკა ფაჩუაშვილი. პაატა ვეშაპიძე (მმართველი რედაქტორი), დავით ნინიკაშვილი (პასუხისმგებელი რედაქტორი), ვიქტორ გათიკაშვილი (გენერალური დირექტორი), ირაკლი ლეჟავა (მარკეტინგის მენეჯერი). დიზაინი: გიორგი ხმალაძე, ავთო შარვაშიძე. კომპიუტერული ცენტრი: თამაზ ჩხაიძე (მენეჯერი), მაია ყიასაშვილი, დიმიტრი შალუტაშვილი, გიორგი ბერიაშვილი, თენგიზ ქირია, პაატა ქორიძე, ლელა წიქარიშვილი,. სტილი: ნანა ჯოხარიძე, ნინო სვანიძე, ხათუნა გოგიშვილი, ძიძია ძნელაძე, ლია თოფურია. რეკლამა - ზურაბ ჯაოშვილი.

# ლიბერალურ ღირებულებათა სისტემა, თუ "კონტროლირებადი დემოკრატია"

პირველი გვერდიდან

თუ საუბარია იმაზე, რომ საქართველო ღვთისმშობლის წილხვედრი ქვეყანაა და აუცილებლად გაბრწყინდება - ჩემი ღვთისმოშიშობა და მწირი რელიგიური განათლება არ მაძლევს უფლებას, პოლემიკა გავაჩაღო და დავადასტურო ან ვუარყო, "დადგა" თუ არა "სულიერი მისიის" შესრულების დრო. ამიტომ, ჩემი მცდელობა უფრო იმისკენაა მიმართული, შესაძლებლობის ფარგლებში, ფაქტებზე დაყრდნობით, მკითხველთან ერთად გავარკვიო "დიდების ზენიტის" რა სტადიაში იმყოფება საქართველო; ვეცდები გავაანალიზო რასთან გვაქვს საქმე: იმასთან, რასაც პრეზიდენტი "საზოგადოებაში სასიხარულო განწყობის" მუდმივ შენარჩუნებას და "ხანმოკლე პოლიტიკური სიამოვნებისაკენ" ლტოლვას უწოდებს, თუ რეალურ შედეგთან, რომელიც საშუალებას გვაძლევს, განვაცხადოთ, რომ დადგა დრო, როცა ქართველი ერი მზადაა "მსოფლიო ისტორიაში" განსაკუთრებული "სულიერი მისია" შეასრულოს.

შეუძლებელია არ დავეთანხმოთ ბატონ პრეზიდენტს, რომ "რეფორმების პროცესი უნდა იყოს მუდმივი, პაუზების გარეშე. ასეთი მიდგომისათვის აუცილებელია საბოლოო მიზნის ცოდნა, აგრეთვე - მისი მიღწევის სიტემური გეგმის არსებობა." საინტერესოა, არსებობს თუ არა საქართველოში ადამიანი, რომელსაც ქართული ეკონომიკის რეფორმირების "სისტემური გეგმის არსებობის" შესახებ სმენია ან წაუკითხავს? მართალია პრეზიდენტი ბრძანებს ბიუჯეტის ოთხჯერ გაზრდის შესახებ, მაგრამ მკითხველს მინდა კიდევ ერთხელ შევახსენო: ეკონომიკა მხოლოდ ფისკალური პოლიტიკა და თუნდაც კარგი ადმინისტრირება არ არის. იმ კავარდაკის (სწორედ კავარდაკის, რადგან ნორმალურ ბარდაკში გაცილებით მეტი წესრიგია) ფონზეც კი, რომელიც წინა ხელისუფლების დროს სუფევდა, შესაძლებელი იყო საბიუჯეტო მაჩვენებლების ზრდის მიღწევა. ახლა კი ზღვარი მალე მიღწეული იქნება და თუ რადიკალური ნაბიჯები არ გადაიდგა, სტაგნაციის პერიოდი არ დაიგვიანებს. ბოლოს და ბოლოს ეკონომიკა ქარვასლა არაა, დღეს თუ არა ხვალ მოსახლეობა პასუხს არა ზარ-ზეიმით გაცხადებულ ეკონომიკის ზრდის პროცენტზე მოითხოვს, არამედ ახალი სამუშაო ადგილების შექმნასა და "ჯონჯოლის ინდექსზე" ("24 საათი", 2005 წლის 22 იანვარი).

ის, რომ საჯარო სამსახურში დასაქმებულთა რიცხვი უზომოდ გაზრდილი იყო და არ შეესაბამებოდა ქვეყნის რეალურ მოთხოვნას, საკამათო არ არის. არც ისაა სადავო, რომ ნებისმიერი ქვეყნის ეკონომიკის რეფორმირების პროცესი განსაკუთრებით მტკივნეულია სოციალურად დაუცველი ფენებისათვის, მაგრამ რეალური დადებითი ტენდენციის დასანახად, ეგებ ეკონომიკური განვითარების სამინისტრომ გამოაქვეყნოს მონაცემები: რამდენი კაცი იყო დასაქმებული მსხვილ, საშუალო და მცირე ბიზნესში 2003 წლის 1 ნოემბრისათვის და როგორია ეს მაჩვენებლები 2005 წლის 1 ივნისისათვის. აღარაფერს ვამბობ იმის შეახებ, თუ რა ნაბიჯები გადადგა მთავრობამ ქართველი მეწარმისა და ბაზრის დასაცავად, საექსპორტო პროდუქციის ზრდის წასახალისებლად, ინვესტირების ხელშეწყობისათვის, რა რეალური შედეგი გამოიღო ფინანსურმა ამნისტიამ და "გაქცეული კაპიტალის" რა ნაწილი დაბრუნდა ქვეყანაში.

სამწუხაროდ, კვლავ მიწევს იმის გამეორება, რომ არა თუ "სისტემური გეგმის არსებობა" და მისი რეალიზაციის ხედვა, პრეზიდენტის გარემოცვაში არ არის პიროვნება, რომელსაც შეუძლია საზოგადოების ფართო ფენებისათვის გასაგებ, პრესისათვის მისაღებ და სპეციალისტებისათვის კომპეტენტურ ენაზე გაახმოვანოს ეკონომიკაში მიღწეული პირველი დადებითი ძვრები, არსებული პრობლემების დაძლევის გზები და ეკონომიკური წინსვლის რეალური პერსპექტივები. უფრო მეტიც, მიუხედავად იმისა, რომ არასოდეს ვყოფილვარ ბატონი ზურაბ ჟვანიას მეხოტბე, თავს ვალდებულად ვთვლი, აღვნიშნო: თუ ქვეყანას ჰყავდა უდავოდ ნიჭიერი პოლიტიკოსი პრემიერ-მინისტრი, რომელსაც, მართალია არ გააჩნდა ქართული ეკონომიკის რეფორმირების ჩამოყალიბებული კონცეფცია, მაგრამ მთლიანობაში ხედავდა "ქართულ პოლიტიკურ საჭადრაკო დაფას" და კარგად გრძნობდა მსოფლიო პოლიტიკის "პულსს", და - ფინანსთა მინისტრი, რომელსაც არ ჰქონდა მწყობრი ეკონომიკური ხედვა, მაგრამ კარგი ადმინისტრირების უნარი გააჩნდა, ახლა არც ერთი გვყავს და არც მეორე.

რასაკვირველია საქართველოს პრეზიდენტმა შესანიშნავად იცის, რომ დღევანდელი სამთავრობო გუნდით ვერც ქვეყნის ეკონომიკური მდგრადობა მიიღწევა და აღმავლობის შეუქცევადობაზე ხომ ლაპარაკიც ზედმეტია, მაგრამ საეჭვოა გაზაფხულამდე მკვეთრი საკადრო გადაადგილებები მოახდინოს, რადგან, ერთი მხრივ, არავინ იცის, როგორი "პოლიტიკური ზამთარი" გველოდება, ხოლო, მეორე მხრივ, დღეს იმის განსაზღვრაც რთულია, რა სასტარტო პირობები ექნება მმართველ პარტიას ადგილობრივი არჩევნების წინ. ამასთან, არსებობს ერთი გარემოება, რომელმაც შეიძლება რადიკალურად შეცვალოს მმართველი გუნდის არაერთი წარმომადგენლის კარიერული პერსპექტივა. მხედველობაში მაქვს ნოემბრის შუალედური საპარლამენტო არჩევნები (განსაკუთრებით ისნის და ბათუმის საარჩევნო ოლქები).

ეს არჩევნები არ გახლავთ ჩვეულებრივი მოვლენა დღევანდელ ქართულ პოლიტიკაში. საქართველოს პრეზიდენტმა ძალიან კარგად გაიცნობიერა ზბიგნევ ბჟეზინსკის მიერ პირადად მისთვის მიცემული რჩევა: "სანამ საქართველოში არსეული სიტუაცია ისე იქნება აღქმული, როგორც ნორმალური, ის მუდამ ასეთად დარჩება". ამიტომაც, როგორც ჩანს, ხელისუფლებას მიაჩნია: იმისათვის, რომ მსოფლიომ "საქართველოში არსებული სიტუაცია" ისე აღიქვას, "როგორც ნორმალური", შეძლებისდაგვარად, არა მარტო არჩევნების დემოკრატიულობა არ უნდა დადგეს ეჭვქვეშ, არამედ გამარჯვებაც დამაჯერებელი და შთამბეჭდავი უნდა იყოს. წინააღმდეგ შემთხვევაში, კითხვის ნიშნის ქვეშ დადგება არა მარტო "კურსის სიზუსტე" და სიტუაციის "ნორმალურობა", არამედ კიდევ ერთი საკითხი, რომელიც უეჭველია ქვეცნობიერად გარკვეულ გავლენას ახდენს პრეზიდენტზე, მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებების მიღებისას. ვფიქრობ, ამ წერილის დასაწყისში ციტირებული, ბატონი მიხეილ სააკაშვილის ფრაზები - საქართველოს სულიერი მისიის შესახებ მსოფლიოს ისტორიაში, არა მარტო "საქართველოში და ხალხში უიმედობის" თესვის და არა მხოლოდ, როგორც პრეზიდენტი ბრძანებს, ხალხის კვლავ ცინიზმით დაავადების წინააღმდეგ იყო მიმართული, არამედ მიზნად ისახავდა გარკვეული ზემოქმედების მოხდენას დასავლეთის საზოგადოებასა და პოლიტიკურ წრეებზე, რაც თვალნათლივ გამოჩნდა მის მიერ გაზეთ "ფაინენშელ ტაიმსში" გამოქვეყნებულ სტატიაში - "ხუთი საკვანძო პრინციპი მთელი მსოფლიოს რეფორმატორებისათვის". ეს არცაა გასაკვირი, რადგან მთელი რიგი ობიექტური და სუბიექტური გარემოებების გამო, ის და არა ვიქტორ იუშენკო აღმოჩნდა "გამწევი ძალა" იმ "რევოლუციურ ტანდებში", რომელიც პრეტნზიას აცხადებს ნობელის პრემიაზე. რასაკვირველია, მრავალი წლის უიმედობის შემდეგ, ხალხის გამხნევებაც აუცილებელია და ნობელის პრემიაც კარგი "ინსტრუმენტი" იქნება ეთნოკონფლიქტების დარეგულირების საქმეში საერთაშორისო საზოგადოების მხარდაჭერის მოსაპოვებლად, მაგრამ რევოლუციურ-რომანტიკული განწყობის დიდი ხნით შენარჩუნების მცდელობა არა მარტო შეუძლებელია, არამედ სახიფათოცაა, რადგან ზედმეტად გაზვიადებულმა მოლოდინმა შეიძლება უკურეაქციაც გამოიწვიოს. ხოლო ქვეყნის ისტორიაში დადებით ლიდერად დასამკვიდრებლად, იმ ერთობლივი რუსულ-ქართული პოლიტიკური განცხადების რეალიზებაც საკმარისი პირობაა, რომელიც, ორასწლიანი მოლოდინის შემდეგ, საქართველოს უცხო ქვეყნის ჯარებისაგან განთავისუფლებას ითვალისწინებს. ამის შემდეგ კი, არც ქვეყნის გაერთიანება და ევროსტრუქტურებში გაწევრიანება იქნება შორეული პერსპექტივა.

მიზნის მისაღწევად რთული და სახიფათო გზაა გასავლელი. ყველაზე დიდი ხიფათი კი, რომელიც ამ გზაზე ბატონ მიხეილ სააკაშვილს ელოდება, არა მეზობელი ქვეყნის "რეაქციული ძალები" და შიდა ოპოზიციაა, არამედ, რაც უნდა პარადოქსულად ჟღერდეს, - ბატონი მიხეილ სააკაშვილია, რადგან, როგორც ჩანს, საქართველოს პრეზიდენტის მიერ ძირითადი კურსის განსაზღვრისას, "ერთმანეთს ებრძვიან", ერთი მხრივ დასავლურ იდეალებს ნაზიარები, ლიბერალურ ღირებულებათა სისტემის მატარებელი პიროვნება, ხოლო, მეორე მხრივ, რევოლუციის ლიდერი, რომელიც, როგორც ქალბატონმა თინათინ ხიდაშელმა სამართლიანად აღნიშნა, ცდილობს დაამკვიდროს "კონტროლირებადი დემოკრატია". "კონტროლირებადი" თუ სხვადასხვა ტიპის "მართვადი" დემოკრატიების შექმნის და დამკვიდრების მცდელობა არა ერთი გარდამავალი ფორმაციის ქვეყნის ლიდერს ჰქონდა, მაგრამ, როგორც წესი, შედეგი, ადრე თუ გვიან, ყველგან იდენტური და არასახარბიელო იყო.

ყოველივე ზემოთ აღნიშნულის გათვალისწინებით, საუბარი იმაზე, რომ "ახლა საქართველო დიდების ზენიტშია" საკმაოდ გადაჭარბებულად მიმაჩნია. ამავე დროს, არც ჩემი ქვეყნის პრეზიდენტი მემეტება იმისათვის, რომ რეალურად არსებული ვითარება მისი პოლიტიკური მოღვაწეობის "ზენიტი" აღმოჩნდეს.

2005 წლის 22 აპრილს, "24 საათში" გამოქვეყნებულ წერილში - "რას აირჩევს მთავრობა? მოსახლეობასთან გულწრფელ ურთიერთობას თუ იაფფასიან პიარკამპანიას", ავღნიშნავდი: "არჩევანი დიდი არ არის. მთავრობა ან სამოქალაქო საზოგადოებისათვის დამახასიათებელი ურთიერთობის დამყარებას ეცდება მოსახლეობასთან და მასმედიასთან, ან მოუწევს არქივიდან "დიდი ბელადის" ცნობილი თეზისის ამოღება და მისი პერიფრაზი, იმის შესახებ, რომ - სოციალიზმის წარმატებულ მშენებლობასთან ერთად კლასობრივი ბრძოლაც მწვავდება." როგორც ჩანს, ჩემ მიერ გამოთქმული ეს მოსაზრება კიდევ უფრო აქტუალური ხდება.


## ფოტორეპორტაჟები რადიო მწვანე ტალღის სტუდიიდან

რადიო „მწვანე ტალღის" ეთერში 107.4 ყოველ სამშაბათს და შაბათს 11-დან 12 საათამდე უსმინეთ გადაცემას დიდის სასამართლო. გაესამართლეთ სხვადასხვა მოვლენები, ისტორიული პირები და ლიტერატურული პერსონაჟები. გამოიტანეთ თქვენი ვერდიქტი, რადგანაც 12 ნაფიცი მსაჯული იქნებით თქვენ.





საქმე: ნიღბიანი "კარნავალი" საზოგადოებრივი კვების დაწესებულებაში.

დიდის სასამართლოში ბრალდების მხარემ შემოიტანა სარჩელი ქ. თბილისში სწრაფი კვების ქსელის ერთ ერთ დაწესებულებაში მომხდარი ინციდენტის შესახებ. პროკურორმა მოითხოვა დიდის სასამართლოს 12 ნაფიცი მსაჯულისგან აღნიშნულ ფაქტთან დაკავშირებით რეაგირება და სასამართლო პროცესის მოწყვება.

მოსამართლე — [illegible]

პროკურორი — ირინა ცინცაძე (ფსიქოლოგი): ის რაც მოხდა « ნიკალაში » არის არაპროფესიონალიზმის, კანონის და კონსტიტუციის უგულვებელყოფის ზღვრა. ასეთი სასასუხისმგებლო პოსტებზე რომლებსაც ძალუძთ ასეთი ბრძანებების გაცემა « არშემდგარი ძველი ბიჭები არ უნდა» იჯდნენ. ნიღბიანი « კარნავალების » მოწყობა მოქალაქეების თავშეყრის ადგილებში (სადაც ძირითადად ჭარბობენ ბავშვები და ქალები) არის სრულიად დაუშვებელი. ბრალდება ითხოვს საქმის აღძვრას.

ვერდიქტი: 12 მსაჯულმა (10 ხმა 2-ს წინააღმდეგ) დააკმაყოფილა პროკურორის მოთხოვნა და განხილული საქმე გადასცა დიდის სასამართლოს შემდგომი განხილვისთვის

| | | | |
|---|---|---|---|
| 1. ლაშა | ( აღიძრას საქმე) | 7. ამირან ბერიძე | ( აღიძრას საქმე) |
| 2. [illegible] | (არ აღიძრას საქმე) | 8. ნინო [illegible] | ( აღიძრას საქმე) |
| 3. [illegible] | ( აღიძრას საქმე) | 9. მარიამ [illegible] | ( აღიძრას საქმე) |
| 4. ანონიმი | ( აღიძრას საქმე) | 10. [illegible] | ( აღიძრას საქმე) |
| 5. ნიკო | ( აღიძრას საქმე) | 11. ომარ [illegible] | ( აღიძრას საქმე) |
| 6. მაია [illegible] | ( აღიძრას საქმე) | 12. ანონიმი | (არ აღიძრას საქმე) |

დიდის სასამართლომ მიიღო დადგენილება რომ აღნიშნულ საქმეს მისცეს მსვლელობა და დაინიშნოს სასამართლო პროცესი



საქართველოს ტელეკომი
TELECOM GEORGIA

ახალი დაბალი ტარიფები

თქვენ სარგებლობთ საერთაშორისო საუბრებით და:

- გსურთ არ გქონდეთ დავალიანება ტელეფონზე;
- გათიშული გაქვთ 8-იანი;
- ან უბრალოდ გინდათ მნიშვნელოვნად დაზოგოთ ფული...

„საქართველოს ტელეკომი" გთავაზობთ ტელეკომბარათით მომსახურებას:

ყველაზე დაბალი ტარიფი საერთაშორისო საუბრებზე (24სთ-ის განმავლობაში):

აშშ
რუსეთი
ევროპა (ფიქსირებულ ტელეფონზე)

დროის წამობრივი აღრიცხვა

მხოლოდ 30თ.

ისაუბრე მეტი, გადაიხადე ნაკლები

8-10

ბარათები შეიძინეთ „საქართველოს ტელეკომის" საკომუნიკაციო ცენტრებსა და ანგარიშსწორების პუნქტებში

რუსთაველის გამზ. 31 ტელ.: 442828 www.telecom.ge


# სახალხო დამცველთან ამოქმედდა რელიგიათა საბჭო

პირველი გვერდიდან

სხდომაზე მიღებული გადაწყვეტილების თანახმად, 17 ივნისს, მცხეთა-მთიანეთის რეგიონში, წყალდიდობით დაზარალებული ოჯახების დასახმარებლად განხორციელდა ჰუმანიტარული აქცია. დუშეთის მოსახლეობას მიეწოდა სხვადასხვა აღმსარებლობის ადამიანების მიერ შეგროვებული ტანსაცმელი და საკვები პროდუქტი.

ამ ეტაპზე რელიგიათა საბჭოში შედის საქართველოში არსებული თითქმის ყველა რელიგიური გაერთიანება: აჭარის მუსლიმთა სამმართველო, ბაჰაის მოძღვრების მიმდევრები, ევანგელისტური ეკლესია, ევანგელურ-ბაპტისტური ეკლესია, ევანგელურ- ლუთერული ეკლესია, ევანგელური ეკლესია "სიცოცხლის სიტყვა", ევანგელურ- ორმოცდაათიანური ეკლესია, იუდეველები, კათოლიკური ეკლესია, კრიშნას ცნობიერების ტაძარი, მართლმადიდებელი ეკლესია საქართველოში, მეშვიდე დღის ადვენტისტთა ეკლესია, უკანასკნელ დღეთა წმინდანთა ეკლესია, სომხეთის სამოციქულო ეკლესიის ეპარქია საქართველოში, ხსნის არმია. მოლაპარაკება მიმდინარეობს საქართველოს საპატრიარქოსთან და სხვა რელიგიურ გაერთიანებებთან. საბჭოს საზეიმო პრეზენტაცია გაიმართება 21 ივნისს, 16 საათზე, სასტუმრო "ქორთიარდ მარიოტში", სადაც ხელი მოეწერება სახალხო დამცველთან არსებული რელიგიათა საბჭოს ერთობლივ მემორანდუმს. საბჭოს მორიგი სხდომა გაიმართება 5 ივლისს სახალხო დამცველის ოფისში.

ქვემოთ გთავაზობთ მემორანდუმის ტექსტს:

### სახალხო დამცველთან არსებული რელიგიათა საბჭოს მემორანდუმი

1. ყოველი ადამიანის ღირსების, თავისუფლების და უფლებების მიმართ პატივისცემისა და პასუხისმგებლობის შეგნებით და ტოლერანტობის იმ გამოცდილებისადმი ერთგულებით, რომელიც ამშვენებს ჩვენი ქვეყნის ისტორიულ წარსულს, ჩვენ, საქართველოში არსებული რელიგიების წარმომადგენლები ვაცნობიერებთ თანამედროვეობის ლოკალურ თუ გლობალურ გამოწვევებსა და ამოცანებს, რომელთა გადაწყვეტას მოითხოვს ჩვენი აწმყო და მომავალი.

საბჭოთა კავშირი დაემხო, მაგრამ წლების მანძილზე საქართველოში ისევ უხეშად ილახებოდა ადამიანის უფლებები. ჩვეულებრივ მოვლენად იქცა რელიგიური შეუწყნარებლობა, ექსტრემიზმი, ქსენოფობია; სახელმწიფო პოლიტიკამ რელიგიურ უმცირესობებთან მიმართებით დაუფარავი დისკრიმინაციის ხასიათი მიიღო.

პიკს მიაღწია კორუფციამ, ფართოდ გავრცელდა ნარკომანია, ტრეფიკინგი, ბანდიტიზმი, უფრო გავლენიანი გახდა კრიმინალური სამყარო.

საომარმა კონფლიქტებმა მრავალი ჩვენი თანამოძმე ლტოლვილად და მიუსაფრად აქცია, ეკონომიკურმა კრიზისმა, მძიმე სოციალურმა გარემომ, უმუშევრობამ მოქალაქეების დიდი ნაწილი აიძულა დაეატოვებინა სამშობლო და თავის გადასარჩენად სხვა ქვეყნებს შეფარებოდა; ყველაზე შემაძრწუნებელი კი უამრავი უსახლკაროდ, ულუკმაპუროდ, ყოველგვარი თანაგრძნობისა და შემწეობის გარეშე დარჩენილი ადამიანის, განსაკუთრებით, მოხუცებულისა და ბავშვის ხილვა გახდა. ურთიერთგაუცხოება და აგრესია ერთმანეთისა და გარესამყაროსადმი დამოკიდებულების ნიშნად გვექცა.

აშკარაა, რომ ვარდების რევოლუციას მოჰყვა სასიკეთო ცვლილებები, მაგრამ ჯერ კიდევ ძალიან ბევრია საკეთებელი და თითოეული მოქალაქის, საზოგადოებისა და სახელმწიფოს ნამდვილი თავისუფლება და კეთილდღეობა ძალისხმევათა კონსოლიდაციას მოითხოვს.

ჩვენ თავს ვალდებულად მივიჩნევთ მხარი დავუჭიროთ დემოკრატიული და სამართლებრივი სახელმწიფოს მშენებლობას, აქტიურად ჩავებათ სამოქალაქო ინტეგრაციასა და ტოლერანტული გარემოს დამკვიდრებაში, მონაწილეობა მივიღოთ არსებული კონფლიქტების მოგვარების მშვიდობიანი გზების ძიებაში, ვიტვირთოთ სოციალური, ზნეობრივი და ეკოლოგიური პასუხისმგებლობა;

უმნიშვნელოვანესად გვესახება ერთობლივი ძალისხმევის მიმართვა ადამიანის თავისუფლებათა და უფლებათა საერთაშორისო ნორმებისა და საქართველოს კონსტიტუციური პრინციპების დაცვისაკენ.

2. საქართველოს სხვადასხვა აღმსარებლობის წარმომადგენლები ზემოთ ხსენებული ამოცანებისა და პრობლემების გადასაჭრელად, თითოეულ ადამიანს, ხელისუფალსა და ორგანიზაციას სოლიდარობას ვუცხადებთ და ვახდენთ ურთიერთთანამშრომლობის სურვილის დეკლარირებას.

ამავდროულად მხედველობაში ვიღებთ იმ ტრაგიკულ შედეგებს, რაც ერთი მხრივ, პოლიტიკასა და რელიგიას შორის საზღვრების წაშლამ, ხოლო მეორე მხრივ, სახელმწიფოს მიერ რელიგიის დევნამ მოუტანა კაცობრიობას ტოტალიტარული რეჟიმების, ფუნდამენტალისტური იდეოლოგიების, ტერორის, დისკრიმინაციის, ცენზურისა და ნიჰილიზმის სახით და გადაჭრით ვეწინააღმდეგებით პოლიტიკური ინტერესებისა და ბრძოლის ინსტრუმენტად რელიგიის გამოყენების ნებისმიერ მცდელობას.

ასევე სინანულს გამოვთქვამთ რელიგიურ ნიადაგზე აღმოცენებული სიძულვილის, შეუწყნარებლობის, ექსტრემიზმის, ტერორიზმის, ომების გამო და ვაცხადებთ, რომ რელიგიებმა სამშვიდობო მისია უნდა იტვირთონ და დაპირისპირების გაღვივების ნაცვლად, ადამიანებსა და სახელმწიფოებს ზოგადსაკაცობრიო მარადიული ღირებულებების გარშემო თანამშრომლობისკენ მოუწოდონ.

საქართველოში არსებული რელიგიებისა და აღმსარებლობების წარმომადგენლები მზად ვართ, ჩვენი წვლილი შევიტანოთ ამ მისიის განხორციელებაში და ხელი შევუწყოთ ლოკალური თუ გლობალური კრიზისისებისა და კონფლიქტების დაძლევას შერიგებისა და მშვიდობიანი თანაარსებობის დამკვიდრების გზით.

3. ამ ამოცანების გადასაჭრელად, იმდენად, რამდენადაც ეს მისაღები და შესაძლებელი იქნება თითოეული მხარისთვის, ვუერთდებით რელიგიათა საბჭოს შექმნის შესახებ საქართველოს სახალხო დამცველის ინიციატივას, რადგან სახალხო დამცველის ინსტიტუტის ფორმა, მნიშვნელობა და ავტორიტეტი სწორედ იმ რესურსს წარმოადგენს, რომელსაც სახელმწიფოსა და ცალკეულ ადამიანს შორის, უმცირესობებსა და უმრავლესობას შორის ეფექტური შუამავლობა და მათი ძირეული ფასეულობების გარშემო კონსოლიდირება შეუძლია.

ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე საქართველოს სახალხო დამცველთან ერთად ვაფუძნებთ რელიგიათა საბჭოს და ვკისრულობთ პასუხისმგებლობას ურთიერთთანამშრომლობის, ურთიერთპატივისცემისა და სოლიდარობის ატმოსფეროში, საქარველოს კონსტიტუციის, ადამიანის თავისუფლებებისა და უფლებების საერთაშორისო ნორმების დაცვით, ერთობლივად, მაგრამ ჩვენი მოძღვრებების, ტრადიციებისა და დამოუკიდებლობის შებღალვის გარეშე, ვაწარმოოთ დიალოგი ერთმანეთთან და საზოგადოებასთან, რეაგირება მოვახდინოთ მოვლენებსა და პრობლემებზე, შევიმუშავოთ წინადადებები სახალხო დამცველისა და ხელისუფლების ორგანოებისადამი, წარვმართოთ საზოგადოებრივი, კულტურული, ჰუმანიტარული, მშვიდობისმყოფელი, უფლებადაცვითი და ეკოლოგიური საქმიანობა.

მიუხედავად იმისა, რომ საბჭოს წევრთა რელიგიური განსხვავებები ხშირ შემთხვევაში დიამეტრულია, ვკისრულობთ პასუხისმგებლობას, საბჭოში ჩვენი საქმიანობა არ იქცეს რელიგიური დაპირისპირების ასპარეზად, რადგან აქ ჩვენი მონაწილეობის საფუძველი, უპირველეს ყოვლისა, ადამიანის პიროვნული ღირსებისა და თავისუფლების დაცვა, მისი სოციალური და მორალური თანადგომა და საზოგადოებაში ტოლერანტობის სულისკვეთების გაღვივებაა.

ჩვენ გვაკავშირებს საყოველთაო პრინციპი: მოექეცი სხვას ისე, როგორც გსურს, მოგექცნენ შენ.

# წამება პასპორტისთვის

*სამგორის რაიონის საპასპორტო განყოფილება ერთადერთია თბილისში, პირადობის მოწმობებისა და პასპორტების აღების მსურველთა რიგები რომ არ მცირდება. პირველი ივლისის მოახლოებასთან ერთად, უპასპორტოდ დარჩენილთა შორის პანიკა მატულობს. ისეთი ხმებიც დადის, რომ, თუკი პირველ ივლისამდე პირადობის მოწმობის აღებას ვერ მოახერხებთ, ჯარიმას გადაგახდევინებენ, საზღვარგარეთის პასპორტის აღება კი, 35 ლარის ნაცვლად, 200 ლარი დაგიჯდებათ. თუმცა, ამ რაიონის საპასპორტო განყოფილების წინ დაუსრულებელ რიგებს სხვა მიზეზებიც აქვს.*

ნანა ქადაგიშვილი

სამგორის რაიონის საპასპორტო განყოფილებაში პირადობის მოწმობისა და პასპორტების ასაღებად საჭირო საბუთების მიღება დილის 10 საათიდან იწყება და პირველზე მთავრდება. გამოუცდელი ადამიანი იფიქრებს, იმისთანა რა რიგი უნდა იყოს, დროულად მისულმა სამ საათში საბუთების ჩაბარება ვერ მოვახერხოო, მაგრამ როგორც კი რიგში მდგომთა სიას შეავლებს თვალს, მიხვდება, რომ მწარედ შეცდა.

უფრო გასაგებად რომ განვმარტოთ, საპასპორტო განყოფილების კარის წინ დგას ადამიანი, რომელსაც ხელში რამდენიმე სახის სია უჭირავს - №1 სია - პირადობის მოწმობის მისაღებად საჭირო საბუთების შესატანად, №2 სია - ე.წ. საზღვარგარეთის პასპორტისთვის საბუთების ჩასაბარებლად, №3 სია - ანკეტაზე ხელის მოსაწერად (ვისაც პირადობის მოწმობისთვის საჭირო საბუთები უკვე ჩაბარებული აქვს), №4 სია - პირადობის მოწმობის გასატანად და №5 სია - საზღვარგარეთის პასპორტის გასატანად.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, პირადობის მოწმობისა და საზღვარგარეთის პასპორტებისთვის საბუთების შეტანა 10-დან 13 საათამდე უნდა მოასწროთ, ანკეტის შევსება და პირადობის მოწმობის აღება - 12 საათიდან 4-5 საათამდე, ხოლო საზღვარგარეთის პასპორტის აღება 2-დან 3 საათამდე. ასეთი განრიგის მიუხედავად, ნებიემიერ სიაში ჩაწერა დილის 5-6 საათიდან იწყება. ყველაზე ადრე მისული ერთი თავგანწირული ადამიანი (ხანდახან მას მეორე თავგანწირულიც შეეშველება ხოლმე) 5-დან 10 საათამდე საპასპორტო განყოფილების კარის წინ ფეხმოუცვლელად დგას, რათა მიმსვლელებს სიაში ჩაწერა არ გაუჭირდეთ. დანარჩენებს კი შეუძლიათ, დილაადრიან მივიდნენ, სიაში საკუთარი გვარი დააფიქსირონ და მერე 10 საათამდე თავისუფლები არიან.

ასე რომ, 10 საათზე, ანუ დროულად მისული მოქალაქე სიაში, შეიძლება, ჩემსავით, 78-ეც კი აღმოჩნდეს. ამ შემთხვევაში, მიზნის მიღწევაზე საუბარი, რა თქმა უნდა, ზედმეტია. ზუსტად პირველ საათზე განყოფილების თანამშრომელი კარს გამოკეტავს და ერთი-ორი ადამიანიც რომ იყოს გარეთ დარჩენილი, აღარ მიიღებს. მწარე გამოცდილების მიღების შემდეგ, მეორე დილით 8 საათზე მივედი და 36-ე აღმოვჩნდი. თავს ვიმშვიდებდი, სამი საათის განმავლობაში 35 კაცისთვის საბუთების გამორთმევას როგორ ვერ მოახერხებენ-მეთქი, მაგრამ მეორე ცდაც უშედეგო აღმოჩნდა.

ბევრი რომ არ გავაგრძელო, №2 კაბინეტში (სადაც საბუთებს იღებენ) მესამე ცდაზე შევაღწიე. კაბინეტში ორი ადამიანი იჯდა. ერთი საბუთებს იღებდა, მეორე ანკეტებს ავსებდა. თუმცა, დრო, ძირითადად, საბუთების შემოწმებას ეთმობოდა, ანკეტას განყოფილების თანამშრომელი საბუთების პატრონის დაუსწრებლად ავსებდა.

არ გეგონოთ, პირადობის მოწმობის ასაღებად (ან გამოსაცვლელად) საბუთების შეტანა მთავარი პრობლემა იყოს. ეს მხოლოდ ბრძოლის პირველი ეტაპია. მეორე ეტაპი საბუთების ჩაბარებიდან მეხუთე დღეს უნდა გაიაროთ, ანუ ანკეტაზე ხელი უნდა მოაწეროთ (რამდენადაც ჩემთვის ცნობილია, სხვა რაიონების საპასპორტო განყოფილებებში ანკეტაზე ხელს საბუთების ჩაბარების ან პირადობის მოწმობის აღების დროს აწერინებენ). ყველაფერი თავიდან იწყება - დილაადრიან რიგში დგომა, ჭყლეტა, კივილი, ურიგოდ შემსვლელებისა და განყოფილების თანმშრომელთა მისამართით ლანძღვა-გინება.

მესამე ეტაპი კი უკვე პირადობის მოწმობის აღებაა - ანკეტაზე ხელის მოწერიდან მეორე დღეს. რიგში ჩადგომის პროცედურა აქაც იგივეა. სამაგიეროდ, რამხელა ბედნიერებაა, ამდენი წვალების შემდეგ, ხელში რომ ჩაიგდებთ საქართველოს მოქალაქის დამადასტურებელ, ახლად ლამინირებულ ცხელ-ცხელ მოწმობას.

საქართველოს რესპუბლიკის მოქალაქის ყავისფერყდიანი პასპორტის აღებისას კი სიამოვნების გრძნობა ორმაგდება. აქ მხოლოდ ორი ეტაპია გასავლელი. საბუთების ჩაბარებიდან მერვე დღეს, 2-დან 3 საათამდე, საპასპორტოში უნდა მიიტანოთ ბაჟის გადასახადის, 35 ლარის, გადახდის გამადასტურებელი ქვითარი, რომელსაც საბუთების ჩაბარების დროს არ იტოვებენ, შეიძლება, დაგვეკარგოსო (თავის დაზღვევის ასეთ მეთოდს თბილისის დანარჩენ რაიონების საპასპორტოებში ვერსად წააწყდებით). საათნახევრის შემდეგ კი პასპორტსაც ელირსებით.

სამგორის რაიონის საპასპორტო განყოფილების თანამშრომლებს რომ ჰკითხო, დაუსრულებელი რიგების მიზეზი მხოლოდ და მხოლოდ რაიონის მაცხოვრებელთა სიმრავლეა. მთელი სამგორისა და მესამე მასივის მოსახლეობა აქ იღებს პასპორტს და აბა, რა იქნებაო - აცხადებენ. თუმცა, არც ის უნდა დავივიწყოთ, რომ მთელ განყოფილებას მხოლოდ ერთი კომპიუტერი, სსრკ-ს დროინდელი, მოუწესრიგებელი კართოთეკა აქვს, და თითო განყოფილებაში მუშაობს ერთი ან ორი ადამიანი, რომელსაც არსად ეჩქარება.

თუმცა, ყველაფერს საპასპორტო განყოფილების მოუწყობლობას ვერ დავაბრალებთ. დიდად მოწესრიგებული არც პირადობის მოწმობისა და პასპორტის აღების მსურველთა რიგები გახლავთ. განყოფილების ვიწრო, უჰაერო დერეფანში ხშირად ისეთი ჭყლეტა და გაწევ-გამოწევაა, დილაადრიან შედგენილი სია აღარავის ახსოვს. სხვათა შორის, რიგს ყველაზე ნაკლებად მოხუცი ქალბატონები დაგიდევენ და კაბინეტისკენ გზას მუჯლუგუნებით იკვლევენ. პანიკას ხალხში გავრცელებული ხმებიც აძლიერებს. **"ნამდვილად ვიცი, ვინც პირველ ივლისამდე პირადობის მოწმობის აღებას ვერ მოახერხებს, ჯარიმას გადაახდევინებენ, საზღვარგარეთის პასპორტის აღება კი 200 ლარამდე გაძვირდება. ამიტომაც ცდილობენ დროის გაჭიმვას, რომ მერე ხალხს მეტი ფული წაართვან,"** - ერთი-ორ ასეთ ჭკუისდამრიგებელს განყოფილებაში ყოველდღე შეხვდებით. იუსტიციის სამინისტროში კი აცხადებენ, რომ წარმოდგენაც არ აქვთ, ასეთი ჭორები რატომ და საიდან ვრცელდება. **"პირველ ივლისამდე მხოლოდ სსრკ-ს პასპორტს გასდის ვადა,"** - გვარწმუნებენ სამინისტროში.

# საკვირაო გასართობები რუსთაველის გამზირზე

პირველი გვერდიდან

მომავალ კვირადღეს სამიზნედ უკვე სხვა პოლიტიკოსები მოგვევლინებიან. არ არის გამორიცხული, ერთ-ერთი მათგანი თავად საქართველოს პრეზიდენტი გახდეს, რადგან კლუბის მესვეურებმა "სნაიპერებში" გამოკითხვა ჩაატარეს და როგორც გაირკვა, ყველაზე მეტი ქულა სწორედ მიხეილ სააკაშვილმა დააგროვა. მეორე ადგილზე ნინო ბურჯანაძე გავიდა, მას ოდნავ ჩამორჩნენ ჯორჯ სოროსი და ვლადიმირ ვოლფოვიჩი (ანუ ჟირინოვსკი).

საინტერესო დეტალი - მიუხედავად იმისა, რომ გუშინდელი სამიზნეები მსროლელებმა საგულდაგულოდ გააფერადეს, აგრესია მათ მიმართ მაინც არ იგრძნობოდა. თუმცა, ბუნებრივია, ეს ყველა სნაიპერზე არ ითქმის. ზოგმა კახა ბენდუქიძე "ქვეყნის გამყიდველად" მონათლა, ზოგმა ზურაბ ჭიაბერაშვილს თბილისის მერობა დაუწუნა.

თავად თბილისის მერიის წარმომადგენლები რუსთაველზე ისევე დასეირნობდნენ, როგორც დანარჩენი თბილისელები. **"ყველაფერი ნორმალურად მიდის. ხალხი აშკარად კმაყოფილია. სეირნობენ, ღია კაფეებში სხედან... თანაც, თბილისის მერია გამზირზე დაგეგმილ ღონისძიებებს არ აფინანსებს. ბიზნესი თავადაა დაინტერესებული საკუთარი პროდუქციის რეკლამით. ჩვენ მათ მხოლოდ ორგანიზაციული ხასიათის დახმარებას ვუწევთ,"** - განუცხადა "24 საათს" მერიის აპარატის უფროსმა გივი ორდენიძემ.

ისე, რუსთაველზე მოსეირნე საზოგადოება მართლაც კმაყოფილი ჩანდა. გუშინ, განსაკუთრებით, თინეიჯერებმა გაიხარეს. ციგურების, სკეიტბორდებისა და ველოსიპედების ნაკლებობა გუშინ რუსთაველზე აშკარად არ შეიმჩნეოდა. ბესიკის ქუჩისა და რუსთაველის გადაკვეთაზე დადგმულ სცენაზე პატარა მომღერლების კონცერტი გაიმართა. მოგვიანებით კი რუსთაველზე პროფესიონალი მუსიკოსები გამოჩნდნენ.

სხვა საქმეა, რამდენად კმაყოფილები არიან თბილისის მერიის ამ ინიციატივით რუსთაველისა და მიმდებარე ქუჩების მცხოვრებლები. როგორც გავარკვიეთ, მერიაში უკვე შევიდა ძნელაძის ქუჩის მცხოვრებელთა კოლექტიური საჩივარი. ავარიული სახლების ბინადარნი ქუჩაზე ავტოტრანსპორტის ნაკადის მკვეთრი მატებით არიან შეშფოთებული.

ბუნებრივია, მერიის შესაბამისი სამსახურები ამ პრობლემას გვერდს ვერ აუვლიან. არ არის გამორიცხული, რუსთაველის გადაკეტვა ძნელაძის ქუჩის მცხოვრებლებს უახლოეს მომავალში სასიკეთოდაც კი შემოუბრუნდეს, თუკი ქალაქის მთავრობა ამ წამოწყებას, ანუ კვირაობით გადაკეტილ რუსთაველს, ქალაქის ერთგვარ სავიზიტო ბარათად გადაქცევას უპირებს.



თბილისელებს მოსწონთ რუსთაველზე სეირნობა.



საჭადრაკო სეანსი.





რუსთაველზე "კარტინგებითაც" შეიძლება სეირნობა.


## განცხადება აშშ საელჩო თბილისში

2005 წლის 25 ივნისს აშშ საელჩო თბილისში აწყობს ღია აუქციონს. აუქციონზე წარმოდგენილი იქნება ნახმარი და დაზიანებული საყოფაცხოვრებო მოწყობილობები, ავეჯი და აგრეთვე ავტომანქანები.

აუქციონზე წარმოდგენილი ყველა ნივთი იყიდება "არსებულ მდგომარეობაში" გარანტიის გარეშე. საჭიროების შემთხვევაში მყიდველი პასუხისმგებელია აუქციონზე შეძენილი ნივთების განბაჟებაზე და სრულად იხდის საბაჟო გადასახადებს.

მსურველთათვის ნივთების დათვალიერება მოხდება დილის 9:00-დან 11:00 სთ-მდე. აუქციონი დაიწყება დილის 11:00სთ-ზე.

აუქციონი ჩატარდება შემდეგ
მისამართზე: **ლილო, რუსთაველი ქ. 4,**
**აშშ საელჩოს საწყობის ტერიტორია.**
ცნობებისათვის დარეკეთ:
98 99 67 ანდ 98 99 68, შიდა 4201.

## ადმინისტრაციის ასისტენტი

კომპანია "ბი-პი"-ს მილსადენების პროექტების მიზნებისათვის და "ბი-პი"-ს უშუალო ხელმძღვანელობით, შპს "IRA" კონკურსზე იწვევს სათანადო კვალიფიკაციის მქონე პირებს ადმინისტრაციის ასისტენტის თანამდებობის დასაკავებლად. ადმინისტრაციის ასისტენტი წარმოადგენს საქართველოში "ბი-პი"-ს მილსადენების მშენებლობის პროექტის კონტრაქტორ მესამე მხარეს, რომელიც იმუშავებს "ბი-პი"-ს ხელმძღვანელობის ქვეშ.

**სამუშაოს აღწერა:**
ადმინისტრაციის ასისტენტის ძირითადი მოვალეობაა ზოგადი დამხმარე ადმინისტრაციული სამუშაოს შესრულება.

**მოვალეობები და პასუხისმგებლობები:**
ადმინისტრაციის ასისტენტის მოვალეობებს და პასუხისმგებლობას შეადგენს (არ შემოიფარგლება რა ამით):
დეპარტამენტის მთლიანი დოკუმენტაციის აღრიცხვა;
- დაარქივების სისტემების და მონაცემთა ბაზის შექმნა, მასზე მუშაობა და მართვა;
შიდა დამკვეთებისაგან მიღებული ყველა დაკვეთის აღრიცხვა და თითოეული ოპერაციის გაკონტროლება, ხელმძღვანელისთვის მოხსენების მიზნით;
- შეხვედრების ოქმების ჩაწერა;
მიღებული მომსახურების ანგარიშ-ფაქტურების და თანმხლები დოკუმენტაციის შემოწმება და შენახვა;
- დოკუმენტაციის მომზადების და დაარქივების პასუხისმგებლობა;
საჭიროების შემთხვევაში, წერილობითი და ზეპირი თარგმანის შესრულება და გარე რესურსების მიერ გაწეული მთარგმნელობითი მომსახურების კოორდინირება;
- მგზავრობის და დაბინავების ორგანიზებაში დახმარება, სათანადო დეპარტამენტისათვის შესაბამისი მოთხოვნის გაგზავნის მეშვეობით;
ხელმძღვანელის / განყოფილების შეხვედრების და მიღებების დაგეგმვა;
- საჭიროებისამებრ სხვა მოვალეობების შესრულება.

**სამუშაო გამოცდილება და განათლება:**
კანდიდატს მოეთხოვება ცოდნისა და კვალიფიკაციის შემდეგი დონე:

ადმინისტრაციულ სფეროში მუშაობის 3-წლიანი გამოცდილება, ინგლისური ენის ფლობის და ზემოთ აღწერილი ფუნქციების შესრულების სათანადო უნარი;
- უმაღლესი განათლების დიპლომი, ენების გაძლიერებული კურსით;
ქართული ენის ფლობა მშობლიური ენის დონეზე, ინგლისურის და რუსულის - თავისუფლად;
- შემდეგი კომპიუტერული პროგრამების სრულყოფილად ფლობა: MS Word, Excel, PowerPoint, Exchange

**განაცხადის შემოტანის წესი / დამატებითი ინფორმაცია**
თუ თვლით, რომ გაგაჩნიათ საჭირო კვალიფიკაცია და გამოცდილება ზემოთ აღწერილი თანამდებობის დასაკავებლად, გთხოვთ, მოგვაწოდოთ თქვენი Curriculum Vitae ქვემოთ მითითებულ მისამართზე და შეავსოთ შესაბამისი განაცხადის ფორმა, რომელსაც იქვე მიიღებთ. განაცხადების მიღების საბოლოო ვადაა 2005 წლის 28 ივნისი, სამშაბათი.
კანდიდატი უნდა იყოს საქართველოს მოქალაქე.

**ყველა მიღებული განაცხადი განიხილება, რაც იმას არ გულისხმობს, რომ ყველა კანდიდატი გაივლის გასაუბრებას და მიიღებს სამუშაოს შემოთავაზებას.**

**კადრების განყოფილება**
"ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის მილსადენის კომპანია"
BP Georgia
საქართველო, თბილისი, საბურთალოს ქუჩა N38

## აზერბაიჯანის ოპოზიცია საპარლამენტო არჩევნებისთვის ემზადება

ბაქოში ოპოზიციის 20 000-მდე მომხრე მონაწილეობდა საპროტესტო გამოსვლაში ნოემბერში დაგეგმილი საპარლამენტო არჩევნების სამართლიანად ჩატარების მოთხოვნით.

დემონსტრანტები, რომელთაგან ზოგი ნარინჯისფრად იყო გამოწყობილი, პრეზიდენტ ილხამ ალიევის ხელისუფლების საწინააღმდეგო ლოზუნგებს გაიძახოდნენ: "თავისუფალი არჩევნები! ბოლო მოეღოს კორუფციას!", - მოითხოვდნენ დემონსტრანტები. საპროტესტო გამოსვლის ორგანიზატორი იყო "აზადლიგი" (თავისუფლება) - სახალხო ფრონტის რეფორმისტული ფრთის, მუსავატური პარტიისა და აზერბაიჯანის დემოკრატიული პარტიის გაერთიანება.

უკანასკნელი ორი კვირის მანძილზე ეს უკვე მეორე მასშტაბური საპროტესტო აქციაა ბაქოს ქუჩებში. სავარაუდოდ, არჩევნების თარიღის მოახლოებასთან ერთად, სიტუაცია კიდევ უფრო დაიძაბება.

**24 საათი**

## პრეზიდენტი ბუში ევროკავშირის ლიდერებს ხვდება

*ამერიკის პრეზიდენტი ჯორჯ ბუში დღეს ევროგაერთიანების ლიდერებს ხვდება. შეხვედრაზე ტრანსატლანტიკური ალიანსის გაძლიერების, ახლო აღმოსავლეთის, ერაყის, ავღანეთის საკითხებზე და ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლაზე იმსჯელებენ.*

ევროკავშირის საბჭოს მოქმედი თავმჯდომარე ჟან კლოდ იუნკერი, ევროკომისიის თავმჯდომარე ჟოზე მანუელ ბაროზუ და ევროკავშირის საგარეო და უსაფრთხოების პოლიტიკის უმაღლესი წარმომადგენელი ხავიერ სოლანა ბრიუსელის სამიტის დასრულების შემდეგ შეეცდებიან, დაარწმუნონ პრეზიდენტი ბუში, რომ ევროკავშირი ამერიკასთან მჭიდრო თანამშრომლობას კვლავაც გააგრძელებს.

საგულისხმოა, რომ ამჟამინდელ შეხვედრას აშშ-სა და ევროგაერთიანების ლიდერებს შორის ირანში გასულ კვირას გამართული საპრეზიდენტო არჩევნები უსწრებდა წინ. 2005 წლის მარტში, ოფიციალურმა ვაშინგტონმა მხარი დაუჭირა ევროკავშირს, რომ დაერწმუნებინა თეირანი შეეწყვიტა ატომური იარაღის წარმოება, თუმცა აშშ-სა და ირანს შორის ურთიერთობები კვლავ დაძაბული რჩება.

ორშაბათის სამიტის დღის წესრიგში განსახილველად შეტანილია აგრეთვე აშშ-სა და ევროგაერთიანების 25 წევრსახელწიფოს შორის ეკონომიკური ურთიერთობების საკითხი. საფრანგეთსა და ნიდერლანდებში ევროკონსტიტუციის ჩავარდნით შეშფოთებულნი არიან ამერიკელი ბიზნესმენები. ისინი შიშობენ, რომ ეს ფაქტი დიდი ევროპული ბაზრის ინტეგრირების პროცესის შენელებას განაპირობებს. ამერიკული ნაწარმის 20 პროცენტის ექსპორტი ევროკავშირის წევრ-ქვეყნებში ხდებოდა, მაშინ როდესაც ჩინეთისკენ მხოლოდ 4 პროცენტი იყო მიმართული. ევროგაერთიანების წევრ-ქვეყნებსა და აშშ-ს შორის ვაჭრობის მოცულობა მსოფლიო ბაზრის 50 პროცენტს შეადგენს, რაც ყოველწლიურად 500 მლრდ დოლარს აღწევს.

**24 საათი**

## ლიბანის "გრძელი" არჩევნები დასრულდა

კვირას ლიბანში არჩევნების ბოლო, გადამწყვეტი ეტაპი გაიმართა. აღნიშნულ ტურს დიდ მნიშვნელობას სძენდა ის გარემოებაც, რომ ის სირიის მოსაზღვრე ლიბანის რეგიონებში ჩატარდა. ქვეყნის მთავარი ოპოზიციური პარტიის ლიდერი საად ჰარირია. მას მიაჩნია, რომ **"აღნიშნული არჩევნები ლიბანის გადარჩენისა და სირიული ზეწოლისგან გათავისუფლების ბოლო შესაძლებლობაა"**. პოლიტიკოსი თებერვალში ტერორისტული აქტის შედეგად მოკლული ლიბანის ყოფილი პრემიერ-მინისტრ რაფიკ ჰარირის ვაჟია. პრემიერ-მინისტრის მკვლელობას მთელი მსოფლიოს აღშფოთება და დამასკოს მიმართ საყვედურების მოჰყვა. მოგვიანებით კი, სირიამ ლიბანიდან ჯარებიც გაიყვანა.

საად ჰარირის მთავარი პოლიტიკური ოპონენტი გენერალი მიშელ აუნია, რომელიც 14 წლის განმავლობაში ქვეყნიდან განდევნილი იყო და სამშობლოში წელს, მაისში დაბრუნდა. ჩამოსვლისთანავე, ბეირუთის აეროპორტში ათასობით მხარდამჭერის წინაშე გაკეთებული განცხადების თანახმად, ლიბანში ის ქვეყნის აღორძინების მიზნით დაბრუნდა. გენერალი 80-იან წლებში ქვეყანაში მიმდინარე სამოქალაქო ომის დროს, დროებითი სამხედრო მთავრობის ხელმძღვანელი იყო და ლიბანიდან სირიის ჯარების გაყვანისთვის იბრძოდა. წლევანდელ არჩევნებში ის პროსირიული პოლიტიკური ძალების მოკავშირედ გამოვიდა. თუმცა, გენერლის განცხადებით, ის სირიის პირველი ოპონენტია და ასეთად აპირებს დარჩენას. "ასოშეითიდ პრეს"-თან მიცემულ ინტერვიუში პოლიტიკოსის მიერ გაკეთებული განცხადების თანახმად, არჩევნების შედეგად ლიბანში ცალსახა გამარჯვებული ან დამარცხებული პოლიტიკური ძალა არ იარსებებს. ამიტომ ყველა მხარეს კომპრომისის გაკეთება მოუწევს.

ექსპერტთა პროგნოზით საად ჰარირიმ არაბი-სუნიტი ამომრჩევლის, ხოლო გენერალი აუნი სირიელ ქრისტიანთა მხარდაჭერა მიიღო. გუშინდელი ეტაპი ამ არჩევნების ბოლო, მეოთხე ტური იყო. ლიბანის ეთნიკური და რელიგიური დანაწევრების გამო ხელისუფლებამ ქვეყნის მთელს ტერიტორიაზე არჩევნების ერთდროულად ჩატარება ვერ შეძლო. აღნიშნული არჩევნები 29 მაისს დაიწყო და ოთხ ეტაპად განხორციელდა. თითოეული ეტაპი კვირა დღეს გაიმართა (პირველი ეტაპი 29 მაისს, მეორე 5 ივნისს, მესამე 12 ივნისს, ხოლო ბოლო გუშინ 19 ივნისს ჩატარდა). გასულ კვირას გამართული არჩევნების მესამე ეტაპში მნიშვნელოვანი უპირატესობა მიშელ აუნის კოალიციას ხვდა წილად. პარლამენტში უმრავლესობის დასაკავებლად გენერალს არჩევნების ბოლო ეტაპში ოცდარვიდან მხოლოდ შვიდი მანდატის, ხოლო ჰარირის ოცდაერთის დაკავება ესაჭიროება. მნიშვნელოვანია ის გარემოება, რომ 30 წლის მანძილზე არჩევნები ლიბანში სირიის საჯარისო ნაწილების ყოფნის გარეშე პირველად ტარდება.

**24 საათი**

# "დაინგრეს და გასუფთავდეს"

## კონდოლიზა რაისი ისრაელის მიერ ღაზას სექტორის დატოვებას მიესალმება

თიკო მაჭარაშვილი

*აშშ-ს სახელმწიფო მდივანი კონდოლიზა რაისი პალესტინაში ვიზიტის შემდეგ, გუშინ იერუსალიმში ისრაელის პრემიერ-მინისტრს არიელ შარონს შეხვდა. შეხვედრაზე განიხილეს ისრაელის მიერ ღაზას დაჯგუფების გაყვანის გეგმა.*

აშშ-ს სახელმწიფო მდივანმა კონდოლიზა რაისმა ისრაელის მიერ შემუშავებული ღაზას სექტორიდან ებრაული ახალშენების გაყვანის გეგმა "ისტორიულ ეტაპად" შეაფასა, რაც დააჩქარებს ახლო აღმოსავლეთში მშვიდობის დამყარების პროცესს. **"ეს არის ისტორიული ეტაპი, რომელმაც ხელი უნდა შეუწყოს ისრაელსა და პალესტინას შორის კონფლიქტის დარეგულირებას,"** - განაცხადა აშშ-ს სახელმწიფო მდივანმა ისრაელის პრემიერ-მინისტრთან არიელ შარონთან შეხვედრისას. **"ღაზას სექტორის დატოვებამ ისრაელის უსაფრთხოება უნდა აამაღლოს და ხელი შეუწყოს ისრაელისა და პალესტინის მოსახლეობის მშვიდობიან თანაცხოვრებას,"** - დაამატა კონდოლიზა რაისმა.

აშშ-ს სახელმწიფო მდივნად დანიშვნის შემდეგ ეს უკვე მისი მეორე ვიზიტია ახლო აღმოსავლეთში. **"ჩემი ვიზიტის მიზანია, დავეხმარო ორივე მხარეს, რომ დადებითად წარმართონ მოლაპარაკებები,** - ამბობს ამერიკელი დიპლომატი, - **და აგვისტოდან დაიწყოს ისრაელის მიერ ღაზას დატოვება."**

**"ისრაელის სახელმწიფო დღეს ისტორიული გზების გასაყარზე იმყოფება, დარწმუნებული ვარ, რომ ღაზას სექტორიდან გასვლა გააუმჯობესებს ჩვენს პოლიტიკურ-ეკონომიკურ მდგომარეობასა და უსაფრთხოებას,"** - განაცხადა ისრაელის პრემიერ-მინისტრმა. მან ხაზგასმით აღნიშნა, რომ ამ გადაწყვეტილების მიღება ძალიან ძნელი იყო ისრაელისთვის. არიელ შარონი იმედოვნებს, რომ ამერიკის დახმარებით, რომელსაც "ძალიან მნიშვნელოვანი როლი აქვს შესასრულებელი", ისრაელი შეძლებს ამ გეგმის განხორციელებას, რაც თავის მხრივ მოქმედებაში მოიყვანს 2003 წელს აშშ-ს, ევროკავშირის, რუსეთისა და გაეროს მიერ შემუშავებულ პროექტს, რომლის თანახმადაც უნდა შეიქმნას პალესტინის დამოუკიდებელი სახელმწიფო. **"ყველაფერი დამოკიდებულია პალესტინის მხარეზე, რომელმაც თავის ადმინისტრაციაში უნდა გაატაროს სათანადო რეფორმები, რომ აღმოფხვრას ტერორიზმი და ძალადობა,"** - განაცხადა ისრაელის პრემიერ-მინისტრმა.

ისრაელში ამერიკის სახელმწიფო მდივანი კონდოლიზა რაისი შეხვდა აგრეთვე თავის კოლეგას - სილვან შარომს. **"ჩვენ ყველაფერი უნდა გავაკეთოთ, რომ ხელიდან არ გავუშვათ ეს საუკეთესო შემთხვევა, რათა ვაიძულოთ პალესტინის მმართველები, მიახდინონ ექსტრემისტთა იზოლირება,"** - განაცხადა შარომმა ამერიკელ დიპლომატთან შეხვედრისას.

იერუსალიმში ჩასვლამდე კონდოლიზა რაისი შაბათს რამალაში იმყოფებოდა, სადაც პალესტინის ადმინისტრაციის მეთაურს მაჰმუდ აბასს შეხვდა. ვიზიტისას აშშ-ს სახელმწიფო მდივანმა ხაზი გაუსვა ისრაელის მიერ პალესტინელი პატიმრების განთავისუფლების აუცილებლობას, რომელთაგან 7 ათასი ისრაელის ციხეებში იმყოფება. ამასთანავე მან აღნიშნა, რომ პალესტინის ადმინისტრაციის მხრიდან უკვე გადადგმულია სერიოზული ნაბიჯები, მაგრამ **"კიდევ დიდი ძალისხმევაა საჭირო პალესტინაში ტერორისტული დაჯგუფებების აღმოსაფხვრელად"**.

მაჰმუდ აბასმა, თავის მხრივ განაცხადა, რომ პალესტინა მზად არის ითანამშრომლოს ისრაელთან, რათა განახორციელოს ღაზას სექტორიდან ისრაელის ჯარების გაყვანა.

ასე რომ, როგორც ამერიკელმა დიპლომატმა ისრაელსა და პალესტინაში ვიზიტის შემდეგ აღნიშნა, ორივე მხარე მზად არის "დაინგრეს და გასუფთავდეს" ღაზას სექტორი.

# მონასტერში ახალგაზრდა მონოზონი ჯვარზე გააკრეს

**ბუქარესტი, რუმინეთი. ფრანს-პრესის სააგენტო, 18 ივნისი.**

18 ივნისს, რუმინეთის ჩრდილო-აღმოსავლეთით მდებარე ქ. ვასლუის პროკურატურამ სისხლის სამართლის საქმე აღძრა მღვდელ დანიელ კოროგეანუსა და ტანაკუს მართლმადიდებლური დედათა მონასტრის ოთხი მონოზონის წინააღმდეგ, რომელთაც ჯვარზე გააკრეს ახალგაზრდა მონოზონი, რომელიც 15 ივნისს გარდაიცვალა.

ეკლესიის ხუთ მსახურს ბრალი ედებათ "ძალადობრივ ქმედებაში", რომელმაც გამოიწვია ოცდასამი წლის მონოზონ ირინეს სიკვდილი. ის მათ ჯვარზე გააკრეს, რადგან თვლიდნენ, რომ ირინე " ეშმაკს ჰყავდა შეპყრობილი".

ტანაკუს ყოვლადწმინდა სამების სახელობის მონასტრის ოცდაოთხი მონოზონი იქნა დაკითხული პროკურატურის გამომძიებლის მიერ.

გამოძიების თანახმად, 10 ივნისს მონასტრის წინამძღვარმა მამა დანიელმა, რომელსაც ოთხი მონოზონი ეხმარებოდა, ხელ-ფეხ შეკრული ახალგაზრდა მონოზონი პატარა ოთახში ჩაკეტა, რათა "მისგან ბოროტი განეგდო". სამი დღის შემდეგ, იმის გამო, რომ ირინე ხმამაღლა ყვიროდა, მათ გადაწყვიტეს ჯაჭვებით ჯვარზე დაებათ იგი და გაეჯოხათ. მოგვიანებით მონოზონი ირინე მკვდარი იპოვეს. რუმინეთის მართლმადიდებელი ეკლესიის ოფიციალურმა წარმომადგენელმა ამ მკვლელობას "შემაძრწუნებელი" უწოდა და განაცხადა, რომ "ასეთ უპრეცედენტო ბარბაროსულ პრაქტიკას არაფერი აქვს საერთო მონასტრულ სულიერებასა და ტრადიციებთან".

ჰუზის მართლმადიდებლურმა საეპისკოპოსომ, რომლის დაქვემდებარებაშიც იმყოფება ტანაკუს მონასტერი, გამოძიების დასრულებამდე მღვდელმოქმედება აუკრძალა მამა დანიელს. "თუ აღმოჩნდება, რომ მღვდელი და ოთხი მონოზონი დამნაშავეები არიან ახალგაზრდა ქალის მკვლელობაში, მონასტერი დაიხურება," - განაცხადა მთავარხუცესმა კორნელიუ ბარლადეანუმ. სააგენტო მედიაფაქსის ცნობით, მონოზონი ირინე სამი თვის წინ აღიკვეცა და მანამდე თითქოს ქ. ვასლუის საავადმყოფოში მკურნალობდა "შიზოფრენიის " დიაგნოზით. მაგრამ ბავშვთა დაცვის ადგილობრივი ორგანიზაციის დირექტორის იონელ ბრატიანუს ცნობით, ირინე ცხრამეტ წლამდე უპატრონო ბავშვთა თავშესაფარში იზრდებოდა და "ყოველთვის კარგი ჯანმრთელობით გამოირჩეოდა, მას არანაირი ფსიქიური პრობლემები არ ჰქონია".



*მღვდელი დანიელი.*

მისივე განცხადებით, მონოზონმა ირინემ, საერო ცხოვრებაში მარიკა კორნიჩიმ, ოთხი წლის წინ მკაცრი სამედიცინო შემოწმება გაიარა გერმანიის საელჩოში, რათა ამ ქვეყანაში ბავშვის მომვლელად მუშაობის ნებართვა მიეღო.

"ფსიქოლოგიური და ფსიქიატრიული შემოწმების შედეგად მან ეს ნებართვა მიიღო და ორი წელი მუშაობდა გერმანელი ექიმების ოჯახში," - ამბობს ი. ბრატიანუ.

პარასკევს საღამოს, თავსხმა წვიმაში ათიოდე მონოზონი მიუყვებოდა ტანაკუს მართლმადიდებლური მონასტრისაკენ მიმავალ გზას და თან მონოზონ ირინეს ცხედარს მიასვენებდა.

შავით მოსილი სილუეტები შუაღამემდე რამდენიმე წუთით ადრე უხმაუროდ შევიდნენ მონასტერში და ცხედარი ეკლესიასთან ახლომდებარე სათავსოში დაასვენეს.

"მას არა აქვს უფლება, რომ მისი ცხედარი ეკლესიაში დაასვენონ, რადგან იგი მოჯადოებული იყო," - აცხადებს მონოზონთაგან ერთ-ერთი - მართა.

სამგლოვიარო პროცესიის გამო ზარიც არ დაურეკავთ. მონოზონები ეჭვით ათვალიერებენ რამდენიმე უცხოელს, მათ შორის ფრანს-პრესის ჟურნალისტებს, რომლებიც ამ მკაცრ რიტუალს ესწრებიან.

მხოლოდ ჭექა-ქუხილი არღვევს სიჩუმეს. ტანაკუს მონასტრის წინამძღვარი მამა დანიელი, რომელმაც ჯვარზე გააკრა მონოზონი ირინე, აცხადებს: "ჭექა-ქუხილი იმის ნიშანია, რომ ღვთის ნება აღსრულდა." " შეხედეთ მას," - ამბობს მღვდელი და ცხედარზე მიანიშნებს, რომელსაც ჯერ კიდევ ატყვია ძალადობის კვალი - "ღმერთმა სასწაული მოახდინა და ირინე საბოლოოდ გაათავისუფლა ბოროტისაგან," - განუცხადა მან ფრანს-პრესს. შემდეგ მცირე პანაშვიდი გადაიხადა "მიცვალებულის სულისათვის". პანაშვიდს ცამეტი მონოზონი ესწრებოდა, რომელთაც არანაირი ემოცია არ გამოუხატავთ.

მამა დანიელი ოთხი წელია ტანაკუს მონასტერში ცხოვრობს. მონასტერი რუმინეთის ყველაზე ღარიბი რეგიონის მთებშია ჩაკარგული და წყალი და ელექტროენერგია არ მიეწოდება. მამა დანიელი ამტკიცებს, რომ რელიგიური სწავლების მიხედვით "სრულიად სამართლიანად" გააკრა ჯვარზე ახალგაზრდა მონოზონი.

"გარეთ, თქვენს სამყაროში, ადამიანებმა უნდა იცოდნენ, რომ ეშმაკი არსებობს. პირადად მე, ადვილად შემიძლია მისი მოქმედება ამოვიცნო შეპყრობილი ადამიანის ქცევისა და სიტყვების მიხედვით. ადამიანი სუსტია და ხშირად ექცევა ბოროტი ძალების გავლენის ქვეშ," - ამბობს ოცდაცხრა წლის მღვდელი, რომელიც გრძელ ჟღალ წვერს ატარებს.

"არ მესმის რატომ ახმაურდნენ ჟურნალისტები. ეშმაკის განგდების რიტუალი რუმინეთის მართლმადიდებელი ეკლესიის წიაღში გავრცელებული პრაქტიკაა და ჩემი მეთოდები კარგადაა ცნობილი სხვა მღვდლებისათვის". მამა დანიელმა ფრანს-პრესს განუცხადა, რომ მართლმადიდებელი იერარქია მის განკვეთას აპირებს და ამიტომ მას სურს დაიქირავოს "კარგი ადვოკატი".

"მსურს ისეთი ადვოკატის პოვნა, ვინც მიხვდება ჩემს ჭეშმარიტ მისიას ეშმაკის წინააღმდეგ ბრძოლაში," - ამბობს ის.

მრევლის წევრი დორა, 34 წლის: "მოვედი, რათა მამა დანიელი ცილისმწამებლებისაგან დავიცვა. მონოზონი ირინე სასჯელის ღირსი იყო, რადგან ერთ კვირა დღეს, წირვისას, მამაოს შეურაცხყოფა მიაყენა მრევლის წინაშე".

სოციოლოგი ალფრედ ბულაი აცხადებს, რომ ფიზიკური სასჯელები რუმინეთის ზოგიერთ მონასტერში ხშირად გამოიყენება. "ეს განსაკუთრებით ეხება მოშორებით მდებარე მონასტრებს, რომელთა წინამძღვრები ვერ ერკვევიან თანამედროვე ცხოვრების ნორმებსა და რეალობებში," - დასძენს იგი.

რუმინეთის 22 მილიონიანი მოსახლეობის 85 პროცენტი თავს მართლმადიდებელ ეკლესიას მიაკუთვნებს. სოციოლოგიური გამოკითხვების მიხედვით მოსახლეობის უმრავლესობა აბსოლუტურ ნდობას ეკლესიას უცხადებს.

# ირანი: წინ არჩევნების მეორე ტურია

*ირანის ისლამურ რესპუბლიკაში პირველად საპრეზიდენტო არჩევნების მეორე ტური ჩატარდება. ერთმანეთს დაუპირისპირდებიან წინასწარ ფავორიტად შერაცხული კანდიდატი აკბარ ჰაშემი რაფსანჯანი (ყოფილი პრეზიდენტი, სასულიერო პირი, რომელიც ზომიერი კურსის მომხრედ არის მიჩნეული) და ახლადმოვლენილი ლიდერი მაჰმუდ აჰმადინეჯადი (თეირანის მერი, რადიკალური კონსერვატიული ძალების წარმომადგენელი).*

პარასკევს ჩატარებულ არჩევნებში, საარჩევნო ურნებთან მისული ამომრჩევლის რაოდენობამ 28,85 მლნ შეადგინა. ეს ციფრი მთელი ელექტორატის დაახლოებით 62 პროცენტია. რასაკვირველია, ეს არ არის ძალიან დიდი მაჩვენებელი, მაგრამ იმისთვის, რათა აშშ-ს პრეზიდენტის მიერ გამოთქმული შენიშნვნები ირანში არსებულ "რელიგიურ დემოკრატიაზე" უგულებელყოს, სრულიად საკმარისია. აშკარაა, ამჟამინდელი რეჟიმის მოწინააღმდეგე ძალების მოწოდებებმა არჩევნების ბოიკოტის თაობაზე შედეგი არ გამოიღო. სავარაუდოდ, კიდევ უფრო მეტი ხალხი მივა 24 ივნისს დაგეგმილ მეორე ტურში მონაწილეობის მისაღებად.

სხვათა შორის, პროგნოზები იმის თაობაზე, რომ ამომრჩევლის ხმები, კანდიდატთა თითქმის თანაბარი ძალების გამო, გაიყოფოდა, თავიდანვე გამოითქვა. 17 ივნისის არჩევნების შედეგად, არათუ ხმების ნახევარზე მეტი ვერ დააგროვა ვერც ერთმა კანდიდატმა, არამედ ელექტორატის მეოთხედის მხარდაჭერაც ვერავინ მოიპოვა.

პირველი და მეორე ადგილები დაიკავეს ირანის ყოფილმა პრეზიდენტმა აკბარ ჰაშემი რაფსანჯანიმ და თეირანის მერმა მაჰმუდ აჰმადინეჯადმა - ყოფილ პრეზიდენტს ამომრჩეველთა ხმების 21 პროცენტამდე ერგო, ხოლო აჰმადინეჯადს - 19,5 პროცენტი.

საგულისხმოა, რომ მესამე ადგილზე გასულ მეჰდი ქარუბის ძალიან ცოტა დააკლდა. წინასწარი მონაცემებით, სხვათა შორის სწორედ იგი ხვდებოდა მეორე ტურში და არა აჰმადინეჯადი. ალბათ, ამის გამო იყო, რომ განაწყენებული კანდიდატი შაბათს საღამოს უკვე გაყალბების ფაქტებზე ლაპარაკობდა. მისი თქმით, ბევრი ამომრჩეველი მოისყიდეს, ამასთან ადგილი ჰქონდა "კარუსელებსაც". თუმცა, საეჭვოა, ახლა მსგავსმა განცხადებებმა რამე შეცვალოს.

აღსანიშნავია, რომ თუ რაფსანჯანის გამარჯვებას მეტ-ნაკლებად ყველა წინასწარმეტყველებდა, რადიკალი კონსერვატორების ასეთ წარამტებას არავინ მოელოდა. თავად თეირანის მერიც კი არ ელოდა ასეთ შედეგებს. როგორც სააგენტო ბიბისი იტყობინება, აჰმადინეჯადის საარჩევნო შტაბში პრესკონფერენციისთვის ადგილიც კი არ იყო მომზადებული. "მე ხალხის კანდიდატი ვარ," - განაცხადა აჰადიმეჯადმა არჩევნების შედეგების გამოცხადების შემდეგ. სავარაუდოდ, თეირანის მერს დედაქალაქის ულარიბესი რაიონების მცხოვრებლებმა დაუჭირეს მხარი.

სააგენტოები იტყობინებიან, რომ რეფორმისტები და ზომიერი კონსერვატორები ძალების გაერთიანებას გეგმავენ, რათა თეირანის მერის სათავეში მოსვლა არ დაუშვან.

მეორე ტური პარასკევს გაიმართება. მასში გამარჯვების მოსაპოვებლად ხმების უბრალო უპირატესობაც კი საკმარისი იქნება.

**24 საათი**





## "თიბისი ბანკის" 9 ნაბიჯი მომხმარებლისკენ

**საქართველოს საბანკო სექტორში სიახლეების ძირითადი შემომტანი - "თიბისი ბანკი" ტრადიციულად ნოვატორის ამპლუაში გვევლინება და საზოგადოებას მორიგ ინიციატივას სთავაზობს - "თიბისი ბანკის" 9 ნაბიჯი მომხმარებლისკენ. ბანკის ამ ახალი კამპანიის მიზანია 9 კონკრეტული სიახლის განხორციელება 9 კვირის განმავლობაში, მომხმარებლებისთვის მომსახურების გაუმჯობესებისა და ახალი სერვისების შეთავაზების მიმართულებით.**

**"თიბისი ბანკის' 9 ნაბიჯი რამდენიმე ძირითადი მიმართულებით გადაიდგმება. კერძოდ, ბანკის მიზანია მომხმარებელთან მაქსიმალური "მიახლოება" უშუალო კომუნიკაციის საშუალებით და მის მოთხოვნილებებზე მორგება, ახალი თანამედროვე საბანკო პროდუქტების დანერგვა და არსებული სერვისების დახვეწა მომხმარებელთა საჭიროების შესაბამისად.**

### "თიბისი ბანკის" ნაბიჯები კლიენტებისაკენ

კამპანია "9 ნაბიჯი მომხმარებლისაკენ" ორი თვის წინათ დაიწყო 20-წლიანი იპოთეკური სესხების შემოღებით, რამაც ბანკს მკვეთრად გაუმყარა კონკურენტული უპირატესობა ადგილობრივ ბაზარზე და, ამასთან, ბინის შეძენა თუ აშენება ხელმისაწვდომი გახადა საშუალო ფენებისთვისაც.

"თიბისი ბანკმა" იპოთეკური სესხები ქვეყნის საბანკო ბაზარზე ჯერ კიდევ 4 წლის წინათ დანერგა და ამ მიმართულებით ლიდერის პოზიციაც დაიმკვიდრა. იპოთეკური სესხების ვადის 20 წლამდე გაზრდას მოყვა ბანკის მორიგი ნაბიჯი - საკრედიტო ბარათების შემოღება. "თიბისი ბანკის" საკრედიტო ბარათი - ესაა სესხის აღების სწრაფი და მოხერხებული საშუალება, ფაქტობრივად უვადო კრედიტი, რომელიც მომხმარებელს შეუძლია ნებისმიერი საჭიროებისთვის გამოიყენოს

"თიბისი ბანკის" ერთ-ერთი ნაბიჯი სადაზღვევო მომსახურებასთანაა დაკავშირებული. ერთი თვეა, რაც ბანკი თავის კლიენტებს საბანკო მომსახურებასთან ერთად, სადაზღვევო და საპენსიო პროდუქტებს კომპლექსური სახით სთავაზობს.

18 მაისიდან "თიბისი ბანკი", "თიბისი ტვ"-თან, ტელეკომპანია "რუსთავი 2"-სა და კომპანია "მაგი სტილთან" ერთად 4 თვის განმავლობაში განახორციელებს ერთობლივ აქცია-პროექტს, რომელიც მიზნად ისახავს საშუალო ბიზნესის ხელშეწყობას და მათი პროდუქციის პოპულარიზაციას, შეღავათიანი პირობებით სარეკლამო მომსახურების გაწევის გზით.

"თიბისი ბანკი" თვეზე მეტია, რაც მომხმარებელს სამომხმარებლო სესხების პირობებს გამარტივებული პირობებით სთავაზობს. სამომხმარებლო სესხი გამოიყენება საოჯახო, პირადი ნივთების შესაძენად, ოჯახის და ნებისმიერი პირადი ხარჯების დასაფინანსებლად. სესხის მინიმალური მოცულობა 500 ამერიკული დოლარი ან 1000 ლარია. სესხის მაქსიმალური მოცულობა ადრე 25 ათასი აშშ დოლარი იყო, 1 მაისიდან კი "თიბისი ბანკის' სამომხმარებლო სესხების მოცულობა შეუზღუდავია, ანუ მოიხსნა ზედა ზღვარი.

გარდა ამისა, "თიბისი ბანკის" ერთ-ერთი ნაბიჯი კლიენტურის წახალისების აქციასაც ითვალისწინებდა. ბანკი და კომპანია "ვიზა" წარმოგიდგენთ ვიზა ბარათების ფესტივალს დევიზით: მოუწყვეთ თქვენს შვილებს დღესასწაული, იმოქმედეთ მარტივად და გაატარეთ დაუვიწყარი არდადეგები ოჯახთან ერთად პარიზის დისნეილენდში.

1 მაისიდან 15 ივლისამდე, "თიბისი ბანკის" ვიზა ბარათის მფლობელი, რომელიც საქართველოში ყველაზე მეტ სავაჭრო ობიექტში ბარათით შეიძენს პროდუქციას, ოჯახთან ერთად გაემგზავრება პარიზის დისნეილენდში. გამარჯვებულს ელის დაუვიწყარი ატრაქციონები, საღამოები და ფეიერვერკები დისნეის გმირებთან ერთად. აქციის შედეგებს 2005 წლის 22 ივლისს "თიბისი ბანკი" შეაჯამებს.

ახალი მომსახურების შემოღება და არსებული სერვისების პირობების გაუმჯობესება ბაზარზე "თიბისი ბანკის" კონკურენტულ უპირატესობას ამყარებს. **"თიბისი ბანკი" უახლოეს ხანებში მომხმარებელს სხვა მომსახურებებსაც გამარტივებული და გაუმჯობესებული პირობებით შესთავაზებს.**

### უპრეცედენტო ინოვაცია - სავალუტო ოპერაციების სრული სპექტრი

"თიბისი ბანკის" მორიგი ნაბიჯი კორპორატიულ კლიენტებზეა გათვლილი. ბანკი ითვალისწინებს რა მომხმარებლის აზრს, ერგება მის მოთხოვნილებას და უადვილებს საქმიანობას.

1 ივნისიდან "თიბისი ბანკი" კორპორატიულ კლიენტებს სავალუტო ოპერაციებში უპრეცედენტო ინოვაციებს სთავაზობს: სავალუტო რისკის დაზღვევა "სვოპებით" და "ფორვარდებით", სავალუტო ოფციონები, საპროცენტო რისკების დაზღვევა, მოკლევადიანი დეპოზიტები, უცხოეთის ფასიან ქაღალდებში თანხების განთავსება და სხვა.

ექსპერტთა შეფასებით, ამ ახალი სერვისების წყალობით საქართველოში მსხვილი სავალუტო ოპერაციები უფრო მომგებიანი, ურისკო და მრავალფეროვანი გახდება. მაღალხარისხიან და პროფესიონალურ მომსახურებას "თიბისი ბანკის" ხაზინისა და ფინანსური სერვისის დეპარტამენტი უზრუნველყოფს.

**"სავალუტო ოპერაციები"** - ეს არის ვალუტის სწრაფად, ბაზარზე არსებული საუკეთესო კურსით ყიდვა-გაყიდვის საშუალება. სავალუტო ოპერაციები გათვლილია კომპანიებზე, რომლებსაც უცხოური ვალუტების კონვერტაციაზე სისტემატური მოთხოვნა გააჩნიათ, სჭირდებათ დროის დაკარგვის გარეშე განახორციელონ სავალუტო ოპერაციები და სურვილი აქვთ თავი აარიდონ საკონვერსიო ოპერაციების მაღალ მარჟებს.

**"მაქსიმალურად ვცდილობთ გავითვალისწინოთ კლიენტის მოთხოვნილება და დავაკმაყოფილოთ მისი ინტერესები. საზღვარგარეთ, მათ შორის აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებში ფართოდ გამოყენებული ფინანსური ინსტრუმენტები - "სვოპები" და "ფორვარდები" საშუალებას მისცემს ქართულ კომპანიებს ოპტიმალურად მართონ სავალუტო რისკები, რადგან აღნიშნულ რისკებს კორპორატიული კლიენტები ბანკის დახმარების გარეშე, დამოუკიდებლად ვერ მართავენ. ამიტომ ჩვენ მათ ვთავაზობთ სახაზინო პროდუქტების ფართო სპექტრს, მათი ფინანსური რისკების მაქსიმალურად დაზღვევის მიზნით. ვადიანი სავალუტო ოპერაციები მომავალში ვალუტის კურსის ცვლილებით გამოწვეული პოტენციური ზარალისგან დაზღვევის საუკეთესო საშუალებაა,"** - სახაზინო პროდუქტების ეფექტურობაზე საუბრობს "თიბისი ბანკის" ხაზინის განყოფილების უფროსი თენგიზ ტყეშელაშვილი.

"სვოპები" და "ფორვარდები" გათვლილია კომპანიებზე, რომლებიც ფართოდ არიან ჩართული საექსპორტო და საიმპორტო ოპერაციებში, ხარჯების გაწევა ან დაფინანსება ხდება სხვა და სხვა ვალუტაში, რის გამოც ესაჭიროებათ სავალუტო კურსის ცვალებადობით მიყენებული ზარალისგან დაზღვევა.

**"სვოპ ოპერაციების საშუალებით შესაძლებელია ვალუტის ყიდვა-გაყიდვა წინასწარ შეთანხმებულ თანხაზე, ვადაზე და დაგენილი კურსით. კერძოდ, კომპანიას შესაძლებლობა აქვს მიიღოს მიმდინარე ოპერაციებისთვის საჭირო ვალუტა, ხოლო გარკვეული პერიოდის შემდეგ დაიბრუნოს გარიგების თანხა წინასწარ შეთანხმებული კურსით. "ფორვარდული" ანუ სამომავლო გარიგება მომხმარებელს საშუალებას აძლევს დააზღვიოს მომავალი სავალუტო რისკები. გარიგების დადების დროს კი ბანკთან თანხმდება კონვერტაციის შესრულების კურსი, თანხა და დღე. ვალუტის დადგენილ კურსში სამომავლო გარიგება აზღვევს კურსის მერყეობით გამოწვეულ რისკს,"** - განმარტავს ხაზინის განყოფილების ხელმძღვანელი.

მნიშვნელოვანია ერთი დეტალი: წინასწარ დაფიქსირებული კურსით სამომავლო გარიგება, კურსის არახელსაყრელი ცვლილებების შემთხვევაში, შეიძლება წამგებიანი აღმოჩნდეს კომპანიისთვის. ამ რისკის დაზღვევის მიზნით "თიბისი ბანკი" კომპანიებს სთავაზობს დასავლეთში ფართოდ გამოყენებულ გარიგებას - სავალუტო "ოფციონს" (ინგლისურად არჩევანს ნიშნავს).

**"სავალუტო ოფციონები კურსის ცვლილებით გამოწვეული ზარალისგან დაზღვევის ყველაზე მოქნილი მეთოდია. ოფციონი მომხმარებელს საშუალებას აძლევს იყიდოს ან გაყიდოს სასურველი ვალუტა წინასწარ შეთანხმებულ დღეს. აგრეთვე უფლება აქვს გააუქმოს გარიგება ბაზარზე არსებული არახელსაყრელი კურსის პირობებში, თუმცა ამ მომსახურებით სარგებლობისთვის აუცილებელია ოფციონის საკომისიო წინასწარი გადახდა, რომელიც თანხის 0,5%-დან 1,5%-მდე მერყეობს. ამიტომაც ოფციონი გათვლილია მომხმარებელზე, რომელიც მზად არის დადოს ვალუტის სამომავლო ყიდვა-გაყიდვის გარიგება და სურვილი აქვს დაიტოვოს ამ გარიგების გაუქმების შესაძლებლობაც",** - სახაზინო პროდუქტების შესაძლებლობებზე მიანიშნებენ "თიბისი ბანკში".



მოკლედ

### ინვესტორები ნავთობისა და გაზსადენების მშენებლობაში მილიარდი დოლარის ინვესტიციას ახორციელებენ

საქართველოს ტერიტორიაზე ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის ნავთობსადენის (BTC) და სამხრეთკავკასიის გაზსადენის (SCP) მშენებლობებში განხორციელებული ინვესტიციების საერთო მოცულობა, დაახლოებით, მილიარდ დოლარს მიაღწევს.

სააგენტო "ტრენდის" ცნობით, სახსრები, რომლებიც საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტში პორტებისა და სარკინიგზო ინფრასტრუქტურის გამოყენებისთვის BTC-სა და SCP-ს მშენებლობის დროს, ასევე საბაჟო და სახელფასო გადასახადების სახით იქნება გადარიცხული, 25 მილიონ დოლარს მიაღწევს, ხოლო სახელფასო სახსრების მოცულობა 14 მილიონ დოლარს გაუტოლდება.

მოსახლეობას ინვესტორები გადაუხდიან 5 მილიონ დოლარს, ხოლო სამ მილიონ დოლარამდე გარემოს დაცვის პროგრამის ინვესტირებაზე გახარჯავენ.

ამჟამად აღნიშნული პროექტების ფარგლებში საქართველოში დასაქმებულია 6 ათასამდე ადამიანი, მათ შორის 85 % საქართველოს მოქალაქეა.

როგორც ჟურნალისტებს საზოგადოებასთან ურთიერთობაში BP Geogia-ს მენეჯერმა დევიდ გლენდინინგმა უთხრა, ამჟამად SCP-ის მშენებლობა, რომლის საშუალებითაც "შაჰდენიზის" საბადოდან აზერბაიჯანული ბუნებრივი აირის, უქსპორტი მოხდება, საქართველოს ტერიტორიაზე 50%-ითაა შესრულებული. "საქართველოს მოთხოვნილება ბუნებრივ აირზე წელიწადში 1,2 მლრდ კუბამეტრს შეადგენს, რაც ათი წლის განმავლობაში კიდევ გაიზრდება", - აღნიშნა მან.

მისი თქმით, BTC-სა და SCP-ს მილსადენებიდან შემოსავალი საქართველოსთვის 1 მილიარდ დოლარს გადააჭარბებს. ამასთან, წელიწადში 700 მლნ დოლარი მიღებული იქნება BTC-დან, ხოლო 350 მლნ - SCP-დან.

ამჟამად საქართველოს ტერიტორიაზე BTC-ის მილსადენის მშენობლობა 90%-ითაა შესრულებული. ივლისის ბოლოსთვის აზერბაიჯან-საქართველოს საზღვარზე BTC-ის მილსადენში ნავთობის პირველ პარტიას ელოდებიან. ამავე თვის განმავლობაში ნავთობით დაიტვირთება ამ მილსადენის საქართველოს მონაკვეთი, ხოლო სექტემბრისათვის ის თურქეთის საზღვრამდე მიაღწევს. **პრაიმ-ნიუსი**

### თბილისის რამდენიმე უბანს გაზის მიწოდება ორი დღით შეუწყდა

თბილისის გაზგამანაწილებელი კომპანია "თბილგაზი" შაბათს და კვირას ზამთრის მოსამზადებელ სამუშაოებს აწარმოებს, რის გამოც დედაქალაქის რამდენიმე რაიონს გაზის მიწოდება შეუწყდა.

როგორც "თბილგაზში" აცხადებენ, სარეაბილიტაციო სამუშაოები მტკვირის მარჯვენა და მარცხენა სანაპიროების ზოგიერთ მონაკვეთზე ჩატრდა. შაბათ-კვირას გაზმომარაგება არ განხორციელებულა მარჯანიშვილის ხიდი-ორთაჭალის და 300 არაგველის ქუჩიდან ბოჭორმის ქუჩის ჩათვლით მდებარე უბნებში.

"თბილგაზის" ინფორმაციით, კომპანია სარეაბილიტაციო სამუშაოების პარალელურად უსაფრთხოების ზომების გაძლიერების სამუშაოებსაც ასრულებს, რაც შაბათიდან თბილისში მდებარე კორპუსებში გაზგაყვანილობის ქსელის ტექნიკური მდგომარეობის შემოწმებას გულისხმობს. კომპანიის გათვლებით, სამუშაოები, რომელიც თბილისის მთავრობასთან შეთანხმებულია, სამ დღეს გასტანს.

"სამუშაოების დასრულების შემდეგ, გაზმომარაგება მხოლოდ იმ აბონენტებს აღუდგებათ, რომლებსაც მომხმარებული გაზის საფასური გადახდილი აქვთ" - განაცხადეს " თბილგაზში". **24 საათი**

### ქვესადგურ "დიდი ზესტაფონის" სარეაბილიტაციო სამუშაოები დასრულდა

ქვესადგურ "დიდ ზესტაფონზე" ორი დღის წინ დაწყებული სარეაბილიტაციო სამუშაოები, რომლებმაც საქარტველოს მასშტაბით გარკვეული ენერგოშეფერხებები გამოიწვია, შაბათს დასრულდა.

როგორც საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემაში განაცხადეს, დასავლეთის და აღმოსავლეთ ენერგოსისტემების დამაკავშირებელი ქვესადგურის რეაბილიტაციით სისტემის საიმედოობა ამაღლდა, რამაც მოსალოდნელი ავარიების რიცხვის შემცირება უნდა გამოიწვიოს.

ელექტროსისტემის ინფორმაციით, ქვესადგურის რეაბილიტაციისას რეგიონებს დილის და საღამოს პიკის საათებში ელექტროენერგია შეზღუდვებით მიეწოდებოდათ.

მოსალოდნელი ენერგოდეფიციტის თავიდან აცილების მიზნით, 14 ივნისს ჩაირთო თბილსრესის მე-3 ენერგობლოკი, რომელიც რეაბილიტაციის დასრულებამდე სისტემას დღე-ღამეში 130 მეგავატი სიმძლავრის ელექტროენერგიას აწვდის. სარეაბილიტაციო სამუშაოების დასრულების შემდეგ მე-3 ენერგობლოკი კვლავ გაჩერდება. **24 საათი**

### მიწისქვეშა წყალგამშვები გვირაბი დაზიანდა

მესტიის რაიონის სოფელი ხაიშთან ჩამონგრეულმა კლდემ მიწისქვეშა წყალგამშვები გვირაბი მთლიანად დააზიანა. გვირაბის საშუალებით წყალი ენგურჰესს მიეწოდებოდა, ენგურჰესიდან კი - საბერიოს ვარდნილ ჰესს.

დაზიანდა მესტიასთან დამაკავშირებელი სავალი გზაც, რის გამო გზაზე მოძრაობა შეწყვეტილია. ექსპერტები არ გამორიცხავენ, რომ ენგურჰესის კაშხალზე შემავალმა მდინარე ხაიშურამ კალაპოტი გაარღვიოს. მათ მდგომარეობის გამოსასწორებელი კონკრეტული გეგმა ჯერჯერობით, არ აქვთ. **მედიანიუსი**

### ბანკების ვალდებულებები 116 მლნ ლარით გაიზარდა

საქართველოს საბანკო სისტემის მთლიანი ვალდებულებები საანგარიშო წლის დასაწყისთან შედარებით 116 მილიონი ლარით გაიზარდა.

საქართველოს ეროვნული ბანკის (სებ) ცნობით, გაზრდილი დეპოზიტების, დივიდენდების, კაპიტალის, კაპიტალის რეზერვების და სხვა ვალდებულებების მოცულობამ, მიმდინარე წლის 5 თვის მონაცემებით, 1 443 მილიონი ლარი შეადგინა.

სებ-ის განმარტებით, ვალდებულებების ზრდის დინამიკა ბოლო ხუთი წლის განმავლობაში შეიჩნევა, რაც ბანკების მიერ მოზიდული დეპოზიტების მატებას უკავშირდება.

ამ პერიოდში დეპოზიტების ხვედრითი წილი მთლიან ვალდებულბებში 70%-80%-ის ფარგლებში მერყეობდა. აქედან 56% ფიზიკურ პირებზე მოდის, რაც, ექსპერტთა განმარტებით, საფინანსო ინსტიტუტების სტაბილურ განვითარებაზე მიუთითებს. **პრაიმ-ნიუსი**

# ლარის გაცვლითი კურსი THE ECONOMIST-ის "ბიგ მაკის ინდექსის" მიხედვით

*ვალუტის გაცვლითი კურსი ერთ-ერთი ყველაზე რთულად პროგნოზირებადი ეკონომიკური მაჩვენებელია. იმავდროულად, ძალზე ხშირად ვალუტების მოსალოდნელი დინამიკის განჭვრეტა, როგორც საფინანსო ბაზრის პროფესიონალთა, ისე რიგითი მოქალაქეების ცხოველი ინტერესის საგანი ხდება. გაცვლითი კურსის გრძელვადიანი პროგნოზირებისათვის ცნობილმა ბრიტანულმა ჟურნალმა "ეკონომისტმა" მეტად მარტივი და ერთობ საინტერესო მეთოდი შეიმუშავა. 1986 წლიდან იგი რეგულარულად აქვეყნებს ე. წ. ბიგ მაკის ინდექსს, რომლის მიხედვითაც ორ სხვადასხვა ქვეყანაში კომპანია "მაკდონალდსის" საფირმო ჰამბურგერის - "ბიგ მაკის" ფასების ერთმანეთთან შედარებით გამოითვლება ამ ორი ქვეყნის ვალუტათა კურსები.*

ამ, ერთი შეხედვით, მარტივ მიდგომას მეცნიერული საფუძველიც გააჩნია. იგი ეყრდნობა ე.წ. მსყიდველობითუნარიანობის პარიტეტის თეორიას, რომლის თანახმადაც ორი ქვეყნის ვალუტების კურსი გრძელვადიან პერიოდში უნდა ასახავდეს ამ ქვეყნებში ერთი და იმავე პროდუქტის კალათის ფასებს შორის თანაფარდობას. სხვა სიტყვებით, ერთმა და იმავე ვალუტამ, მაგალითად აშშ დოლარმა, ადგილობრივ ვალუტაზე კონვერტაციის შემდეგ, უნდა იყიდოს იდენტური სამომხმარებლო კალათა. ასეთი მომცრო კალათის მაგალითი სწორედ მაკდონალდსის "ბიგ მაკია". ეს პროდუქტი მსოფლიოს 120 ქვეყანაში სტანდარტული რეცეპტით მზადდება და, შესაბამისად, ერთნაირ კომპონენტებს შეიცავს. მართალია, ის მსყიდველობითუნარიანობის პარიტეტის სრულყოფილ საზომად ვერ ჩაითვლება, მაგრამ, ხშირ შემთხვევაში, საკმაოდ რეალისტურ შეფასებებს იძლევა.

"ბიგ მაკი" უკვე შვიდი წელია საქართველოშიც იწარმოება. საინტერესოა, თუ როგორია მისი მეშვეობით დათვლილი ინდექსი ქართული ლარისათვის? აშშ-ის ოთხი დიდი ქალაქის მიხედვით გაანგარიშებული "ბიგ მაკის" საშუალო ფასი 2005 წელს 3 დოლარი და 6 ცენტია. თბილისში იგი 3 ლარი და 85 თეთრი, ანუ 2 აშშ დოლარი და 12 ცენტი ღირს. შესაბამისად, ბიგ მაკის ინდექსით, იმისათვის, რომ მისი ფასი ამ ორ ქვეყანაში გათანაბრდეს, ანუ შესრულდეს მსყიდველობითუნარიანობის პარიტეტის თეორიის მოთხოვნა, ერთი აშშ დოლარი 1 ლარი და 26 თეთრი უნდა ღირდეს (3,85:3,06=1,26). გამოდის, რომ დღეს საქართველოში "ბიგ მაკი" გაცილებით იაფია, ვიდრე აშშ-ში და ლარი მის "რეალურ" ღირებულებასთან შედარებით ასევე იაფად არის შეფასებული. კერძოდ, დღევანდელი გაცვლითი კურსის პირობებში - 1,82-ის ლარის ნიშნულზე, ეროვნული ვალუტა 31%-ით ნაკლებია "ბიგ მაკის" ინდექსით დათვლილ დონეზე. ნიშანდობლივია, რომ 2002 წელს ანალოგიური მაჩვენებელი 36%-ს, ხოლო უფრო ადრე, 1999 წელს 41%-ს შეადგენდა, ანუ ლარის საბაზრო კურსის გადახრა ბიგ მაკის ინდექსიდან თანდათან მცირდება, ე. ი. ლარი მიისწრაფის თავისი "რეალური" ნიშნულისაკენ.

რა მდგომარეობაა ამ მხრივ სხვა ქვეყნებში? ლარზე გაცილებით მეტად გაუფასურებულია რუსეთის (რუბლი 52%-ით იაფია ინდექსთან შედარებით), ჩინეთის (59%), მალაიზიის (55%), ტაილანდის (52%), ფილიპინების (52%), ჰონ-კონგისა (50%) და ინდონეზიის (50%) ეროვნული ვალუტები. საინტერესოა, რომ ეს ქვეყნები აშშ დოლარის მიმართ დაბალ კურსს მიზანმიმართულად ინარჩუნებენ, რათა ექსპორტი არ შეზღუდონ. ამისთვის მილიარდობით აშშ დოლარს ყიდულობენ საერთაშორისო ბაზრებზე და თავიანთ სავალუტო რეზერვებს რეკორდულ მაჩვენებლებამდე ზრდიან.

იმ ქვეყნებს შორის, რომელთა ვალუტებიც გადაჭარბებით, ანუ ინდექსთან შედარებით გაცილებით ძვირად არის შეფასებული, პირველ ადგილზეა შვეიცარია, სადაც "ბიგ მაკი" 5.05 აშშ დოლარის ეკვივალენტის ადგილობრივ ვალუტაზე იყიდება. შესაბამისად, შვეიცარიული ფრანკი 65%-ით უფრო მეტი ღირს ბიგ მაკის ინდექსთან შედარებით. შემდეგ მოდის დანია (50%), შვედეთი (36%), ევროზონა (17%) და დიდი ბრიტანეთი (12%). ყველა ამ ქვეყნისთვის დამახასიათებელია, რომ ერთ სულ მოსახლეზე მთლიანი შიდა პროდუქტის დონით ისინი მსოფლიოში მოწინავე პოზიციებს ინარჩუნებენ. მათში, როგორც წესი, შრომის ანაზღაურებაც შედარებით მაღალია, ხელფასზე დანახარჯები კი "ბიგ მაკის" თვითღირებულების დიდ ნაწილს შეადგენს. ასეთივე ტიპის ხარჯებს, რომლებიც ინდივიდუალურ ხასიათს ატარებს თითოეულ ქვეყანაში, წარმოადგენს ადგილობრივი გადასახადები, ელექტროენერგიის ტარიფები, ტრანსპორტირების ხარჯები, შენობის იჯარა და ა.შ. ისინი "ბიგ მაკის" ფასის ის არასტანდარტული კომპონენტებია, რომლებიც ხელს უშლის მასზე ფასების გათანაბრებას. ასეთი ხარჯები, საერთაშორისო სავალუტო ფონდის ექსპერტთა შეფასებით, ცალკეულ ქვეყნებში "ბიგ მაკის" ფასის 55%-დან 64%-მდე ვარირებს. მათი გამოთვლით და შემდგომ ფასიდან გამორიცხვით შესაძლებელია უფრო ზუსტი მონაცემების მიღება. თუმცა, ბიგ მაკის ინდექსი მიზნად არ ისახავს ასეთი ტიპის ზუსტი გამოთვლების გაკეთებას. ეს არის მარტივი და მოსახერხებელი ინდიკატორი, რომლის მეშვეობით გაკეთებული შეფასებები, ხშირ შემთხვევაში, რთული მოდელების გამოყენებით მიღებული პროგნოზების იდენტურია. მისი სიმარტივისა და ხელმისაწვდომობის გამო, ბიგ მაკის ინდექსი იმ განვითარებად ქვეყნებსაც მიესადაგება, რომლებშიც ასეთი რთული გათვლების გაკეთება შეუძლებელია, მაგრამ საყოველთაოდ ცნობილი მაკდონალდსის ჰამბურგერი იყიდება.

ბუნებრივია, ყოველივე ზემოთ აღნიშნული ლართან მიმართებაში არ ნიშნავს, რომ საბაზრო გაცვლითი კურსი უნდა გაუტოლდეს 1,26-ის ლარის ნიშნულს. მოკლევადიან პერიოდში კურსზე ხომ არაერთი, ზოგჯერ ურთიერთსაპირისპირო ფაქტორი მოქმედებს, რის გამოც მსყიდველობითუნარიანობის პარიტეტის თეორიის მტკიცებულებები ხშირად არ სრულდება. მით უმეტეს, რომ, ტრადიციულად, ეროვნული ბანკი ეწინააღმდეგებოდა ლარის მეტისმეტ გამყარებას, რისთვისაც უკანასკნელი ხუთი წლის მანძილზე პერიოდულად შეისყიდდა აშშ დოლარებს და, საჭიროების შემთხვევაში, ამ პოლიტიკას შემდეგშიც გააგრძელებს. ამდენად, უახლოეს მომავალში ლარის კურსის მკვეთრი ცვლილებები მოსალოდნელი არ არის. თუმცა, დროთა განმავლობაში, თუ ბიგ მაკის ინდექსის მიხედვით ვიმსჯელებთ, ლარი დღეისათვის მიღწეულ მყარ პოზიციებს თანდათანობით კიდევ უფრო განიმტკიცებს.

| ჰამბურგერის სტანდარტი | | | |
|---|---|---|---|
| | ბიგ მაკის ფასი დოლარებში | დოლარის შესაბამისი მსყიდველობითი უნარის პარიტეტი | შემცირებული (-) / გადაჭარბებული (+) შეფასება დოლართან მიმართებაში, % |
| აშშ | 3,06 | - | - |
| **საქართველო** | 2,12 | 1,26 | -31 |
| არგენტინა | 1,64 | 1,55 | -46 |
| ავსტრალია | 2,50 | 1,06 | -18 |
| ბრაზილია | 2,39 | 1,93 | -22 |
| ბრიტანეთი | 3,44 | 1,63 | +12 |
| კანადა | 2,63 | 1,07 | -14 |
| ჩილე | 2,53 | 490 | -17 |
| ჩინეთი | 1,27 | 3,43 | -59 |
| ჩეხეთის რესპუბლიკა | 2,30 | 18,4 | -25 |
| დანია | 4,58 | 9,07 | +50 |
| ეგვიპტე | 1,55 | 2,94 | -49 |
| ევროზონა | 3,58 | 1,05 | +17 |
| ჰონკონგი | 1,54 | 3,92 | -50 |
| უნგრეთი | 2,60 | 173 | -15 |
| ინდონეზია | 1,53 | 4,771 | -50 |
| იაპონია | 2,34 | 81,7 | -23 |
| მალაიზია | 1,38 | 1,72 | -55 |
| მექსიკა | 2,58 | 9,15 | -16 |
| ახალი ზელანდია | 3,17 | 1,45 | +4 |
| პერუ | 2,76 | 2,94 | -10 |
| ფილიპინები | 1,47 | 26,1 | -52 |
| პოლონეთი | 1,96 | 2,12 | -36 |
| რუსეთი | 1,48 | 13,7 | -52 |
| სინგაპური | 2,17 | 1,18 | -29 |
| სამხრეთ აფრიკა | 2,10 | 4,56 | -31 |
| სამხრეთ კორეა | 2,49 | 817 | -19 |
| შვედეთი | 4,17 | 10,1 | +36 |
| შვეიცარია | 5,05 | 2,06 | +65 |
| ტაივანი | 2,41 | 24,5 | -21 |
| ტაილანდი | 1,48 | 19,6 | -52 |
| თურქეთი | 2,92 | 1,31 | -5 |
| ვენესუელა | 2,13 | 1,83 | -30 |

*მომზადებულია* ***საქართველოს ეროვნული ბანკის მაკროეკონომიკურ გამოკვლევათა და მონეტარული პოლიტიკის სამმართველოს*** *მიერ*

# დეტექტიური ისტორია რუსეთის მთავრობაში

*რუსეთის ხელისუფლებამ 2006-2008 წლებში ბუნებრივი მონოპოლიების მომსახურებებზე ფასთა ზრდის ზღვრული მაჩვენებლები დაამტკიცა. რუსეთის მინისტრთა კაბინეტის პრესსამსახურის ინფორმაციით, ამის შესახებ გადაწყვეტილება მთავრობის სხდომის ხუთშაბათის სხდომაზე იქნა მიღებული. თუმცა, როგორც ჩანს, ტარიფები ძველი თარიღებით დაამტკიცეს, საბოლოო გადაწყვეტლების მიღება კი "მწვავე ორთაბრძოლის" ფონზე მიმდინარეობდა - წერს რუსული პრესა.*

დიანა ჩაჩუა

რუსი ჟურნალისტების მიერ დეტექტიურ ისტორიად მონათლული ამბავი ასე ვითარდებოდა: ხუთშაბათს, მთავრობის სხდომის დასრულების შემდეგ, ეკონომიკური განვითარების მინისტრმა გერმან გრეფმა ჟურნალისტებს განუცხადა, რომ ბუნებრივი მონოპოლიების მომსახურებებზე ფასთა ზრდის ზღვრული მაჩვენებლები მხოლოდ ორი უწყების - მისი და ფინანსთა სამინისტროს მიერ იყო შეთანხმებული. არც ერთი სიტყვა იმის შესახებ, რომ ეს მაჩვენებლები მთავრობამ უკვე დაამტკიცა, ნათქვამი არ ყოფილა. მით უმეტეს სენსაცური გამოდგა მთავრობის სხდომის მეორე დღეს პრესსამსახურის მიერ გაკეთებული განცხადება, მთავრობის მიერ დამტკიცებული ბუნებრივი მონოპოლიების მომსახურებებზე ფასთა ზრდის ზღვრული მაჩვენებლების შესახებ.

ყურადღებას კიდევ ერთი ფაქტი იქცევს. რუსეთის ეკონომიკის და ფინანსთა სამინისტროებმა, ფაქტობრივად, მოახერხეს ისეთი ბუნებრივი მონოპოლისტების დანარცხება, როგორებიცაა "გაზპრომი" და "რაო ეეს რასიი". გაზის კონცერნის ხელმძღვანელი 2006 წელს გაზის ფასის 22 პროცენტიან ზრდას მოითხოვდა. "რაო ეეს რასიის" ხელმძღვანელობა, უკანასკნელ პერიოდში მისთვის არასასიამოვნო მოვლენების გათვალისწინებით, მთავრობასთან კონფლიქტის გამწვავებას ერიდებოდა. თუმცა, როგორც რუსი ექსპერტები მიიჩნევენ, საეჭვოა ენერგეტიკული მონოპოლია საბოლოო სატარიფო მაჩვენებლებმა დააკმაყოფილოს.

კერძოდ, მთავრობის დადგენილების თანახმად, 2006 წელს გაზზე საბითუმო ფასების ზრდამ 11 პროცენტი, 2007 წელს - 8 პროცენტი, 2008 წელს კი - 7 პროცენტი უნდა შეადგინოს. 2006 წელს ელექტროენერგიაზე ტარიფების ზრდის ზღვრულმა მაჩვენებელმა 7,5 პროცენტი, 2007 წელს - 6,5 პროცენტი, 2008 წელს კი - 5,5 პროცენტი უნდა შეადგნოს. 2006 წლისთვს სატვირთო სარკინიგზო გადაზიდვებზე ტარიფების ზრდის მაჩვენებელი 8 პროცენტამდე იქნება, 2007 წელს - 7 პროცენტამდე, ხოლო 2008 წელს 5,5 პროცენტამდე.

"გაზპრომის" არგუმენტები, იმასთან დაკავშირებით, რომ 11 პროცენტი ძალიან ცოტაა, მთავრობამ არ გაითვალისწინა - წერს რუსული პრესა. საქმე იმაშია, რომ როგორც ლიბერალი მინისტრები თვლიან, სწორედ გაზის ფასების ზრდამ შეიტანა გადამწყვეტი წვლილი იმაში, რომ მთავრობის პროგნოზი ინფლაციის შესახებ ჩავარდნის პირას იყო. სწორედ ამიტომ, გერმან გრეფის გათვლებით, სრულიად საკმარისის 2006 წელს გაზის ტარფების ზრდის ზღვრული მაჩვენებელი 11 პროცენტი იყოს, და არა 22 პროცენტი, როგორც ამას "გაზპრომი" მოითხოვდა, ან 14 პროცენტი, რომელსაც მრეწველობის სამინისტრო უჭერდა მხარს. გასათვალისწინებელია, რომ წელს გაზზე საბითუმო ფასების ზრდის მაჩვენებელი 23 პროცენტს შეაგენს.

ერთი შეხედვით რუსეთის მთავრობის გადაწყვეტილება სრულებით ლოგიკურად გამოიყურება. თუმცა, როგორც დამოუკიდებელი რუსი ექსპერტები აღნიშნავენ, ბუნებრივი მონოპოლიებისთვის მომსახურებებზე ტარიფების შემცირება რუსული ეკონომიკისთვის ინფლაციაზე არანაკლებ მტკივნეულ პრობლემებს დააყენებს დღის წესრიგში.

**"რუსეთის მთავრობა საკუთარ თავთან წინააღმდეგობაში მოდის: ერთი მხრივ, მან ბუნებრივი მონოპოლიების რეფორმირება დაისახა მიზნად, როდესაც ცდლობს მათი ტარიფები ისეთ დონეზე მიიყვანოს, როცა კომპანიები შეწყვეტენ შავ ბაზარზე წაგებით მუშაობას. მეორე მხრივ კი, მთავრობას ინფლაციის შემცირების ამოცანის ამოხსნა აქვს საკუთარ თავზე აღებული. მაგრამ ეკონომიკაში შეუძლებელია გაზარდო საბაზისო ფასები და ამავე დროს ფასთა საერთო დონის შემცირება სცადო. ასეთ გზას თუ ავირჩევთ, ვერც ერთ მიზანს ვერ მივაღწევთ - ვერც ინფლაციას შევამცირებთ და ვერც რეფორმებს გავატარებთ მონოპოლიაში,"** - განაცხადა ფინანსური კორპორაცია "ურალსიბ"-ის მთავარმა ეკონომისტმა ვლადიმერ ტიხომიროვმა.

ალფა-ბანკის მთავარი ეკონომისტი ნატალია ორლოვა მიიჩნევს, რომ ამ ეტაპზე ლიბერალი მინისტრების ბუნებრივ მონოპოლიებზე მხოლოდ პიროსის გამარჯვებაზე შეიძლება ვისაუბროთ. მისი თქმით, ბიუჯეტი ჯერ არ არის დამტკიცებული, ასე რომ, ტარიფების წინააღმდეგ "უკანასკნელი და გადამწყვეტი ბრძოლა" ჯერ კიდევ წინა არის.

რუსული პრესა ავრცელებს ასეთ მოსაზრებასაც, რომ ტარიფების დაწესების პრაქტიკა მომავალი წლის დადგომამდე არასწორია. დამოუკიდებელი ენერგეტიკული ალიანსის პრეზიდენტის, ფედერალური ენერგეტიკული კომისიის ექს-ხელმძღვანელის გიორგი კუტოვოის აზრით გამოსავალი შემდეგშია: **"მიეცეს კომპანიას გასული წლის ტარიფებით მუშაობის საშუალება, წლის ბოლოს კი კომპანია მთავრობას დაუმტკიცებს, რომ ის წაგებაში ინფლაციის გამო დარჩა. ამ შემთხვევაში მთავრობამ შეიძლება კომპანის წაგების კომპენსირება მოახდინოს. ჩვენ კი ამის ნაცვლად, ჯერ კიდევ პირველ იანვრამდე ვადგენთ ტარიფებს, რომელშიც ინფლაციის ზრდაა ჩადებული. ამ პროგნოზებს კი ისღა დარჩენია, რო განხორციელდეს,"** - დასძინა ექსპერტმა.

ECM ეკონომიკური კორუფციის მონიტორინგის ცენტრი
Center of Economic Corruption Monitoring

ენერგოსექტორის მონიტორინგი

The Eurasia Foundation
Georgia Office

# ისევ აირტურბინების შესახებ

*საქართველოში ენერგეტიკული კრიზისის დაძლევისაკენ მიმართული ყველა ღონისძიება პრობლემების სიმწვავის გამო მოითხოვს სერიოზულ ანალიზს. ამასთან დაკავშირებით გაზეთ "24 საათის" 30 ივნისის ნომერში გამოქვეყნდა ჩვენი სტატია სათაურით "როგორ ავაშენოთ აირტურბინა?", სადაც გამოვხატეთ ჩვენი თვალსაზრისი თბილსრესში აირტურბინული დანადგარების მშენებლობის დაუსაბუთებლად ნაჩქარევი განხორციელების მიმართ, ასევე იმ უარყოფითი შედეგების შესახებ, რაც ამას შეიძლება მოჰყვეს. 6 ივნისს გაზეთ "24 საათში" გამოქვეყნებულმა სტატიამ "აირტურბინები - ხელისუფლების ხედვა", დაგვაფიქრა იმაზე, თუ რამდენად გასაგები იყო ჩვენი სტატია მკითხველისათვის, მაგრამ მისი გადაკითხვის შემდეგ ერთხელ კიდევ დავრწმუნდით, რომ სრულად და გასაგებად გამოვხატეთ ჩვენი აზრი. ამჯერად არ ვაპირებთ უკვე გამოთქმული მოსაზრებების განმეორებას - დაინტერესებულმა მკითხველმა შეიძლება სტატია იხილოს ვებგვერდზე open.ge გაზეთ "24 საათის" პუბლიკაციებში.*

მურმან მარგველაშვილი,
ფიზ-მათ მეცნიერებათა კანდიდატი

თემურ მიქიაშვილი,
ტექნიკურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი,
სერტიფიცირებული ენერგომენეჯერი.

გვინდა მკითხველს შევახსენოთ, რომ აღნიშნულ პუბლიკაციაში ჩვენს მიერ დასმული იყო კითხვები იმის შესახებ, თუ რატომ ხდება აირტურბინების მშენებლობა ასე ნაჩქარევად; რატომ არ არის ჩატარებული სათანადო წინასწარი შესწავლა ყველა შესაძლო ალტერნატივის გათვალისწინებით; რატომ არ ხდება სისტემაში არსებული უფრო იაფი და სწრაფი შესაძლებლობების გამოყენება პირველ რიგში, თუკი სიტუაცია იმდენად ფორსმაჟორულია, რომ დაყოვნების საშუალებას არ გვაძლევს; რატომ ვანიჭებთ უპირატესობას შედარებით ნაკლებეფექტურ კომბინირებული ციკლის დანადგარს, მაშინ როდესაც არსებობს იგივე (300 მგვტ) სიმძლავრის უფრო მაღალეფექტური დანადგარები, რომლებიც სულ ცოტა 10%-ით ნაკლებ გაზს მოიხმარს; რატომ არ მივმართავთ იაფ საერთაშორისო დაფინანსებას და ღია საერთაშორისო ტენდერს, მაშინ როდესაც სხვა ქვეყნები ამას წარმატებით ახორციელებენ; რატომ ვამბობთ უარს საბაზრო პრინციპებზე და ვაპირებთ კერძო კომპანიის სახელმწიფო სუბსიდირებას; გვაქვს თუ არა ენერგეტიკის განვითარების სრულფასოვანი გეგმა, გვაქვს თუ არა ჩამოყალიბებული ენერგეტიკული სტრატეგია და ა.შ. შეიძლება ყველა ამ შეკითხვაზე არსებობს სათანადო პასუხი, მაგრამ ის სამწუხაროდ უცნობია სპეციალისტებისა და ფართო საზოგადოებისათვის.

როგორც სამინისტროს გამოხმაურებაში არის აღნიშნული, "ექსპერტები საქართველოში აირტურბინების აშენების თაობაზე სათანადო ინფორმაციას არ ფლობენ". ჩვენ ამ მოსაზრებას ვეთანხმებით და ვაღიარებთ, რომ შესაძლებელია ექსპერტები მართლაც არ ფლობენ სათანადო ინფორმაციას, მაგრამ არა იმიტომ, რომ მათ არ იციან თუ როგორ აირტურბინებს ამზადებს Pratt&Whitney და სხვა დამამზადებელი, ან რამდენი დრო სჭირდება მათ მშენებლობას, არამედ იმიტომ, რომ ამ პროექტის როგორც ტექნიკური, ისე ორგანიზაციული და ფინანსური მხარის შესახებ გავრცელებული ინფორმაცია არათანამიმდევრული, წინააღმდეგობრივი და ცვალებადია, რითაც ხშირად დეზინფორმირების ფუნქციას უფრო ასრულებს ვიდრე ინფორმირებისა.

ვერც ენერგეტიკის სამინისტროს საპასუხო პუბლიკაცია დაგვეხმარა მიმდინარე პროცესების უკეთ შეფასებაში:

* პროექტის სასწრაფო მშენებლობის აუცილებლობის დასაბუთების ნაცლად სტატიაში მოყვანილია ზოგადი ფრაზა დამატებითი სიმძლავრეების საჭიროების შესახებ და პროექტის დაწყების ისტორია. კერძოდ ის, რომ ჯერ ბიუჯეტიდან გამოიყო 30 მილიონი ლარი - ახალი სიმძლავრეების ასაშენებლად, ხოლო ამის შემდეგ სამინისტრომ დაიწყო ფიქრი ამ თანხის გამოყენების შესაძლებლობაზე, ამასთან, მხოლოდ ინვესტორებთან მიმოწერის შედეგად გაირკვა, რომ "ახალი სიმძლავრეები 30 მილიონი ლარით არ შენდება" და საბოლოოდ ეს თანხა სხვა მიზნების მისაღწევად წარიმართა. ამით სამინისტრომ კიდევ ერთხელ დაგვარწმუნა, რომ ქვეყანაში არა გვაქვს ენერგეტიკის განვითარების ჩამოყალიბებული სტრატეგია და დაგეგმილი მუშაობის მაგივრად, ქაოტურად ვმოქმედებთ.

* სტატიაში ასევე ნათქვამია, რომ: "ჩვენი ენერგეტიკოსები, როგორც ჩანს, ენერგეტიკაში ახალ ტექნოლოგიებს კარგად არ იცნობენ. "პრეტ&ვითენ"-ის გაზოტურბინები მართლაც კარგია და ახალი სიტყვაა ენერგოტექნოლოგიებში. ისინი სამჯერ უფრო ეკონომიურად მიოხმარენ ბუნებრივ აირს და 2,5-ჯერ ეფექტურად მუშაობენ". ჩვენთვის გაუგებარი დარჩა თუ რას ნიშნავს "სამჯერ უფრო ეკონომიურად, მაგრამ 2,5-ჯერ უფრო ეფექტურად", ან რომელ დანადგარებთან ხდება შედარება. ჩვენი წინა სტატიის შინაარსიდან გამომდინარე სავარაუდოა, რომ შედარება კეთდება გარდაბნის მე-9 ენერგობლოკის ეკონომიურობასთან. თუ გავითვალისწინებთ (ზოგიერთს კი შევახსენებთ), რომ ამ ენერგობლოკის ეფექტურობა ნომინალურ რეჟიმში შეადგენს 38% ბუნებრივ აირზე მუშაობისას, მაშინ "2,5-ჯერ უფრო ეფექტური ან სამჯერ უფრო ეკონომიური" ენერგობლოკის ეფექტურობა იქნება მინიმუმ 2,5*38%=95% და მაქსიმუმ 3*38%=114%. ხოლო თუ საუბარია გარდაბნის ძველი რიგის ენერგობლოკებზე, რომელთა ეფექტურობა შეკეთების შემდეგ შესაძლოა მიყვანილ იქნეს 27%-მდე (შეგახსენებთ, რომ მათი საპასპორტო ეფექტურობაა 34%), - ენერგობლოკის ეფექტურობა იქნება მინიმუმ 2,5*27%=67,5% და მაქსიმუმ 3*27%=81%. უნდა ვაღიაროთ, რომ ასეთი ზემაღალი ეფექტურობის ახალ ტექნოლოგიებს მართლაც არ ვიცნობთ და, ეჭვი გვეპარება, სხვა ექსპერტები იცნობდნენ.

* სამინისტროს პუბლიკაციაში ვკითხულობთ: "ზოგიერთის მსჯელობაში ისიც კი იკვეთება, თითქოს ახალ გაზოტურბინებს "თბილსრესში" არსებული ენერგობლოკები სჯობია". ამის გამო მკითხველის ყურადღება გვინდა მივაქციოთ იმ ფაქტს, რომ ცალკე აღებული (მარტივი ციკლით მომუშავე) თანამედროვე აირტურბინების ეფექტურობა არათუ აღემატება, არამედ, უმეტეს შემთხვევებში, ჩამოუვარდება ტრადიციული ორთქლტურბინული დანადგარების (მაგალითად ისეთი, როგორიცაა თბილსრერსის 300 მგვტ სიმძლავრის ენეტრგობლოკები) ეფექტურობას (35-39%). აირტურბინები მაღალეფექტურია მხოლოდ ორთქლის ტურბინებთან კომბინაციაში ანუ ე.წ. კომბინირებულ ციკლში. აღნიშნულის საილიუსტრაციოდ ქვემოთ მოგვყავს ზოგიერთი თანამედროვე აირტურბინისა და კომბინირებული ციკლის დანადგარის მონაცემების ცხრილი, რომელიც შედგენილია შესაბამისი კატალოგების მიხედვით.

ამ ცხრილიდან ისიც ჩანს, რომ Pratt & Whitney არ არის ეფექტური აირტურბინული ტექნოლოგიების ერთადერთი მწარმოებელი, და რომ არსებობს უფრო იაფი და უფრო ეფექტური დანადგარებიც.

ხაზი გვინდა გავუსვათ იმასაც, რომ დანადგარების სიმძლავრის ზრდასთან ერთად იზრდება მათი ეფე-

გაგრძელება A8 გვერდზე

# "ადმინისტრაციასთან შეუთანხმებლად ციხეში ბუნტის მოწყობა შეუძლებელია"

ხათუნა ჯანგირაშვილი

*გუშინწინ, გვიან ღამით, სამართალდამცველებმა თბილისის მე-7 საპყრობილის უფროსის მოადგილე დავით ვარდოსანიძე დააკავეს. სამსახურებრივი უფლებამოსილების გადამეტება - ასე კვალიფიცირდება ვარდოსანიძის წინააღმდეგ აღძრული სისხლის სამართლის საქმე.*


შოთა კოპაძე


თეა თუთბერიძე


კოტე კემულარია

საპყრობილის უფროსის მოადგილის დაკავების მიზეზი სახალხო დამცველის რწმუნებულთან გიორგი ონიანთან ორი დღის წინ მომხდარი ინციდენტი გახლავთ. შეგახსენებთ, რომ მე-7 საპყრობილეში ოპერატიული ინფორმაციის საფუძველზე მისულ მართლმსაჯულების ომბუდსმენს ციხის ადმინისტრაციამ პატიმრებისთვის ვიდეოკამერით გადაღებული მასალის საპყრობილიდან გატანაზე უარი განუცხადა. სახალხო დამცველის რწმუნებულმა მასალის გარეშე ციხის დატოვება არ ისურვა, რასაც ციხის ადმინისტრაციის წარმომადგენლების მხრიდან მის მიმართ ფიზიკური შეურაცხყოფა მოჰყვა. გარდა იმისა, რომ გიორგი ონიანს ფიზიკურად გაუსწორდნენ, მას კარი ჩაუკეტეს და გარეთ გამოსვლის საშუალებაც არ მისცეს.

ჩვენი ინფორმაციით, ამ ინციდენტის მოხდენის დღესვე გადაწყდა არამარტო დავით ვარდოსანიძის, არამედ მისი უფროსის გელა კიკილაშვილის დაკავებაც. თუმცა, როგორც უკვე გითხარით, დაკავებულია მხოლოდ კიკილაშვილის ქვეშევრდომი.

**"როგორც ჩანს, იუსტიციის მინისტრმა იმ დღესვე მიიღო ზომები და ყველაფერი გააკეთა იმისთვის, რომ შოთა კოპაძის ხელქვეითი, რომლის მიმართაც არაერთი ბრალდება არსებობს, ხელშეუხებელი დარჩენილიყო - ისევე, როგორც თავად სასჯელაღსრულების დეპარტამენტის თავმჯდომარე",** - განაცხადა ჩვენთან საუბრისას "თავისუფლების ინსტიტუტისა" და იუსტიციის სამინისტროს სასჯელაღსრულებით დაწესებულებაზე ზედამხედველობის საბჭოს წევრმა თეა თუთბერიძემ.

სასჯელაღსრულების სისტემაზე ზედამხედველი საბჭოს წევრები შოთა კოპაძის საკითხის საპარლამენტო საკომიტეტო მოსმენაზე გატანას ითხოვენ. საბჭოს წევრები აცხადებენ, რომ უნდა დაისვას კოპაძის არამხოლოდ თანამდებობიდან გათავისუფლების, არამედ მისი პასუხისმგებლობის საკითხიც. საბჭოს წევრები პრეზიდენტთან შეხვედრას გეგმავენ და, როგორც განმარტავენ, პრობლემის მოგვარებას სწორედ მისგან მოითხოვენ.

**"იუსტიციის სამინისტროსთან არსებული საზემდამხედველო საბჭო სწორედ პრეზიდენტმა შექმნა და მას საკმაოდ სერიოზული დავალებები მისცა. მაგრამ, რა აზრი აქვს საბჭოს მუშაობას ასეთ პირობებში, როდესაც არც ერთი ჩვენი რეკომენდაცია, ისევე, როგორც სახალხო დამცველის რეკომენდაციები, გათვალისწინებული არ არის. რა აზრი აქვს მონიტორინგს და დარღვევების აღმოჩენას, თუკი აღმოჩენილ დარღვევებს შესაბამისი რეაგირება არ მოჰყვება; ელემენტარულად, არც ჩვენი უსაფრთხოების გარანტიები არსებობს. ბოლო უნდა მოეღოს შოთა კოპაძის პარპაშს. აშკარაა, რომ მისი გათავისუფლების საკითხის გადაწყვეტა მხოლოდ პრეზიდენტს შეუძლია. პრეზიდენტი უნდა გაერკვეს სიტუაციაში და სასწრაფოდ გადამჭრელი ზომები მიიღოს. წინააღმდეგ შემთხვევაში, მის მიერვე ჩამოყალიბებული საბჭოს არსებობა აზრს კარგავს. სხვათა შორის, პრეზიდენტი თავად უნდა მიხვდეს, რომ ისეთი წარმონაქმნი, როგორიც შოთა კოპაძეა, მისთვისაც ძალიან საშიშია, რადგან ამ ძლევამოსილ ადამიანს ქვეყნის პირველი პირის დაშანტაჟებაც თავისუფლად შეუძლია. კოპაძისთვის არანაირ პრობლემას არ წარმოადგენს ერთ მშვენიერ დღეს სასჯელაღსრულების დეპარტამენტის ყველა დაწესებულების კარის გაღება და პატიმრებისა და მსჯავრდებულების გარეთ გამოყრა",** - განაცხადა "24 საათთან" საუბრისას თეა თუთბერიძემ.

სხვათა შორის, მე-7 საპყრობილის უფროსის მოადგილის დაკავების დღესვე სხვადასხვა წყაროს საშუალებით გავრცელდა ინფორმაცია, რომ ციხეში ბუნტი იგეგმება. რაც ყველაზე მთავარია, ამ ინფორმაციამ შოთა კოპაძის ერთ-ერთ გუშინდელ სატელევიზიო კომენტარშიც გაიჟღერა.

**"დასაშვებია, ციხეში არეულობა მოხდეს. თუმცა, ჩვენ ამის თავიდან ასაცილებლად ყველა ზომა გვაქვს მიღებული და სიტუაციას ვაკონტროლებთ",** - განაცხადა სასჯელაღსრულების დეპარტამენტის თავმჯდომარემ.

საბჭოს წევრები დარწმუნებულები არიან, რომ ციხის ბუნტის მოწყობა, ციხის ადმინიტრაციასთან შეუთანხმებლად, შეუძლებელია და თუ პატიმრები მართლაც აბუნტდებიან, ამაზე სრული პასუხისმგებლობა უნდა დაეკისროთ არამხოლოდ შოთა კოპაძესა და მის ქვეშევრდომებს, არამედ იუსტიციის მინისტრს და მის მოადგილეებსაც.

ერთი სიტყვით, როგორ დასრულდება სასჯელაღსრულების დეპარტამენტის უფროსის გარშემო ატეხილი აჟიოტაჟი, ამის თქმა წინასწარ მართლაც ძნელია. იუსტიციის მინისტრი რომ მის ინტერესებს ბოლომდე დაიცავს, ამას ის არც მალავს. მინისტრი ამბობს, რომ კვლავ საბრძოლო განწყობაზეა და არ აჰყვება ამ ჯგუფების აბსურდულ ბრალდებებს. "არავის მივცემ სიტუაციის არევის უფლებას", - აცხადებს კოტე კემულარია.

**"ვარდოსანიძის დაკავება წინ გადადგმული ნაბიჯია, მაგრამ პროკურატურამ აუცილებლად უნდა დააპატიმროს მე-7 საპყრობილის უფროსი კიკილაშვილი და სასჯელაღსრულების დეპარტამენტის ხელმძღვანელი შოთა კოპაძე. წინააღმდეგ შემთხვევაში, რჩება შთაბეჭდილება, რომ იუსტიციის სამინისტროს პროკურატურის მეშვეობით ყურადღების სხვა საკითხზე გადატანა სურს",** - ასეთი პოზიცია აქვს თეა თუთბერიძეს.

# AVISPA ("ბზიკი") ესპანეთში მცხოვრები ქართველების წინააღმდეგ

*ესპანეთის შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ ქართველების დაკავება, სავარაუდოდ, არ ყოფილა მხოლოდ ერთი ქვეყნის მოქალაქეების წინააღმდეგ მიმართული აქცია - პოსტსაბჭოთა ქვეყნების მაფიათა წარმომადგენლებზე "ნადირობა" ესპანელმა სამართალდამცველებმა ჯერ კიდევ პარასკევს, ქართველების დაკავებამდე ერთი დღით ადრე გამოაცხადეს. აღსანიშნავია, რომ ქართველების მასობრივ დაკავებას სულ რამდენიმე დღით უსწრებდა წინ ისლამისტთ, ასევე, მასობრივი დაპატიმრებები, რომელიც, ესპანელ სამართალდამცველთა განმარტებით, ანტიტერორისტული ბრძოლის ფარგლებში ჩატარდა.*

სოფიკო რხაიძე

პოსტსაბჭოთა ქვეყნების მაფიოზური კლანების ევროპაში მოღვაწეობა იქაური სამართალდამცველებისთვის, უკვე კარგა ხანია, თავსატეხად იქცა და პერიოდულად ევროპის სხვადასხვა ქვეყანაში ტარდება კიდეც მასშტაბური სპეცოპერაციები ყოფილი საბჭოთა რესპუბლიკებიდან გამოსულთა მიერ ორგანიზებულ დანაშაულებრივ დაჯგუფებათა წინააღმდეგ. აღსანიშნავია, რომ ასეთი სპეცოპერაციების სარჩულად, უმეტესწილად, შავი ფულის გათეთრების ან იარაღისა და ნარკოტიკებით ვაჭრობის წინააღმდეგ ბრძოლა სახელდება. ამჯერადაც ესპანეთის ქალაქებში ჩატარებული სპეოპერაციის, სახელწოდებით Avispa-ს ("ბზიკის"), ჩატარების მიზეზად ფულის გათეთრებასთან ყოფილი საბჭოთა კავშირის ქვეყნების ესპანეთში მცხოვრები მოქალაქეების სავარაუდო კავშირის დადგენა სახელდება. ამ ოპერაციის ჩატარების შესახებ ესპანეთის შინაგან საქმეთა სამინისტრომ 17 ივნისს გამოაცხადა; კერძოდ, სამინისტროს მიერ გამოქვეყნებულ კომუნიკეში ნათქვამი იყო, რომ პოლიციის საგანგებო ოპერაცია ხმელთაშუა ზღვის სანაპიროზე, ბარსელონაში, ალიკანტესა და მალაგაში ჩატარდება და მიმართული იქნება ყოფილი საბჭოთა კავშირის ქვეყნების მაფიის წინააღმდეგ. გარდა ამისა, კომუნიკე იუწყებოდა, რომ ოპერაცია Avispa საიდუმლო ინსტრუქციებს დაეყრდნობა და მის კოორდინირებას საკუთარ თავზე იღებს კორუფციასთან ბრძოლის პროკურატურა.

წინასწარ გამოცხადებული ოპერაცია კიდეც ჩატარდა. თუმცა, ჩვენს ხელთ არსებული ინფორმაციით, ყოფილი საბჭოთა კავშირის ესპანეთში მცხოვრებ მოქალაქეებს შორის მის ბადეში მხოლოდ ბარსელონაში დასახლებული ქართველები მოხვდნენ.

ესპანეთის შინაგან საქმეთა სამინისტრო იმთავითვე იუწყებოდა, რომ სპეცოპერაციაში მონაწილეობა 400 პოლიციელს, სპეცრაზმელებს, ტექნიკური სამსახურების წარმომადგენლებს, ასაფეთქებელი ნივთიერებების სპეციალისტებსა და სამეცნიერო პოლიციის თანამშრომლებს უნდა მიეღოთ.

თავდაპირველად გავრცელებული ცნობების თანახმად, ამ ოპერაციის ფარგლებში, ესპანეთის სამ ქალაქში - ბარსელონაში, ალიკანტესა და მალაგაში სამართალდამცველებმა 180 ქართველი დააკავეს. მოგვიანებით დაკავებულთა რიცხვმა მნიშვნელოვნად იკლო და 22-მდე ჩამოვიდა. არის თუ არა ესპანელ სამართალდამცველთა შთამბეჭდავი შემადგენლობისთვის 22 ქართველის დაკავება წარმატებული შედეგი, ჩვენთვის უცნობია. თუმცა, ფაქტია, ამ 22-დან 16 ქართველი დღესაც ესპანელ სამართალდამცველთა ხელშია და მათ მიმართ წაყენებული ერთი ბრალდება უკვე ცნობილია - ესპანეთში არალეგალურად ცხოვრება და მუშაობა.

ჩვენს ხელთ არსებული ინფორმაციით, ბოლო ხანებში შესაძლებელი გახდა ქვეყანაში 2000 წლის შემდეგ ესპანეთში მცხოვრები არალეგალებისთვის მუშაობის უფლების მოპოვება. საამისოდ მათ უნდა შეეფროვებინათ ყველა საჭირო საბუთი, რომელთაგან უმნიშვნელოვანესი გახლდათ ორი ცნობა; ერთი - რომ მათ არასოდეს შექმნიათ პრობლემები ესპანელ სამართალდამცველებთან და მეორე - რომ მშობლიურ ქვეყანაში მათზე ძებნა არ არის გამოცხადებული. როგორც შევიტყვეთ, ესპანეთში მცხოვრებ ქართველთა ძირითადმა ნაწილმა ესპანეთის ხელისუფლებას მათი ქვეყანაში ყოფნისა და მუშაობის ლეგალიზაციის თხოვნით მიმართა და ამჟამად პასუხს ელიან. დაკავებულთა შორის კი სწორედ ის ადამიანები არიან, ვისაც მსგავსი უფლების მოპოვება არც უცდიათ. შესაბამისად, სავარაუდოა, რომ ისინი აპირებენ არალეგალურად გააგრძელონ ესპანეთში ცხოვრება და მუშაობა.

ამასთანავე, ჯერაც უცნობია, რა საფუძველით არის დაკავებული რამდენიმე არასრულწლოვანი, მათ შორის, საქართველოში თავის დროზე ყველაზე გავლენიან "კანონიერ ქურდად" ცნობილი, ამჟამად კი ბიზნესმენად წოდებული, წლების მანძილზე ბარსელონაში მცხოვრები, ტარიელ ონიანის 12 წლის შვილი. საინფორმაციო საშუალებები მის კონკრეტულ ადგილსამყოფელს ვერ აკონკრეტებენ, თუმცაკი, ესპანელ სამართლადამცველთა ინფორმაციაზე დაყრდნობით, იუწყებიან, რომ ბავშვი უსაფრთხო ადგილას, სავარაუდოდ, უდედმამო ბავშვთა თავშესაფარშია მოთავსებული.

თავად ტარიელ ონიანის ადგილსამყოფელის შესახებ ჯერჯერობით არავითარი ცნობა არ ვრცელდება. ესპანური წყაროები არაფერს ამბობენ არც ფულის გათეთრებასთან მისი კავშირის შესახებ. სამაგიეროდ, ცნობილია, რომ ბარსელონაში მცხოვრებ ქართველებს, როგორც ამბობენ, ძირითადად სვანეთის მკვიდრთ, სათავეში სწორედ ის უდგას. სწორედ მისი მფარველობით აქვთ ესპანეთში ქართველებს ჩამოყალიბებული სამშენებლო ფირმები, რომლებშიც იაფ მუშახელად - ესპანეთში არალეგალურად მცხოვრები ქართველები, კერძოდ სვანეთის მკვიდრნი მუშაობენ. ამას ესპანეთის სამშენებლო ბიზნესის ქართველ წარმომადგენლები იქაურ ჩინოსნებთან საკმაოდ ძვირი გარიგების შედეგად ახერხებენ.

ფაქტია, რომ იმ 3 ათასი ადამიანის მიერ, რომლებიც, როგორც ამბობენ, ბარსელონაში ცხოვრობენ და მუშაობენ, ესპანეთიდან გამოგზავნილი თანხებით საქართველოში არაერთი ოჯახი ირჩენს თავს. თუმცა, ისიც ფაქტია, რომ ეს ფული არაკანონიერი წარმოშობისაა და შაბათს გამთენიისას ესპანეთის ხელისუფლებამ სწორედ ამ არხის ჩაკეტვას ჩაუყარა საფუძველი.

რაც შეეხება ესპანეთში დაკავებულებს, მათ, სულ ცოტა, საქართველოში დეპორტაცია ელით.

## უფასო იურიდიული კონსულტაციის ქვითარი

ა ნ კ ე ტ ა

**სახელი, გვარი**..........

**ასაკი, პროფესია, სამუშაო ადგილი**..........

**საკონტაქტო ტელეფონი**..........

იურიდიული ოფისი "გაპი" - წერეთლის გამზ. 77. ტელ/ფაქსი: 34-76-58. www.gapi.ge

გაზეთ "24 საათის" მკითხველს აქვს შესაძლებლობა მიიღოს უფასო იურიდიული კონსულტაცია მისთვის საინტერესო სამართლებრივ საკითხებზე. მკითხველი შეკითხვას დასვამს გაზეთში გამოქვეყნებული უფასო ქვითრის საშუალებით, ამოჭრის მას და ჩააგდებს თბილისში განთავსებულ იურიდიული ოფისის "გაპისა" და გაზეთ "24 საათის" ლოგოებიან სპეციალურ ყუთებში (მიიღება მხოლოდ გაზეთიდან ამოჭრილი ქვითრები. ქსეროასლები არ განიხილება).

ყუთები განთავსებულია ქალაქ თბილისში მეტროს ქვემოთ ჩამოთვლილ სადგურებსა და შემდეგ მისამართზე:

1. მეტროს სადგური "ახმეტელის თეატრი" (გლდანი);
2. მეტროს სადგური "სარაჯიშვილი";
3. მეტროს სადგური "თავისუფლების მოედანი";
4. მეტროს სადგური "წერეთელი";
5. მეტროს სადგური "სამგორი II";
6. მეტროს სადგური "ვარკეთილი";
7. მეტროს სადგური "გოცირიძე II", (ყოფილი მეტროს სადგური "დელისი");
8. მეტროს სადგური "სადგურის მოედანი I";
9. მეტროს სადგური "დიდუბე";
10. [illegible] 45 [illegible] გაზეთ "24 საათის" ოფისი;
11. წერეთლის 77 იურიდიული ოფისი "გაპის" ოფისი;

"24 საათის" მკითხველს, უფასო შეკითხვის ქვითარი, სამართლებრივ საკითხზე დასმული შეკითხვით, შეუძლია გამოაგზავნოს აგრეთვე ფოსტით შემდეგ მისამართზე: 0179 თბილისი, წერეთლის გამზ.77 იურიდიული ოფისი "გაპი".

## მოკლედ

### ქართველი სამართალდამცველები რუსი სამშვიდობოების ინფორმაციას უარყოფენ

შერეული სამშვიდობო ძალების პრესსამსახურის მიერ გავრცელებული ინფორმაციით, ქართულ-ოსური კონფლიქტის ზონაში ქართულ სოფელი ქურთასთან რუსი

მშვიდობისმყოფელების მანქანა დაცხრილეს.

"ავტომანქანა ცხინვალში მიემართებოდა, როცა ნასვამ მდგომარეობაში მყოფმა ადგილობრივმა მცხოვრებმა ბასიშვილმა უმისამართო ცეცხლი გახსნა, რის შედეგადაც ავტომანქანა დაიცხრილა. აღნიშნულ საქმეზე მიმდინარეობს მოკვლევა, ბასიშვილი კი ქართველ სამართალდამცველებს დაკავებული ჰყავთ", - ნათქვამია რუსი სამშვიდობოების პრესსამსახურის განცხადებაში. აღნიშნულ ინციდენტს რუსი სამშვიდობოები პროვოკაციას უწოდებენ.

ქართველი სამართალდამცავები კი მომხდარს კატეგორიულად უარყოფენ. როგორც ქურთას პოლიციის უფროსი ბონდო ქუცნაშვილი აცხადებს, ავტომანქანის დაცხრილვის ფაქტს ადგილი არ ჰქონია და სამართალდამცავებს არც არავინ დაუკავებიათ.

"რუსი სამშვიდობოები კონფლიქტის ზონაში თავისუფლად მოძრაობენ", - აცხადებს პოლიციის უფროსი.

**მედიანიუსი**

### სახაზინო ადვოკატის ინსტიტუტთან დაკავშირებით ურთიერთგაგების მემორანდუმი გაფორმდა

იუსტიციის მინისტრის მოადგილემ ეკა ტყეშელაშვილმა, უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარემ კოტე კუბლაშვილმა, შს მინისტრის მოადგილემ გია გეწაძემ და გენერალური პროკურორის მოადგილემ კახა კობერიძემ ხელი მოაწერეს საქართველოს უფასო სამართლებრივი დახმარების სისტემის რეფორმის პროცესში ურთიერთდახმარებისა და თანამშრომლობის შესახებ ურთიერთგაგების მემორანდუმს.

მემორანდუმი ითვალისწინებს მხარეების თანამშრომლობას საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საზოგადოებრივი (სახაზინო) ადვოკატის სამსახურთან, რომლის ადვოკატები ჩაერთვებიან სისხლის სამართლის საქმეში იმ ეჭვმიტანილის, ბრალდებულისა თუ განსასჯელის დასაცავად, რომელთაც არ აქვთ საშუალება, თავად დაიქირავონ ადვოკატი.

უფასო იურიდიული დახმარების სისტემის რეფორმაზე მუშაობა საქართველოში ერთი წლის წინათ დაიწყო. დღეისათვის უკვე არსებობს ორი პილოტური ბიურო - თბილისის გლდანი-ნაძალადევის რაიონსა და ზესტაფონში. იუსტიციის სამინისტროს ამ პროექტის განხორციელებაში ფონდი "ღია საზოგადოება - საქართველო", "აირის-საქართველო" და ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია ეხმარებიან.

**მედიანიუსი**

### აზერბაიჯანელი ადამიანის უფლებების დამცველები პოლიტიკური მოტივებით დევნის შეწყვეტას მოითხოვენ

აზერბაიჯანელი ადამიანის უფლებების დამცველები პოლიტიკური მოტივებით დევნის შეწყვეტას მოითხოვენ. ადამიანის უფლებების დამცველებმა, იურისტებმა და არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლებმა აზერბაიჯანის პრეზიდენტ ილჰამ ალიევს, ევროსაბჭოს გენერალურ მდივან ტერი დევისს, საპარლამენტო ასამბლეის დეპუტატებს და აზერბაიჯანის საკითხებში ასამბლეის მომხსენებლებს - მალკოლმ ბრიუსს, ანდრეას გროსსა და ანდრეას ჰერკელს მიმართვა გაუგზავნეს.

სააგენტო "ტრენდის" ცნობით, დოკუმენტის ავტორებმა გამოთქვეს საკუთარი დამოკიდებულება პოლიტიკური პატიმრების პრობლემებთან დაკავშირებით და მოიყვანეს ზოგიერთი ფაქტი ოპოზიციონერი აქტივისტების დაპატიმრებების თაობაზე.

ისინი მოუწოდებენ ევროსაბჭოს, საპარლამენტო ასამბლეაზე არ გადადონ პოლიტპატიმრების საკითხის განხილვა და გააგრძელონ ამ პრობლემებზე მსჯელობა აზერბაიჯანში.

**პრაიმ-ნიუსი**

### "ჩვენმა პოლიციამ კეთილსინდისიერად უნდა იმუშაოს"

"ერგნეთის ბაზრობა კვლავ ფუნქციონირებს, ოღონდ - მთლიანად ოსი სეპარატისტების მიერ კონტროლირებად ტერიტორიაზე. თავიდან ერგნეთის ტერიტორიაზე ხუთი ბაზარი მუშაობდა. ბაზრობის ქართულ ნაწილს წლების მანძილზე საქართველოს საგადასახადო სამსახურები ამოწმებდნენ და ამ კონტრაბანდული ბაზრობიდან ბიუჯეტშიც კი შედიოდა თანხები", - აცხადებს ლიახვის ხეობის მაჟორიტარი დეპუტატი გურამ ვახტანგაშვილი.

მისი თქმით, რევოლუციური მთავრობის მიერ გატარებული ღონისძიებების შედეგად ერგნეთის ბაზრის ქართული ნაწილი დაიხურა: ქართველმა მოვაჭრეებმა საქმიანობა შეწყვიტეს, ოსები კი სავაჭროდ ცხინვალის ხელისუფლების კონტროლირებად ტერიტორიაზე გადავიდნენ, სადაც ოთხი ბაზრობა დღემდე ფუნქციონირებს.

"სეპარატისტების კონტროლირებად ტერიტორიაზე ბაზრობა, ჩვეულებრივად, დღემდე ფუნქციონირებს, საიდანაც საქართველოს დანარჩენ ტერიტორიაზე კონტრაბანდული ტვირთების ოცდაათი-ორმოცი პროცენტი მაინც შემოდის", - აცხადებს ლიახვის ხეობის მაჟორიტარი დეპუტატი. გურამ ვახტანგისვილის აზრით, ერგნეთის ბაზრობის მთლიანად გაუქმება შეუძლებელია, რადგან ქართულ ძალოვან სტრუქტურებს აღნიშნულ ტერიტორიაზე სპეცოპერაციების ჩატარების საშუალება არ აქვთ.

"ერთადერთი, რისი გაკეთებაც შესაძლებელია, ჩვენმა პოლიციამ კეთილსინდისიერად უნდა იმუშაოს და აქეთ კონტრაბანდული ტვირთი არ უნდა გამოატაროს. სხვა შემთხვევაში, ომი უნდა დაიწყო იმისთვის, რომ ოსების კონტროლირებად ტერიტორიაზე შეხვიდე და ერგნეთის ბაზარი დაშალო", - აცხადებს დეპუტატი.

ერგნეთის ბაზრობაზე, ძირითადად, რუსული პროდუქციით ვაჭრობენ და სეპარატისტების მთავარი შემოსავლის წყარო სწორედ აღნიშნული ბაზრობაა, რადგან ცხინვალში არც ერთი საწარმო არ მუშაობს.

**მედია-ნიუსი.**

### დაკავებულის ახლობლები სამართალდამცველებს სამდღიან ვადას აძლევენ

ყაზბეგის რაიონის სოფელ გარბანის მოსახლეობამ გუშინ რუსეთ-საქართველოს დამაკავშირებელი საავტომობილო გზა გადაკეტა. მოპიკეტეები რამდენიმე დღის წინათ დაკავებული თანასოფლელის ხვიჩა გუჯარაიძის გათავისუფლებას ითხოვდნენ.

გუჯარაიძე სამართალდამცავებმა კონტრაბანდული სიგარეტის შემოტანის ბრალდებით დააკავეს და თბილისში გადმოიყვანეს. პროტესტის ნიშნად, დაკავებულმა პირი ამოიკერა. 17 ივნისს გუჯარაიძის ნათესავები თბილისში იმყოფებოდნენ, მაგრამ დაკავებულთან შეხვედრა მათ ვერ მოახერხეს.

საპროტესტო აქცია, დაახლოებით, სამი საათის განმავლობაში გაგრძელდა. გუჯარაიძის ნათესავებმა სამი დღის ვადა მისცეს სამართალდამცავებს და თუ ამ პერიოდში გუჯარაიძეს არ გაანთავისუფლებენ, საპროტესტო აქცია განახლდება.

გუჯარაიძის ახლობლებთან საუბრის შემდეგ ყაზბეგის რაიონის მაჟორიტარმა დეპუტატმა რევაზ სუჯაშვილმა განაცხადა, რომ ის იშუამდგომლებს პროკურატურასთან, რათა დაკავებული გირაოს პირობით გაათავისუფლონ

**მედია-ნიუსი**

### დროებითი დაკავების იზოლატორის თანამშრომლები დააკავეს

ქრთამის აღების ფაქტზე შსს-ის გენერალურმა ინსპექციამ სამინისტროს ბოლნისის დროებითი დაკავების იზოლატორის უფროსი გოჩა გაფრინდაშვილი და ამავე იზოლატორის თანამშრომელი გიორგი ფრუიძე დააკავა. როგორც შსს-ში აცხადებენ, დაკავებულებმა ნარკოტიკული ნივთიერების მოხმარებაში ეჭვმიტანილ მოქალაქეს დაპატიმრების მუქარით 500 აშშ დოლარი გამოსძალეს.

პოლიციის ინფორმაციით, საქმეში, ასევე, ფიგურირებს შს სამინისტროს ბოლნისის რაიონის სისხლის სამართლის სამძებროს განყოფილების უფროსი შმაგი სვანიძე, რომელზეც ძებნაა გამოცხადებული.

**პრაიმ-ნიუსი**

ენერგოსექტორის მონიტორინგი

*გაზეთი „24 საათი“, „ეკონომიკური კორუფციის მონიტორინგის ცენტრთან“ ერთად, აწარმოებს ღია დისკუსიას საქართველოს ენერგოსექტორის მოწყობის, რეფორმირების, დარგში კორუფციის აღმოფხვრის გზების ძიების საკითხებზე. დარგის სპეციალისტებს და დამოუკიდებელ ექსპერტებს, ეკონომისტებს და იურისტებს ვეპატიჟებით ჩვენს ღია დისკუსიაში მონაწილეობისთვის. შეგიძლიათ მასალები (აგრეთვე, ნებისმიერი ინფორმაცია, რომელსაც დარგისთვის მნიშვნელოვნად მიიჩნევთ) მოგვაწოდოთ გაზეთ „24 საათის“ რედაქციის ეკონომიკის განყოფილებაში economics@24hours.ge (tel: 20-24-24) ან „ეკონომიკური კორუფციის მონიტორინგის ცენტრის“ ელექტრონულ ფოსტაზე energy@ecm.ge, ან დაუკავშირდეთ პროექტის ხელმძღვანელს ელექტრონულ მისამართზე maya_u@gol.ge.*

ECM ეკონომიკური კორუფციის მონიტორინგის ცენტრი
Center of Economic Corruption Monitoring

The Eurasia Foundation
Georgia Office

**ენერგეტიკაში მიმდინარე პროცესების მონიტორინგისა და ენერგორეფორმების საზოგადოებრივი მხარდაჭერის პროექტს „ენერგეტიკა – კორუფციის გარეშე“ „ეკონომიკური კორუფციის მონიტორინგის ცენტრი“ ამერიკის საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID) ფინანსური დახმარებით, ფონდ „ევრაზიისგან“ მიღებული გრანტის მეშვეობით ახორციელებს. მიუხედავად ამისა, პროექტის ფარგლებში გამოქვეყნებულ პუბლიკაციებში გამოთქმული მოსაზრებები, შესაძლოა, არ გამოხატავდეს ამერიკის საერთაშორისო განვითარების სააგენტოს წარმომადგენლობის (USAID) ან ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობის ოფიციალურ პოზიციას. მასალების შინაარსზე პასუხს „ეკონომიკური კორუფციის მონიტორინგის ცენტრი“ აგებს.**

# სგსე-ს რეფორმა გრძელდება

*"ეკონომიკური კორუფციის მონიტორინგის ცენტრი" აგრძელებს "საქართველოს გაერთიანებულ სადისტრიბუციო ენერგოკომპანიაში" (სგსე) მიმდინარე რეფორმების გაშუქებას. ამჯერად გთავაზობთ ინფორმაციას სგსე-ს დასავლეთ საქართველოს ფილიალის შესახებ. მასალა პუბლიკაციისთვის ფილიალის საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურმა მოგვაწოდა.*

როგორც უკვე აღვნიშნეთ, სგსე-ს რეფორმა პირველ რიგში იმ კორუფციულ ხვრელების ამოქოლვას ითვალისწინებს, რომლებიც წლების განმავლობაში აზარალებდა ენერგეტიკას. კერძოდ, საუბარია კომპანიის დისტრიბუტორების გარიგებებზე "სახელმწიფო ელექტროსისტემის" ფისკტურებთან, რის შედეგადაც ელექტროენერგიის გადაღენების კვანძებში მრიცხველების "ჩამრგვ" და მოხმარებული ელექტროენერგიის შესახებ ოფიციალური მონაცემების გაყალბება სისტემატურ ხასიათს ატარებდა.

რეფორმირების შემდეგ (რასაც ფინანსურად დოხმარება - აშშ-ს საერთაშორისო განვითარების სააგენტო, გერმანიის საერთაშორისო ბანკი და ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკი - უჭერენ მხარს), სგსე-ს და "სახელმწიფო ელექტროსისტემის" შორის გადადინების წერტილების მკაცრი აღრიცხვის ზონაში უნდა მოექცეს და უნდა გაკონტროლდეს ყველა საკვანძო წერტილი, საიდანაც ელექტროენერგიის სოლიდური ნაკადები შეიძლება "აორთქლდეს".

### ზოგადი ინფორმაცია სგსე-ს დასავლეთ საქართველოს ცენტრალური ფილიალის შესახებ

სგსე დასავლეთ საქართველოს ცენტრალური ფილიალი ყველაზე დიდი ტერიტორიულ-სტრუქტურული რგოლია ენერგოკომპანიაში: ფილიალი იმერეთისა და რაჭა-ლეჩხუმ-ქვემო სვანეთის რეგიონებს ემსახურება. მისი სამოქმედო ტერიტორია 10 976,9 კმ2 შეადგენს, მოიცავს 15 რაიონს და 1 რესპუბლიკური დაქვემდებარების ქალაქს. მოსახლეობის საერთო რაოდენობა 725,2 ათასია.

ფილიალი ემსახურება 13 ქალაქს, 5 დაბას და 218 სოფლის საკრებულოს.

ტერიტორიის დიდი ნაწილი, რომელსაც ფილიალი ემსახურება, მთიანი ან მაღალმთიანია.

სგსე დასავლეთ საქართველოს ცენტრალური ფილიალის მომსახურების არეალი დაყოფილია 17 მომსახურების ცენტრად გეოგრაფიულ-ტექნიკურ საფუძველზე. აბონენტთა რაოდენობა არის 232 157, აქედან 220 818 კერძო მომხმარებელია. რეგიონის საშუალო თვიური მოხმარება შეადგენს დაახლოებით 50-60 მლნ. კილოვატს (მოხმარების მაჩვენებლები სეზონურად იცვლება).

ფილიალის მომსახურების ზონაში ყველაზე დიდ მომხმარებლად ითვლება ქალაქი ქუთაისი, სადაც სახელმწიფო აღრიცხვის დაახლოებით მონაცემებით 170 ათასი ადამიანი ცხოვრობს. ქუთაისის მომსახურების ცენტრი დაახლოებით 55 ათას აბონენტს ემსახურება (იგულისხმება მოსახლეობა, ორგანიზაციები და საწარმოები). აქედან 60%-ს მოიცავს კერძო სექტორი.

### ფილიალის საკადრო მდგომარეობა

ბოლო თვეების განმავლობაში ენერგოკომპანიამ მასშტაბური საკადრო რეფორმა განახორციელა. შემცირდა ხელოვნურად გაზრდილი საშტატო განრიგი, რის ხარჯზე შესაძლებელი გახდა 3-4-ჯერ გაზრდილიყო თანამშრომლების ხელფასები. თითოეულ თანამშრომელს გააჩნია წერილობითი სამსახურეობრივი ინსტრუქცია, რომელიც მათ უფლება-მოვალეობებს განსაზღვრავს. ენერგოკომპანია პრიორიტეტს პროფესიონალი კადრების მოზიდვას ანიჭებს.

ამჟამად დასავლეთ საქართველოს ცენტრალურ ფილიალში და მის 17 მომსახურების ცენტრში 1 250 ადამიანია დასაქმებული და მათი საშუალო ხელფასი 300-500 ლარს შეადგენს.

კადრების შერჩევა ხდება კონკურსის და ინტერვიუირების მეთოდით. თითოეულ რგოლში პრიორიტეტი ენიჭება მუშაობის გუნდურ პრინციპს, ამავე დროს მაღალია ინდივიდუალური პასუხისმგებლობის დონე.

| სერვის ცენტრი | აბონენტთა საერთო რაოდენობა | კერძო მომხმარებელი | საშუალო |
|---|---|---|---|
| მოხმარება კვტ/სთ | | | |
| ქუთაისი | 68 391 | 55 732 | 20 000 000 |
| წყალტუბო | 14914 | 14 700 | 6 000 900 |
| სამტრედია | 17 167 | 15 609 | 3 000 000 |
| ხონი | 10 172 | 9 442 | 1 500 000 |
| ვანი | 8 467 | 8 384 | 700 000 |
| ბაღდათი | 7 974 | 7 700 | 1 750 000 |
| ზესტაფონი | 24 491 | 23 400 | 4 600 000 |
| თერჯოლა | 11 620 | 11 256 | 4 000 000 |
| ტყიბული | 5 626 | 5 075 | 3 000 000 |
| ორპირი | 5 641 | 5 356 | 2 000 000 |
| საჩხერე | 13 357 | 12 552 | 2 500 000 |
| ჭიათურა | 19 710 | 19 225 | 4 000 000 |
| ხარაგაული | 12 712 | 11 592 | 700 000 |
| ცაგერი | 4 909 | 4 497 | 2 000 000 |
| ონი | 6 282 | 600 | 600 000 |
| ამბროლაური | 8 609 | 8 411 | 1 500 000 |
| ლენტეხი | 2 115 | 1 888 | 1 000 000 |
| სულ: | **232 157** | **220 818** | 60 560 432 |

ახლავს ცხრილი: ***სგსე დასავლეთის ფილიალის აბონენტთა რაოდენობა და ელექტროენერგიის მოხმარების საშუალო მაჩვენებლები მომსახურების ცენტრების მიხედვით.***

ტარდება ღონისძიებები კორუფციისა და დატაცების ფაქტების აღმოსაფხვრელად. აღმოჩენილი დარღვევების ფაქტები გადაეცემა პროკურატურას რეაგირებისთვის. 2005 წლის 1 მარტიდან ფილიალში აიკრძალა ელექტროენერგიის საფასურის ხელზე აღება. მოხმარებული ელექტროენერგიის ღირებულება აბონენტმა სალაროში უნდა გადაიხადოს, სადაც ის გადახდის დამადასტურებელ ქვითარს მიიღებს. ამით საბოლოოდ გაუქმდა ინკასატორის ინსტიტუტი, რაც ხელს შეუწყობს კორუფციის აღმოფხვრას სისტემაში.

### ფილიალის ფინანსური მდგომარეობა

დასავლეთ საქართველოს ცენტრალური ფილიალის საქმიანობაში დაინერგა თანამედროვე ფინანსური მენეჯმენტი, რაც უპირველესად კომპანიის ფინანსური შედეგების გაუმჯობესებას ემსახურება. ინკასატორის ინსტიტუტის გაუქმებით, ბილინგის სისტემის დანერგვით, ფინანსური გამჭვირვალობით ფილიალმა შეძლო საკუთარი ფინანსური მაჩვენებლების რადიკალურად გაუმჯობესება. თანხების ამოღების მაჩვენებლები ყოველთვიურად იზრდება - ზრდის პროცენტული მაჩვენებელი ნელა მაგრამ სტაბილურად იწევს. თუ გასული წლის სექტემბერში ელექტროენერგიის საფასურის გადახდა ფილიალში მოხმარებულის 28.8% შეადგენდა, დეკემბერში ეს მაჩვენებელი 36% იყო. კომპანიას ყოველთვიურად მნიშვნელოვანი თანხები შეაქვს ადგილობრივ ბიუჯეტებში.

მომსახურების ცენტრები მუშაობენ ერთიან ფინანსურ სტანდარტულ ფორმებზე. სისტემატურად ხდება გასული პერიოდის ფინანსური ანალიზი ფიდერების და ტრანსფორმატორების მიერ მოხმარებული და ამოღებული თანხების მიხედვით; ანალიზის შედეგად იგეგმება ყოველი მომდევნო თვის ბიუჯეტი. თითოეული სერვის ცენტრი პასუხისმგებელია ბიუჯეტის შესრულებაზე და შესრულების მაჩვენებელი განსაზღვრავს მომსახურების ცენტრის კატეგორიას; მომსახურების ცენტრის მიერ მუშაობის პროცესში ნაჩვენები შედეგების მიხედვით შესაძლებელია მოხდეს მისთვის კატეგორიის მომატება, რაც თავისთავად გულისხმობს თანამშრომლებისთვის ხელფასის მომატებას და წახალისების ერთ-ერთ ფორმას წარმოადგენს. რამდენიმე თვის წინ მეოთხე კატეგორიაში გადავიდა ამბროლაურის მომსახურების ცენტრი - სადაც თანამშრომლებმა მნიშვნელოვნად გაზრდილი სახელფასო ფონდი და გაუმჯობესებული სამუშაო პირობები მიიღეს.

ფილიალის ყველა მომსახურების ცენტრში ინერგება ბილინგის სისტემა, ხდება მომხმარებელთა სრულყოფილი ბაზის დამუშავება. ქუთაისში, ხონში, ბაღდათში და წყალტუბოში მომსახურების ცენტრები ახალი სისტემით მუშაობენ. ზესტაფონი, თერჯოლა, სამტრედია, ჭიათურა მათ რიცხვს 2005 წლის ბოლომდე შეუერთდებიან. ფილიალის სხვა სერვის-ცენტრებში ეს პროცესი მომავალი წლის მაისისთვის დასრულდება. ბილინგის სისტემის დანერგვასთან ერთად ფილიალს საშუალება მიეცა განეხორციელებინა ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ღონისძიება - 1 მარტიდან აიკრძალა მოსახლეობიდან მოხმარებული ელექტროენერგიის საფასურის ხელზე აღება. დადგენილი წესის თანახმად, აბონენტებმა, რომლებიც ყოველთვიურად მიიღებენ შესაბამის ქვითარს, მოხმარებული ელექტროენერგიის საფასური ენერგოკომპანიის მომსახურების ცენტრებსა და სალაროებში უნდა გადაიხადონ. ამით საბოლოოდ გაუქმდა ე.წ. ინკასატორის ინსტიტუტი, რაც კიდევ უფრო შეუწყობს ხელს კომპანიის ერთ-ერთი ძირითადი პრიორიტეტის განხორციელებას - კორუფციის დონის მინიმუმამდე შემცირებას სისტემაში.

### ფილიალის ტექნიკური მდგომარეობა

დასავლეთ საქართველოს ცენტრალურ ფილიალს, მომსახურების არეალიდან გამომდინარე, ერთ-ერთი უდიდესი და ურთულესი ელექტროქსელი აქვს. ფილიალის ტექნიკური სამსახური კონტროლს უწევს ქსელის გამართულ და შეუფერხებელ მუშაობას ფილიალის ტერიტორიაზე. ამისთვის სისტემატურად ტარდება ქსელის სარეაბილიტაციო და პროფილაქტიკური სამუშაოები. მიმდინარეობს რეგიონში არსებული ტექნიკური მდგომარეობის ყოველდღიური ანალიზი. 2005 წლის თებერვლიდან ენერგოკომპანია საკუთარი უძრავ-მოძრავი ქონების ინვენტარიზაციას ატარებს.

მიღებული და დახარჯული ელექტროენერგიის ზუსტი აღრიცხვისთვის სს "საქართველოს გაერთიანებული სადისტრიბუციო ენერგოკომპანიის" დასავლეთ საქართველოს ცენტრალური ფილიალი აბონენტთა ინდივიდუალური გამრიცხველიანების პარალელურად აწარმოებს ტრანსფორმატორებზე კომუნალური მრიცხველების დამონტაჟებას. ფილიალისთვის გამოიყო 3025 კომუნალური მრიცხველი, რომლებიც გადანაწილდა და დამონტაჟდა ფილიალის მომსახურების ცენტრებში. ეს კი კომპანიას საშუალებას მისცემს ტრანსფორმატორების მიხედვით ზუსტად აღრიცხოს ელექტროენერგიის ხარჯი და გააუმჯობესოს თანხების ამოღება, ზუსტად აღრიცხოს მოხმარებული ელექტროენერგიის რაოდენობა იმ დასახლებულ პუნქტებშიც, სადაც მომხმარებლებს არ აქვთ მოწესრიგებული თავიანთი აღრიცხვის წრედები. სატრანსფორმატორო პუნქტებში საერთო მრიცხველების დამონტაჟება ფილიალის ტექნიკურმა სამსახურმა 2005 წლის 11 აპრილიდან დაიწყო. ივნისში უკვე შესაძლებელი გახდა პირველი შედეგების მიღება: ივნისის პირველ ათ დღეში ფილიალში მოხმარებულმა ელექტროენერგიამ 15 318 900 კვტ/სთ შეადგინა, მაშინ როცა მაისის თვის იგივე მონაკვეთში მოხმარების მაჩვენებელი 21 821 124 კვტ/სთ-ს უდრიდა.

ქუთაისში, სამტრედიაში, ბაღდათში, ზესტაფონში, წყალტუბოში, ჭიათურაში დაიწყო და მიმდინარე წელს უნდა დასრულდეს მომხმარებელთა ინდივიდუალური აღრიცხვის კვანძების მოწესრიგების პროცესი. ქუთაისის მომსახურების ცენტრი ფართომასშტაბიან სამუშაოებს ატარებს ე.წ. "კომერციული ხაზების" მოსპობის მიზნით, რათა აღდგეს ქალაქის ელექტროენერგიით მომარაგება ნომინალური სქემით. ამის შემდეგ ქუთაისში ტექნიკური ქსელის სარეაბილიტაციოდ მასშტაბური სამუშაოები დაიწყება.

ქუთაისში დაიწყო წინასწარი გადახდის უახლესი მრიცხველების დამონტაჟება სამფაზა მომხმარებლებისთვის, რომელთა ხარჯი არ აღემატება 60 კვტ/სთ-ს.

სამუშაოების შესრულების პროცესში მაქსიმალური ყურადღება ექცევა უსაფრთხოების წესების დაცვას. თანამშრომლები სისტემატურად გადიან უსაფრთხოების წესების სწავლებას. ყველა მომსახურების ცენტრში შეიქმნა უსაფრთხოების ტექნიკის სამსახურები. შეძენილი იქნა და თანამშრომლებს დაურიდგათ ტექნიკური აღჭურვილობა და სპეცტანსაცმელი.

### დასახული გეგმები

"საქართველოს გაერთიანებული სადისტრიბუციო ენერგოკომპანიის" დასავლეთ საქართველოს ცენტრალური ფილიალში უახლოეს მომავალში უნდა განხორციელდეს შემდეგი სამუშაოები: კომუნალური და ინდივიდუალური გამრიცხველიანების დასრულება; ფილიალის ეფექტური ორგანიზაციული სტრუქტურის საბოლოოდ ფორმირება; ფინანსური მაჩვენებლების გაუმჯობესება, მოხმარებული ელექტროენერგიის საფასურის მაქსიმალურად ამოღება; ფილიალის ტექნიკურ საშუალებათა რეაბილიტაცია; აბონენტთა მომსახურების ხარისხის სრულყოფა.

### პრობლემები

რეგიონში კვლავ ფიქსირდება ქვესადგურებში მოსახლეობის შეჭრისა და დარბევის ფაქტები. თუმცა, მიუხედავად აბონენტების მხრიდან არსებული ძალადობის შემთხვევებისა ფილიალის პოლიტიკა უცვლელი რჩება. ჯერ არ ყოფილა შემთხვევა კომპანია დათმობაზე წასულიყო და დავალიანების მქონე ტრანსფორმატორი ჩართულიყო. კომუნალურ მრიცხველზე დაფიქსირებული დავალიანება სრულად უნდა დაიფაროს.

მიუხედავად საპროტესტო აქციებისა, რომელიც კომუნალური გამრიცხველიანების პირველ ეტაპზე ფიქსირდება, კომუნალური გამრიცხველიანების პროცესი ეროვნული პროგრამაა, ის სახელმწიფოს სრული მხარდაჭერით სარგებლობს. კომუნალური გამრიცხველიანების პროცესი კონტროლდება საქართველოს მთავრობის მიერ, რომელიც მხარს უჭერს აღრიცხვიანობის მოწესრიგებას ენერგოსექტორში.

გამრიცხველიანება და მოხმარებული ელექტროენერგიის საფასურის სრულად დაფარვა მოსახლეობისთვის ჯერ სიახლეა, რასაც თან სდევს სირთულეები. უახლოეს მომავალში ენერგოკომპანია ფართომასშტაბიან მედია-კამპანიას გეგმავს, რომელიც მიზნად ისახავს კომუნალური გამრიცხველიანების მნიშვნელობისა და შესაბამისი პროცედურების განმარტებას ფართო აუდიტორიისთვის. კომპანიის თითოეული აბონენტი მიიღებს ბუკლეტს კომუნალური გამრიცხველიანებისა და გადახდის პროცედურების დაწვრილებითი განმარტებით.

### გამრიცხველიანება

კომუნალური გამრიცველიანება შეეხო მთელს ფილიალს და 3025 საერთო მრიცხველი დამონტაჟდა კომპანიის ბალანსზე არსებულ სატრანსფორმატორო პუნქტებში.

რაც შეეხება ინდივიდუალურ გამრიცხველიანებას, მაისის მონაცემებით ქუთაისში ინდივიდუალურად გამრიცხველიანებულია დაახლოებით 20 000 აბონენტი, სამტრედიაში - 10 482, წყალტუბოში - 1457, თერჯოლაში - 835, ორპირში - 286, ზესტაფონში - 926, ჭიათურაში- 400, ბაღდათში - 300. გამრიცხველიანების პროცესი გრძელდება.

სახელმწიფოს მიერ გამოყოფილი აღრიცხვიანობის მოწესრიგების მიზნით "საქართველოს გაერთიანებული სადისტრიბუციო ენერგოკომპანიისთვის" გამოყოფილი 20 მილიონი ლარის დიდ ნაწილი მომხმარებელთა აღრიცხვის წრედების მოწესრიგებას უნდა მოხმარდეს. დასავლეთ საქართველოს ცენტრლურ ფილიალში ამ პროექტის ფარგლებში მიმდინარე წელს მთლიანად უნდა დასრულდეს უნდა დასრულდეს ინდივიდუალური გამრიცხველიანება ქუთაისში, ზესტაფონში, ჭიათურაში და საჩხერეში (სულ 53 700 აბონენტი).

### კომუნალური გამრიცხველიანება

კომუნალური გამრიცხველიანება სგსე დასავლეთის ცენტრალურმა ფილიალმა, იმერეთის რეგიონში 11 აპრილიდან დაიწყო. მიუხედავად სტიქიური მოვლენებისა სამონტაჟო სამუშაოები გაწერილი გეგმა-გრაფიკით ინტენსიურად მიმდინარეობს ყველა რაიონში. კომუნალური გამრიცხველიანების პროცესი გეგმით 22 ივნისს დასრულდება. ამ პერიოდისთვის იმერეთისა და რაჭა-ლეჩხუმი-ქვემო სვანეთის რაიონებში სულ 3025 მრიცხველი, აქედან მარტო იმერეთის რეგიონში 2970 კომუნალური მრიცხველი დამონტაჟდება.

ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ ენერგოკომპანია მომხმარებლებს მხოლოდ კომუნალურ მრიცხველზე დაფიქსირებული ელექტროენერგიის საფასურს სთხოვს და არა ძველი დავალიანების დაფარვას. თითოეულ ტრანსფორმატორზე არსებული ხარჯის შესახებ აბონენტებს ინფორმაცია სისტემატურად მიეწოდებათ მომსახურების ცენტრის თანამშრომლების მიერ. ინფორმაცია ამის შესახებ იკვრება ტრანსფორმატორზე, ყველასთვის ხელმისაწვდომ საჯარო ადგილზე, რათა მოსახლეობამ თავად შეძლოს საკუთარი ხარჯების გაკონტროლება. დადგენილი წესის თანახმად, მოხმარებული ელექტროენერგიის საფასურის გადახდის გამჭვირვალობის მიზნით, მომხმარებლებიდან თანხების მოკრებას აწარმოებს მათ მიერ უფლებამოსილი პირი, რომელიც კომპანიის სალაროში იღებს გადახდის დამადასტურებელ ქვითარს თითოეული აბონენტისთვის. დაუშვებელია თანხების ხელზე მიცემა.

პირველი მნიშვნელოვანი წარმატება კომუნალური მრიცხველების დამონტაჟების შემდეგ ხარაგაულის მომსახურების ცენტრში დაფიქსირდა, სადაც სატრანსფორმატორო პუნქტებში მრიცხველების დამონტაჟების შემდეგ ორიოდე კვირაში 40-ზე მეტი ტრანსფორმატორის აბონენტებს აღუდგინა ელექტროენერგიის მიწოდება მას შემდეგ, რაც მათ მთლიანად (100%-ით) დაფარეს მოხმარებული ელექტროენერგიის საფასური. დღეისთვის მომხმარებელთა ნაწილი გაფრთხილებითანავე იხდის ელექტროენერგიის საფასურს და მომსახურების ცენტრს ტრანსფორმატორის გათიშვა არ სჭირდება. გასული და მიდინარე თვეების პირველი 8 დღის შემოსავლების შედარებისას აშკარაა ზრდა: თუ კომუნალური მრიცხველების დამონტაჟებამდე მაისის პირველი 8 დღეში მომსახურების ცენტრში შემოსული იყო 196 ლარი, ივნისის იმავე პერიოდში თანხამ 6 285 ლარს მიაღწია - ზრდამ 97% შეადგინა.

სგსე დასავლეთის ცენტრალურ ფილიალში კომუნალური გამრიცხველიანების დაწყების შემდეგ ერთ-ერთ ყველაზე დიდ პრობლემებს ენერგოკომპანია ქუთაისის გუმათჰესის დასახლებაში წააწყდა. პრობლემები იყო ქუთაისის ჭომის დასახლებასა და ამბროლაურის რაონშიც. ახლა სოფლებს ზნაკვა, საკეცია და მოტყიარი 24 საათის განმავლობაში მიეწოდებათ ელექტროენერგია. რაიონში კომუნალური გამრიცხველიანების დაწყების შემდეგ შემოსულია დაახლოებით 17 ათასი ლარი. ხოლო მიმდინარე თვის პირველი 8 დღის შემოსავლები 88 პროცენტით ჭარბობს მაისის ანალოგიურ პერიოდში დაფიქსირებულს.

წელს ბაღდათის მომსახურების ცენტრმა 100 პროცენტის გადახდის მაჩვენებლით ჩართო 20 ტრანსფორმატორი, სადაც 8 000 ლარი გადაიხადეს. მნიშვნელოვნად შემცირდა მოხმარებაც: თუ მანამდე რაიონი 5 მეგავატ ელექტროენერგიას მოიხმარდა, დღეს ამ მაჩვენებელმა 1-1.5 მეგავატამდე იკლო. ანალოგიური პროცესები ვითარდება ზესტაფონშიც: შემოვიდა 3 000 ლარზე მეტი, ხოლო ყოველდღიურმა ხარჯმა 250 კილოვატსაათიდან 144-150 კილოვატსაათამდე დაიკლო. ელექტროენერგიის მოხმარება შემცირდა ონის მომსახურების ცენტრშიც, სადაც სოფლებს სორს, ნიგაუზებს და ჭალას, რომლებიც ადრე გრაფიკით იღებდნენ ელექტროენერგიას, 24 საათის განმავლობაში მიეწოდებათ შუქი. ჭიათურის მომსახურების ცენტრში 14 ტრანსფორმატორის აბონენტები იღებენ შუქს შეუზღუდავად, რადგამ მათ სრულად აანაზღაურეს მოხმარებული ელექტროენერგიის საფასური. გადახდის შემდეგ 24 საათის განმავლობაში ჩართულია სოფელი კაცხი, მაშინ როცა სოფელი კლდეეთი, რომელსაც იმავე ფიდერიდან მიეწოდება ელექტროენერგია, გათიშულია.

სგსე დასავლეთის ცენტრალური ფილიალი მიმდინარე თვეს მთლინად დაასრულებს კომუნალური მრიცხველების დამონტაჟებას ჩვიდმეტივე მომსახურების ცენტრში. კომპანიის თანამშრომლები უკვე ხაზგასმით აღნიშნავენ ელექტროენერგიის ხარჯის შემცირებასა და ამის პარალელურად აბონენტების მიერ მოხმარებული ელექტროენერგიის საფასურის მაჩვენებლების ზრდას.

# ისევ აირტურბინების შესახებ

A6 გვერდიდან

**აირტურბინისა და კომბინირებული ციკლის დანადგარის მონაცემების ცხრილი**

| | აირტურბინის (აქ) მოდელი | აირტურბინის მწარმოებელი | სიმძლავრე ღია ციკლში, მგვტ | ეფექტურობა ღია ციკლში, კჯ/(კვტ*სთ) | აირტურბინის სავარაუდო ფასი, მლნ აშშ დოლარი | კომბინირებული ციკლის დანადგარის მოდელი ჩვენი აქ-ს ბაზაზე | სიმძლავრე კომბინირებულ ციკლში, მგვტ | ეფექტურობა კომბინირებულ ციკლში, კჯ/(კვტ*სთ) | კომბინირებული ციკლის დანადგარის სავარაუდო ფასი, მლნ აშშ დოლარი |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | FT8 TWINPAC | Pratt & Whitney | 110 | 9214 37.0% | 32.2 293 USD/kW | | 165 | 6892 49.5% | 75.6 458 USD/kW |
| 2 | GT 11 N2 | ALSTOM | 114-123 | 9777 34.9% | 21.8 189 USD/kW | KA 11N2-1 | 167 | 6704 50.9% | 77.9 466 USD/kW |
| 3 | MS 6001 FA | Nuovo Pignone-Turbotecnica | 70.1 | 9980 34.2% | 18.3 261 USD/kW | S206FA | 218.7 | 6305 54.1% | 98 448 USD/kW |
| 4 | PG 9171 (E) | GEPower System / Hitachi / Kvaerner Energy | 123-133 | 10100 33.8% | 22.40 182 USD/kW | COBRA 264.3 | 183 | 6545 52.1% | 83 454 USD/kW |
| 5 | GT 50 D6 | FiatAvio | 140 | 9976 34.2% | 26 186 USD/kW | | 210 | 52% | 100 476 USD/kW |
| 6 | M 701 | Mitsubishi Heavy Industries | 144 | 9810 34.8% | 25.8 179 USD/kW | MPCP1 (M701D) | 212.5 | 6635 51.4% | 97 456 USD/kW |
| 7 | MS 9001 E | Nuovo Pignone-Turbotecnica | 123 | 10100 33.8% | 22 179 USD/kW | VEGA 109 E | 190 | 6549 52.1% | 86 453 USD/kW |
| 8 | V84.2 | Siemens | 109 | 10035 34.0% | 20.1 184 USD/kW | GUD 1.84.2 | 163 | 6630 51.5% | 74.7 458 USD/kW |
| 9 | GT 26 | ALSTOM | 241-265 | 8930 38.2% | 47.7 198 USD/kW | KA 26-1 | 393 | 5830 58.5% | 179 455 USD/kW |
| 10 | V94.3A | Ansaldo Energia | 255 | 8863 38.5% | 47.9 188 USD/kW | COBRA 15/94.3A | 380 | 5883 58.0% | 143 376 USD/kW |
| 11 | MS 9001 FA | GEPower System | 255.6 | 9250 36.9% | 49 192 USD/kW | S109FA | 391 | 6020 56.7% | 137.7 352 USD/kW |
| 12 | GT 24 | ALSTOM / Japan Gas Turbine | 183 | 8910 38.3% | 36.4 199 USD/kW | KA 24-1 | 271 | 5872 58.1% | 114.8 424 USD/kW |
| 13 | M 701F | Mitsubishi Heavy Industries | 270 | 8930 38.2% | 50 185 USD/kW | MPCP1 (M701F) | 398 | 5988 57.0% | 150 377 USD/kW |
| 14 | M 501F | Mitsubishi Heavy Industries | 185 | 9230 37.0% | 32 173 USD/kW | MPCP1 (M501F) | 280 | 6019 56.7% | 120 429 USD/kW |
| 15 | 501 F | Siemens, Siemens Westinghouse | 177 | 9230 37.0% | 32 181 USD/kW | MPCP1 (M501F) | 272 | 6019 56.7% | 115 423 USD/kW |

*ცხრილში მოყვანილია საანგარიშო "საბიუჯეტო" ფასები, რაც მრავალ ფაქტორს არ ითვალისწინებს და მხოლოდ დანადგარების ერთმანეთთან შედარებისთვის უნდა იქნეს გამოყენებული.*

ქტურობა და მცირდება დადგმული სიმძლავრის (კილოვატის) ფასი. ამიტომ, როგორც კაპიტალური დანახარჯების, ისე გაზის ხარჯვის თვალსაზრისით მცირე სიმძლავრეებისაგან შემდგარი დანადგარების მშენებლობაზე უფრო ეკონომიური იქნებოდა ერთი 300-350 მგვტ სიმძლავრის კომბინირებული ციკლის ენერგობლოკის აშენება. მით უფრო, რომ ის უნდა იყოს საბაზისო სიმძლავრის წყარო და იმუშაოს დატვირთვის ბაზისურ ნაწილში.

* აღარ შევჩერდებით პუბლიკაციაში მოყვანილ მსჯელობებზე ტარიფისა და ტარიფის მეთოდოლოგიის შესახებ, საიდანაც მკითხველს შეიძლება ისეთი აზრი დარჩეს, რომ ტარიფის სიდიდე არ არის განპირობებული ობიექტური დანახარჯებით, არამედ დამოკიდებულია მხოლოდ მისი გაანგარიშების მეთოდის შერჩევაზე და ტარიფის გაანგარიშების სწორი მეთოდის შერჩევით შესაძლებელია სრულად შეიცვალოს ქვეყნის ენერგეტიკული მდგომარეობა და ახალი გენერაციის ობიექტების აშენებისათვის აუცილებელი დამატებითი ხარჯების გადახდა საერთოდ არ დაგვჭირდეს.

გვინდა ენერგეტიკის სამინისტროს შევახსენოთ, რომ თბილსრესში ახალი აირტურბინული ტექნოლოგიის (კომბინირებული ციკლის დანადგარების) დანერგვის შესახებ პირველი წინადადება, რომელიც განიხილა და მოიწონა ენერგეტიკის სამინისტრომ, რომ არაფერი ვთქვათ 1996-2003 წლებში, ჩვენს მიერ გამოქვეყნებულ მრავალ სამეცნიერო ნაშრომსა და პუბლიკაციაზე ამ საკითხთან დაკავშირებით, მომზადებული იყო ჩვენს მიერ (იხ. 1997 წლის 8 აგვისტოთი დათარიღებული ოქმი). თბილსრესში ორთქლაირის კომბინირებული ციკლის დანერგვის შესახებ". ამ ინიციატივის შესახებ მოხსენებული იყო მრავალ კონფერენციაზე და ფართოდ იყო ცნობილი ქართველი და უცხოელი სპეციალისტებისათვის. განსაკუთრებულ ყურადღებით სარგებლობდა თბილსრესის პირველი რიგის ენერგობლოკების აირტურბინებთან კომბინაციაში გამოყენების შესაძლებლობების ჩვენს მიერ ჩატარებული გამოკვლევა (ასეთი პროექტის რეალიზაცია მოგვიანებით წარმატებით განხორციელდა რუსეთის ერთ-ერთ თბოელექტროსადგურში). ჩვენი შეფასებით, იმ პერიოდში საქართველოს ენერგოსისტემისათვის ოპტიმალური იყო 320 მგვტ სიმძლავრის აირი-ორთქლის კომბინირებული ციკლის დანადგარის მშენებლობა (ეფექტურობით 57-58%). ეს წინადადება ჩართული იყო 1998 წელს ჩატარებულ ენერგოსისტემის განვითარების ოპტიმალური დაგეგმვის სამუშაოში, რომელმაც დაადასტურა მისი ეტაპობრივი განხორციელების მიზანშეწონილობა. ამ საკითხს არც დღეისათვის დაუკარგავს აქტუალურობა.

ამით გვინდა ხაზი გავუსვათ, რომ ვართ აირტურბინული ტექნოლოგიების დანერგვის აქტიური მომხრეები და ერთ-ერთი ინიციატორები. მიგვაჩნია, რომ ეს ტექნოლოგია აუცილებლად უნდა დაინერგოს საქართველოში, ოღონდ ეს უნდა გაკეთდეს შესაბამის დროს და შესაბამისი მეთოდებით. ამიტომ, მოხარული ვიქნებოდით სამინისტროს გამოხმაურებაში დაგვენახა უფრო მაღალპროფესიული მიდგომა აღნიშნული საკითხისადმი, ვიდრე ზერელე დამოკიდებულება ქართველი ექსპერტებისადმი. ჩვენის მხრივ კი გვინდა წარმატება ვუსურვოთ მათ საქართველოს ენერგეტიკული პრობლემების მოგვარების რთულ საქმეში.

აქვე, ვსარგებლობთ შემთხვევით რათა მკითხველს გავუზიაროთ კიდევ ერთი ახალი ინფორმაცია: აზერ-პრესის ა.წ. 14 ივნისის ცნობით აზერბაიჯანის მილი მეჯლისმა მოახდინა იაპონიის საერთაშორისო თანამშრომლობის ბანკთან დადებული მორიგი სასესხო ხელშეკრულების რატიფიცირება, რითაც სახელმწიფო მიიღებს 273.6 მილიონ დოლარს 40 წლით, წლიური 0.75% განაკვეთით და 10 წლიანი შეღავათიანი პერიოდით, კიდევ ერთი ახალი 400 მვტ კომბინირებული ციკლის დანადგარის მშენებლობისათვის.

ავტორების მიერ დასმულ კითხვებზე პასუხების მისაღებად "ეკონომიკური კორუფციის მონიტორინგის ცენტრი" დაუკავშირდა ენერგეტიკის მინისტრის მოადგილეს არჩილ მამათელაშვილს, რომელიც აირტურბინების საკითხს კურირებს. არჩილ მამათელაშვილმა შემდეგი კომენტარი გააკეთა: **"აირტურბინული დანადგარის შერჩევა სამინისტროს კომპეტენცია არ იყო. ჩვენი მიზანი მხოლოდ ეკონომიკური მიზანშეწონილობის ანალიზი იყო, კერძოდ კი ის, რომ ხარჯებს ტარიფზე არ ემოქმედა. თუმცა, ჩვენთვის ისიც ცნობილია, თუ რა მოტივაციით შეაჩერა არჩევანი ინვესტორმა "პრეტ & ვითენზე". საქმე ის გახლავთ, რომ შემოსულია სულ რამდენიმე წინადადება. მათ შორის, შერჩეული ვარიანტისთვის ეფექტურობის კუთხით კონკურენცია მხოლოდ ერთს - "როლს-როისის" ტურბინების დამონტაჟების წინადადებას შეიძლებოდა გაეწია. თუმცა, თუ ეფექტურობის თვალსაზრისით ეს წინადადება ყველაზე ეფექტური იყო, ისიც გასათვალისწინებელი იყო, რომ "როლს-როისის" ტურბინა შედარებით ახალია და, ამდენად, მსოფლიო პრაქტიკაში, ჯერჯერობით, არ დაუმტკიცებია თავისი უპირატესობა. ამდენად, ამ ტურბინებზე არჩევანის შეჩერება გარკვეულ რისკ-ფაქტორთან იყო დაკავშირებული. გარდა ამისა, "როლს-როისის" ტურბინების უფრო ძვირი ჯდება, ვიდრე არჩეული დანადგარი. შედეგად, მის მიერ გამომუშავებული ენერგიის ფასი 170-180 დოლარით უფრო ძვირი გამოვიდოდა, რაც, ბუნებრივია, ტარიფისთვის დამატებით ტვირთად იქცეოდა. და ბოლოს: "როლს-როისის" ტურბინების დამონტაჟების წინადადების წარმომდგენი კომპანია ორჯერ უფრო მეტ დროს ითხოვდა, ვიდრე "პრეტ & ვითენი."**

რაც შეეხება წინასწარ კვლევით სამუშაოებს, მამათელაშვილის ინფორმაციით, ეს ამუშაოები ინვესტორმა ჩაატარა. **"მათ წინასწარ შეისწავლეს ვითარება და არჩევანი მხოლოდ ამის შემდეგ გააკეთეს, რასაც ჩვენც დავეთანხმეთ,"** - განმარტავს იგი. მამათელაშვილი აცხადებს, რომ იგი მზად არის შეხვდეს და ესაუბროს ყველა ექსპერტს, რომელთაც აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით სამინისტროსგან განსხვავებული პოზიცია აქვთ. **"ეს ჩვენ დაგვეხმარება, კიდევ უფრო მყარად დავრწმუნდეთ, რომ ინვესტორმა სწორი არჩევანი გააკეთა,"** - დასძენს მინისტრის მოადგილე. მისი თქმით, სამინისტრო მზადაა, ამომწურავი პასუხი გასცეს ექსპერტთა მიერ დასმულ ყველა კითხვას და დაასაბუთოს ამ არჩევანის სისწორე.

ინფორმაციას ენერგეტიკის სამინისტროს წარმომადგენელთა შეხვედრის თაობაზე ექსპერტებთან "ეკონომიკური კორუფციის მონიტორინგის ცენტრი" და გაზეთი "24 საათი" ოპერატიულად შემოგთავაზებთ.

სამი მარტივი საღამო



B3

კალატრავას ცათამბჯენი ნიუ იორკში აშენდება



B6

ბიორკი კინოგადაღებაზე დაითანხმეს



B8

# მომავალ ორშაბათამდე!



ნოდარ ლადარია

ერთგული მკითხველი შეამჩნევდა, ბოლო დროს როგორ მჭიდროდ დასახლდნენ "24 საათის" ფურცლებზე სხვადასხვა სახის განცხადებები. დროა, სათაური შევუცვალოთ გაზეთს და დავარქვათ, მაგალითად, "Love me, Tender", სადაც მეორე სიტყვის შემდეგ დასმული მძიმე აშკარად მიგვანიშნებს, რომ საქმე მიმართვასთან გვაქვს...

თუმცა ამ შემთხვევაში იმ ბავშვს ვგავარ, რომელსაც ცულლუტობაზე წაასწრეს და უხერხული ღიმილით ცდილობს, იხტიბარი არ გაიტეხოს. ყველამ პირდაპირ უნდა შეხედოს გარდაუვალს და მეც მზად ვარ, პასუხი ვაგო...

ერთი სიტყვით, რამდენიმე დღის წინათ შეტყობინება მივიღე ჟურნალ "ცხელი შოკოლადის" რედაქტორის, **შორენა შავერზაშვილისგან**. მართლაც, ჩემი წინა პუბლიკაციის ტექსტიდან გამომდინარეობდა, თითქოს ჟურნალს **ბადრი პატარკაციშვილი** აფინანსებს. ვაღიარებ, რომ მეტი ყურადღებით უნდა მოვკიდებოდი მოწვდილ ინფორმაციას. ალბათ ჩემი უდანაშაულო წყარო ზომაზე მეტად ენდო ქართულ სინამდვილეს, რომელშიც სიტყვა "ძმაკაცი" ბევრ რამეს ნიშნავს, თუნდაც მამისა იყოს. მე კი ამავე ქართული სინამდვილისადმი ზედმეტი უნდობლობა გამოვიჩინე: ეს რომ არა, დავფიქრდებოდი მაინც, რომ ცნებები "პატარკაციშვილი" და "წარმატებული ბეჭდვითი გამოცემა" ნამდვილად შეუთავსებელია ამ რეალობაში.

ასეა თუ ისე, წარმატებას ვუსურვებ ჩემს კოლეგებს და მე კი იმას გავიხსენებ, რომ გაუგებრობით დაწყებულ ურთიერთობას ხშირად მეტად სასარგებლო ნაყოფები მოუტანია ჩემთვის.

სასარგებლო ნაყოფებით კი გასულმა კვირამაც გაგვახარა, თუმცა "24 საათს" ერთი პწკარიც არ მიუძღვნია ამ მნიშვნელოვანი მოვლენისთვის...

16 ივნისს, შუადღით, საქართველოში წარმოდგენილი უმთავრესი კონფესიების ლიდერებმა მოულოდნელად მიიღეს მოწვევა საპატრიარქოში. საღამოს ცხრა საათზე საგანგაშო წესით გამოძახებულებს განუცხადეს, რომ საქართველოს საპატრიარქოს ინიციატივით იქმნება "რელიგიურ ორგანიზაციათა საკოორდინაციო ცენტრი". ამ ცენტრის მიზნებია: 1. სახელმწიფო აზროვნების ხელშეწყობა; 2. საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღსადგენად ზრუნვა; 3. ჯანსაღი ცხოვრების წესის დანერგვა; 4. სოციალური მსახურება; 5. მშვიდობიანი და სტაბილური კავკასიისთვის ზრუნვა.

მშვენიერია! როგორც იქნა, საქართველოს საპატრიარქო, თუმც კი შეზღუდული, ეროვნული და არა საერთაშორისო მასშტაბით, უბრუნდება ეკუმენური მსახურების ასპარეზს. უფრო მეტიც, რადგან შეხვედრაზე წარმოდგენილი იყვნენ მუსლიმებიცა და იუდეველები, ამ შეხვედრას რელიგიათაშორისი გაქანებაც ჰქონდა. განსაკუთრებით დასაფასებელია, რომ ცენტრის მოღვაწეობაში მონაწილეობას მიიღებენ არ მარტო ე. წ. "ტრადიციული" რელიგიები, არამედ ორმოცდაათიანელთა რელიგიური თემიც, რომელიც აქამდე საშიშ სექტად იყო მოხსენიებული.

მართალია, შეიძლება ვინმემ იფიქროს, რომ აქ პარიტეტის პრინციპი ირღვევა, რომ მაინცდამაინც მართლმადიდებლები იღებენ თავიანთ თავზე ლიდერის როლს, მაგრამ, მეორე მხრივ, ვინ უნდა ჩაუდგეს სათავეში ამგვარ ორგანიზაციას, თუ არა სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი, უწმინდესი და უნეტარესი ილია მეორე, რომლის საერთაშორისო ეკუმენური გამოცდილება კვლავ ამოქმედდება ერისა და ეკლესიის საკეთილდღეოდ.

ნუთუ გვეშველა? ნუთუ მოვესწრებით და ჩვენის ხორციელის თვალით ვიხილავთ, რომ მღვდელ **დავით ისაკაძის** მებრძოლი მრევლი აღარ არბევს ორმოცდაათიანელებს დილომში, რომ ნორაშენის უმოქმედო ტაძარი მრავალი წლის შემდეგ გადაეცემა კანონიერ მფლობელს, რომ ბოლოს და ბოლოს დასახელებული იქნება იმ სასულიერო პირის ვინაობა, რომელმაც 2000 თუ 2001 წელს ჩამოფხიკა კაზრეთის ფასდაუდებელი ფრესკები, რომ ნამდვილ გამოძიებას დაექვემდებარება უკანონობა, რომელიც დაატყდა ხაშმის, გარისისა და სხვა მეურნეობებს?

ძალიან კი არ მჯერა ამ უტოპიური სურათისა. ყოველ შემთხვევაში, ის მაინც მოხდეს, რომ იერუსალიმის ყოფილი პატრიარქის, **ემანუილ სკოპილიტისის** საბოლოო განკვეთის შემდეგ ქართველმა მართლმადიდებელმა მრევლმაც იგრძნოს, რომ მას არ უყურებენ როგორც უტყვ ფარას და წირვისას არ უხსენიებენ აწ უკვე სამოქალაქო პირს (მართალია, სკოპილიტისი ბერობამდე განკვეთეს, მაგრამ განა დათანხმდება, ილუმენის მორჩილებაში გალიოს დღენი?). ჩვენთან კი ვინ ფიქრობს მრევლის ღირსებაზე, განა მღვდელი **გიორგი ზვიადაძე**, ან საპატრიარქოს პრესსამსახურის უფროსის მოადგილე, **ზურაბ ცხოვრებაძე**, ან ისინი... რა ჰქვიათ?.. ლობისტები — აიღებენ თავიანთ თავზე პასუხისმგებლობას, რომ თქვან: საქართველოს ეკლესიის ოფიციალური პოზიცია სრულიად მართლმადიდებელთა კონსტანტინოპოლის საეკლესიო კრებაზე ღირსეული საქციელი კი არა, სავალალო შეცდომა იყო? მე არ მჯერა, მაგრამ სანუგეშოდ მაინც მოვიყვან კონსტანტინოპოლისა და მსოფლიო პატრიარქის, **ბართლომე პირველის** სიტყვებს, რომლებიც 18 ივნისს გამოაქვეყნა "24 საათმა": "**პრობლემები ბევრია, მაგრამ ღმრთისადმი სიყვარული განამტკიცებს რწმენას, და მადლი ღმრთისა მოგცემთ ძალას და გადაგალახვინებთ ყოველგვარ დაბრკოლებას**". რა შეგვიძლია ვუპასუხოთ, თუ არა "ის პოლა ეტი, დესპოტა!" — "იდღეგრძელე, მეუფეო!".

დიახ, დაბრკოლება მართლაც ბევრია. აი, მაგალითად, რას ამბობს საქართველოს იუსტიციის მინისტრი, **კონსტანტინე კემულარია**. მისი სიტყვები "24 საათმა" მოიყვანა პუბლიკაციაში *გატეხილი დაპირება და გაცრუებული იმედი* (17 ივნისი): "**პენიტენციურ სისტემაში არსებული პრობლემების მოგვარება სახელმწიფოს პრიორიტეტად უნდა იქცეს**". ამის შემდეგ გაზეთი სრულიად საფუძვლიანად აცხადებს, რომ მინისტრი ამ სისტემის რეფორმისკენ სვლას მაინც აყოვნებს. მაგრამ განა მინისტრის სიტყვები მის საქმეს ეწინააღმდეგება? დავაკვირდეთ მოვლენებს. საქმე, რა თქმა უნდა, ეხება იმ საშინელ მდგომარეობას, რომელიც საქართველოს ციხეებშია შექმნილი და ამ მდგომარეობის საფუძველზე სასჯელაღსრულების დეპარტამენტის თავმჯდომარის, **შოთა კოპაძის** გადაყენების მოთხოვნა, რომელსაც სახალხო დამცველის ოფისი და არასამთავრობო ორგანიზაციები აყენებენ. სატელევიზიო რეპორტაჟიდან ვიცით, რომ იუსტიციის მინისტრმა თქვა დაახლოებით შემდეგი: დღეს კოპაძის ადგილას რომ **თეა თუთბერიძე** დანიშნონ, ისიც იძულებული იქნება ანგარიში გაუწიოს ციხის "ტრადიციებს". მაშ ასე, მინისტრი, რომელიც ამგვარი უკიდურესად არასახელმწიფოებრივი განცხადების უფლებას აძლევს თავის თავს, უბრალოდ ხელს იბანს და პასუხისმგებლობას იხსნის. უფრო მეტიც, ერთგვარ ლეგიტიმურობას ანიჭებს ამ "ტრადიციებს". ამ თვალსაწიერიდან უკვე ჩანს, რომ სიტყვები "სახელმწიფო პრიორიტეტად უნდა იქცეს" ნიშნავს შემდეგს: ჩემთან რა გინდათ, ამაზე ყველამ უნდა იფიქროს — ყველამ, ესე იგი, არავინ!

როგორც ვხედავთ, მინისტრის სიტყვა და საქმე ერთია. მაგრამ ამ მონოლითურობის სარგებლობა ნულია. საერთოდ, რვა ათას ლარად ნაყიდი "პალაჟენია" საქართველოში ყოველთვის უფრო გასაგები და ჩვეული რამ იყო, ვიდრე სახელმწიფო თანამდებობით განპირობებული პასუხისმგებლობა. იურიდიული ურთიერთობების სივრცე ყოველთვის უღრანი და საშიში ურჩხულებით დასახლებული ტყე იყო ჩვენთვის.

ეს გასულ კვირას საქართველოს პარლამენტმაც დაამტკიცა, როცა ჩააგდო კანონი სამოქალაქო აქტების რეგისტრაციის შესახებ. როცა საქმე ეკონომიკას ეხება, ან პოლიტიკას ან სხვა რამეს, ჩვენი პარლამენტარების უმრავლესობა ვერც ამაში ერკვევა, მაგრამ არის რამდენიმე კაცი, რომლებსაც უჯერებენ და ასე აჭერენ ღილაკებს. შესაძლებელია სხვა ვითარებაც: მაგალითად, განათლების კანონი უმრავლესობიდანაც ბევრს არ ეხატებოდა გულზე, მაგრამ პრეზიდენტის პოზიციამ გაიმარჯვა. აი, სამოქალაქო რეგისტრაციის კანონის თაობაზე მიღებული გადაწყვეტილება კი მართლაც ადეკვატურად ასახავს იმ შინაგან მდგომარეობას, რომელშიც იმყოფება საშუალო ქართველი დეპუტატი — ატავისტური ღირებულებების სრული დომინირება.

საქმეში გასარკვევად წავიკითხოთ *ღია წერილი საქართველოს პრეზიდენტს, ბატონ მიხეილ სააკაშვილს*. ეს ტექსტი, რომელსაც ქართველი მეცნიერები (ჰუმანიტარული მიმართულებისა) აწერენ ხელს, "24 საათმა" 17 ივნისს გამოაქვეყნა. მეცნიერები სწორედ ამ კანონს აუმხედრდნენ, რომელსაც გვარებისა და სახელების მიღებისა და შეცვლის პროცედურა უნდა დაერეგულირებინა. ვნახოთ მეცნიერთა არგუმენტები.

პირდაპირ შუბლში უმიზნებენ: "**ბატონო პრეზიდენტო! თქვენი განსწავლულობისა და ოჯახიშვილობისგან გამომდინარე, არ გჭირდებათ იმის შეხსენება, თუ რა არის გვარი (სამეცნიერო ტერმინით: გვარსახელი)**". არა, ამ ქვეყანაში ვერასოდეს გავხდები პრეზიდენტი. თუნდაც იმიტომ, რომ ამგვარ მიმართვას პირად შეურაცხყოფად მივიჩნევდი. რას ნიშნავს ამ კონტექსტში "ოჯახიშვილობა"? ამგვარი ინტიმური დეტალის აღნიშვნა თუნდაც ასეთი ფანფარული ტონით, სრულიად დაუშვებელია ღია წერილში. მაგრამ საქმე ისაა, რომ ღია წერილს, ძირითადის გარდა კიდევ ერთი ადრესატი ჰყავს — მთელი საზოგადოება. ამგვარად, გამოდის, რომ ამ საზოგადოებაში არსებობენ ადამიანები, რომელთა "ოჯახიშვილობიდან" ჩვენი პროფესორებისთვის მოსაწონი არაფერი გამომდინარეობს. მერე რა? — რა და არც არაფერი. თუ რა მოსწონთ ჩვენს პროფესორებს, ამაზე ქვემოთ მოგახსენებთ, მაგრამ რაც შეეხება "ოჯახიშვილობას", უნდა აღვნიშნოთ, რომ ეს ცნება სრულიად მოკლებულია მეცნიერულ რელევანტობას. აბა, წარმოიდგინეთ სოციალური ცვლადი: "ოჯახიშვილობა". სასაცილოა, არა? ან კი თვით მიშა სააკაშვილის "ოჯახიშვილობა", როცა, მაგალითად, თორმეტიოდე წლის წინათ პარლამენტის უფლებათა დაცვის დეპარტამენტში მუშაობდა და დღეს, როცა საქართველოს პრეზიდენტია, განა ერთი და იგივეა? დაიდონ ხელი გულზე პატივცემულმა პროფესორებმა და თქვან: თორმეტიოდე წლის წინათ ასევე აღნიშნავდნენ თუ არა ამ ყმაწვილის "ოჯახიშვილობას"? რა თქმა უნდა, ბევრი რამ შეიცვალა, მაგრამ ეს ყბადაღებული "ოჯახიშვილობა" ხომ იგივე დარჩა! არა, ბატონო, ვერავინ დამარწმუნებს იმაში, რომ ამ სიტყვით ტრივიალურ სნობურ გოიმობაზე რაღაც უფრო მეტი აღინიშნება.

თან იმასაც მივაქციოთ ყურადღება, რომ ჩვენს პროფესორებს, სიტყვაზე თუ დავუჯერებთ, ეჭვი არ ეპარებათ პრეზიდენტის განსწავლულობაში. მაგრამ საქმით? — იმწამსვე ახსენებენ: მეცნიერული ტერმინოლოგიით, გვარსახელიო. ან იქნებ ჩვენ არ გვენდობიან, ღია წერილის თანაადრესატებს, ჩვენ გვიხსნიან? უნდობლობაზე ქვემოთ მოგახსენებთ...

მანამდე კი ეს უნდა მოგახსენოთ: ნუ გგონიათ, რწყილს ვატყავებდე — უბრალოდ დისკურსის პოპულარულ ანალიზს ვცდილობ.

ჰუმანიტარი პროფესორები პირდაპირ ჯოკერს ჩამოდიან: ჩვენი დიადი წარსული. აბა, განა ვინმე გაჭრის ამ ქაღალდს? — "**ქართველებს მემკვიდრეობითი სახელი (გვარი) საუკუნეებია გვაქვს. ის ქართული წერილობითი ძეგლებით VII ს-დან დასტურდება (ზოგიერთმა ხალხმა ის XIX-XX სს-ში დეკრეტით დაიკანონა)**". რაო, კანონს დიაქრონული ასპექტიც უნდა ჰქონდეს? რატომ არ ასახელებენ ამ "ზოგიერთ ხალხებს"? ალბათ ცხოვრების დონით საგრძნობლად წინ არიან წასულნი და ჩვენს პროფესორებს რცხვენიათ.

შემდეგი არგუმენტი: "**გვარების ისტორიული, ეთნოლოგიური, ლინგვისტური შესწავლით საქართველოს, ქართული ეთნოსისა და ენის ისტორიის არაერთი კარდინალური საკითხი ირკვევა**". მართალი ბრძანებაა, მაგრამ "კარდინალური საკითხები" ხომ ისტორიული სიტუაციითა განპირობებული. თუ რომელიმე ძველ ნაქალაქარში კაბელი ვერ აღმოვაჩინეთ, არ ნიშნავს, რომ მისი მცხოვრებლები ტელეფონის მაგიერ რადიოთი სარგებლობდნენ. არც კანონი ცვლის ისტორიულ ვითარებას: საკითხი, ვისი ბიძაშვილი იყო ექვსასი წლის წინათ მცხოვრები უჯმაჯურიძე, არანაირად არ შეიცვლება იმით, თუ ყველა დღევანდელი უჯმაჯურიძე გვარს შეიცვლის, ან თუ ყველა დღეს მცხოვრები ქართველი უჯმაჯურიძედ დაიწერება. "კარდინალურ საკითხებს" არაფერი ემუქრება.

შემდეგი არგუმენტი: გაუთვალისწინებელი კონფლიქტები. აი, აქ ქართველი ხალხისადმი უნდობლობის პირველი სამხილი შეიგრძნობა. წარმოვიდგინოთ მოვლენათა ჯაჭვი: კაცმა გამოიცვალა გვარი, მისი ახალი გვარის მატარებლები (უკლებლივ ყველა) წინააღმდეგნი არიან, მათ შორის იწყება კონფლიქტი. ახლა კი წარმოვიდგინოთ სოციალური კონტექსტი, რომელშიც შეიძლება განვითარდეს ეს მოვლენები: გვარის წარმომადგენლები აუცილებლად უნდა შეადგენდნენ მცირე და შეკრულ ერთობას, რომელიც ცხოვრობს შუასაუკუნეობრივი ან ბარბაროსული ღირებულებებით. წინააღმდეგ შემთხვევაში შესაძლო კონფლიქტი რესტორნული "შელაპარაკების" მასშტაბს ვერ გადააჭარბებს. ამ უკანასკნელ შემთხვევაში კი კანონმდებლობას საკმაო საშუალებები აქვს მის აღსაკვეთად და გადასაწყვეტად. თუ ჩვენს პროფესორებს დავუჯერებთ, 1) ქართველები სერიოზული მოტივაციის გარეშე მიმართავენ გვარის გამოცვლას; 2) ქართველებს ერთმანეთის მიმართ კეთილგანწყობისა და საზოგადო კაცთმოყვარეობის ნატამალი არ გააჩნიათ.

ეს კი უნდა გავიმეოროთ: "**დღევანდელ საქართველოში რატომღაც მოდაშია თავადაზნაურული გვარებისადმი მისწრაფება ... აღნიშნული კანონპროექტით ასეთი ქართული გვარსახელების ხელყოფა გარდაუვალია. ტელევიზიის საშუალებით გაისმა, რომ შეიძლება ასეთი გვარების მაძიებლებმა ისინი შეიძინონ, ფულით იყიდონ. თუ ეს მართალია, მაშინ ერთგვარ უზნეობასთან გვაქვს საქმე**". რა მოხდა? სად დაიკარგნენ ის მრისხანე ქართველები, რომლებიც მცირე კლანებად არიან დაყოფილები და დაჰკანკალებენ საკუთარ გვარებს? მათ მაგიერ ხელში შეგვრჩა ქონდრისკაცუნები, რომლებსაც გულის სიღრმეში სძულთ საკუთარი გვარები და ოდესღაც ჟამთასვლის გარდუვალობაში ყავლგასულ არისტოკრატობას ესწრაფვიან. თანაც ეს ქონდრისკაცუნები იმდენი ყოფილან, რომ დადიანებს, ჩიქოვანებს, ბაგრატიონებს და სხვებს რეალური საფრთხე ექმნებათ! ესეც ქართველებისადმი უნდობლობის კიდევ ერთი მაგალითი.

სხვათა შორის, ევროპის ბევრ ქვეყანაში არისტოკრატიული ტიტულის ყიდვა თავისუფლად შეიძლება. რა არის ცუდი იმაში, თუ სახელმწიფო ვიღაცეების ბრიყვულ ახირებათა ხარჯზე ერთი-ორ გროშს გააკეთებს? ამით ხომ ჩვენ, პრაგმატული და საღი გონების ადამიანები მხოლოდ მოვიგებთ.

სამაგიეროდ, ჩვენი პროფესორების გასაგონად იმასაც ვიტყვი, რომ ევროპის ქვეყნებში არ მოქმედებს ისეთი დახავსებულ-საბჭოური ცნება, როგორიცაა "სატიტულო ეთნოსი", რომელსაც ისინი რატომღაც "ტიტულოვან ეთნოსს" უწოდებენ (როგორც ეტყობა, პარალოგიზმებში გარკვევა უჭირთ, რადგან "ტიტულოვანი" სულ სხვა რამეს ნიშნავს). ჰოდა, გერმანიის მოქალაქე ფონ აშენბახი ზუსტად, დიახ, ზუსტად ისეთივე უფლებებით სარგებლობს, როგორც გერმანიის მოქალაქე მაჰმუდ ალი ბეი ჩაქმაჩოღლი. ამაშია კაცობრიობის სანატრელი მონაპოვარი.

პროფესორები კი წერენ: "**დღეს მძიმე სოციალურ-ეკონომიკური პირობების გამო, რამდენადაც ჩვენთვის ცნობილია, არაერთ ქართველს სურს მიიღოს არაქართული (ბერძნული, გერმანული, ებრაული...) გვარი**". გამოდის, სულ ტყუილად გვილიარებია ადამიანის უფლებები. მაგრამ საქმე მარტო ამაში როდია: არც კი მოგვდის თავში, რომ ძალით სიყვარული სიძულვილზე უარესია. ნუთუ არ გვეშინია მასობრივი კონფორმიზმის დაკანონებისა? გძულდეს შენი გვარი და ჯილაგი, ოღონდ არ გქონდეს ამის გამოხატვის საშუალება. მაშინ ყველაფერი რიგზეა და პატრიოტების სიაშიც ჩაგწერთ. რომელი ეთიკის თანახმად ვაკავებთ მათ, ვისაც ჩვენთან ყოფნა არ სურს? მაგრამ საქმეს კიდევ ერთი მხარეც აქვს: სახელმოხვეჭილ პროფესორებს და მათთან გათანაბრებულ პირებს გულის სიღრმეში სწამთ, რომ ქართველების საგრძნობ ნაწილს ძაღლის საყელური სჭირდება, თორემ გაიქცევა. იმერეთში ხანდახან დაინახავთ ქათმებს, რომლებსაც კისერზე ერთმანეთზე გადაბმული ჯოხებისაგან გაკეთებული უღელი ადევთ — მეზობელთან რომ არ გადავიდნენ. ქართველისთვის ეს ყოფილა გვარი!

ამის შემდეგ პროფესორები იმეორებენ იმ არგუმენტს, რომელსაც ოდესღაც უკვე გავეცი პასუხი: იგულისხმება ინცესტური ქორწინებების საშიშროება. ამ პიკანტური დეტალებით თავს არ შეგაწყენთ, მაგრამ არ შემიძლია არ გავიხსენო სხვა რამ: როცა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში კორუფცია ყვაოდა, არც ერთ თქვენგანს არ აუმაღლებია ხმა და არ დაუცვია საკუთარი მეცნიერული და ადამიანური ღირსება. ახლა რამ აგაფორიაქათ? სამწუხაროდ, ერთი რამ დამრჩა საფიქრალი: თქვენთვისაც ციხეში რვა ათას ლარად ნაყიდი "პალაჟენია" უფრო გასაგები და მისაღები ყოფილა, ვიდრე კანონით მონიჭებული თავისუფლება. არ მჯერა თქვენი და ალბათ სამართლიანიც არის, რომ თსუ-ს "დარბაზი" **ნესტან კირთაძის** სავარჯიშოდ იქცა — სერიოზულ პოლიტიკურ რინგზე ეგ ვერ ავა, ჰოდა, იხტუნოს იქ, სადაც მისი საკადრისი მსმენელებით სავსეა გარემო.

როგორც ეტყობა, "ბლატნოი" მენტალობა გაცილებით უფრო ღრმადაა გამჯდარი ჩვენს შეგნებაში. ამიტომაც უჭირთ საქართველოში სამართალდამცავებს. უნდა ვითანამშრომლოთ მათთან. მეც — რადგან, როგორც დასაწყისშივე მოგახსენეთ, ცდომილებათა გამოსწორების ხანა დამიდგა — უნდა გამოვხატო ჩემი დახმარება შემდეგი აღიარებით:

ბ-ნ **დავით კეზერაშვილის** საყურადღებოდ — ბრძანება რესტორან "ნიკალაში" სპეცოპერაციის ჩატარების შესახებ გავეცი მე, **ნოდარ ლადარიამ**, გაზეთ "24 საათის" პრესომბუდსმენმა.

ომბუდსმენს შეგიძლიათ დაუკავშირდეთ შაბათობით. ტელ.: 20 24 24 ან ნებისმიერ დროს
ელ-ფოსტით: nladaria@24hours.ge






**რეწვის ფესტივალი "არტ-გენი"
ეთნოგრაფიული მუზეუმი კუს ტბაზე
20-26 ივნისი**

**20 ივნისი**
ქალაქური ფოლკლორი
დას: 20:00 სთ.

ჯგუფი "პაპარაცი"
დას: 22:00 სთ.

**21 ივნისი**
ქალაქური ფოლკლორი
დას: 20:00 სთ.

ბაკურ ბურდული; "აუტსაიდერი"
დას: 22:00 სთ.

**22 ივნისი**
სტუმრები გურიიდან
დას: 20:00 სთ.

"ზუმბა"
დას: 22:00 სთ.

**23 ივნისი**
სტუმრები აჭარიდან
დას: 20:00 სთ.

ნინო ქათამაძე
დას: 22:00 სთ.

**24 ივნისი**
სტუმრები რაჭიდან
დას: 20:00 სთ.

ჯაზის საღამო. თამაზ ყურაშვილი და მეგობრები
დას: 22:00 სთ.

**25 ივნისი**
სტუმრები დუშეთიდან, კახეთიდან, იმერეთიდან
დას: 20:00 სთ.

თეატრი "ნაბადი"
დას: 22:00 სთ.

**26 ივნისი**
სტუმრები იმერეთიდან
დას: 22:00 სთ.

"სუხიშვილები"
დას: 22:00 სთ.

# მღვდელმსახურების პოეტური ენა

ნათია ვადაჭკორია


*კიევ-პეჩორის ლავრა*

ფესტივალ "საჩუქრის" მორიგი ღონისძიება გახლდათ სამეფო უბნის თეატრში წარმოდგენილი კიევ-პეჩორის ლავრის სასულიერო გუნდი, რომელიც უკრაინიდან გვეწვია.

ფესტივალის სამხატვრო ხელმძღვანელმა ქეთი დოლიძემ ეს არაჩვეულებრივი გუნდი ანატოლი ვასილიევთან ერთად, ორი წლის წინათ სასულიერო გუნდების ფესტივალზე აღმოაჩინა და მათი თბილისში მოწვევა განიზრახა. ფესტივალისთვის მსგავსი რამ პირველი შემთხვევაა - აქამდე სასულიერო გუნდი სტუმრად არ ყოფილა. ქეთი დოლიძე აპირებს ფესტივალის რეპერტუარი გაამდიდროს და მომავალ წელს უფრო ფართო მასშტაბით მოიწვიოს გუნდები.

რაც შეეხება კიევ-პეჩორის ლავრის გუნდს, რომელიც ორმოცი წევრისგან შედგება (თბილისს მხოლოდ თერთმეტი მათგანი ეწვია) 1988 წელს ჩამოყალიბდა. შემადგენლობა მუდმივად იცვლება. გუნდი კიევის მართლმადიდებლური აკადემიის ბაზაზეა შექმნილი; სასულიერო სემინარიის 17-18 წლის მსმენელების მთავარი ამოცანაა არა საკონცერტო პროგრამის შესრულება, არამედ ღვთისმსახურება. გუნდი, რომელიც კიევის სასულიერო სემინარიის დაარსებისთანავე შეიქმნა, კიევ-პეჩორის ლავრის უსპენკის ტაძარში ფუნქციონირებს. სამეფო უბნის თეატრში შესრულებული ათიოდე საგალობლიდან - Христос воскрес, Хвалите Господне, Многие лета, - თითოეული მათგანი განწყობას აგიმაღლებთ, სიმშვიდის, სიკეთის განცდას მოგგვრით. კიევ-პეჩორის ლავრის გუნდის რეგენტის, დიაკვან რომანის თქმით, მათი საგალობლები და ღვთისმსახურება საეკლესიო-სლავურ ენაზე იმღერება. "Христос воскрес ბიზანტიური მოტივია და სააღდგომოდ სრულდება. ჩვენთან სერიოზული პრობლემაა საეკლესიო განხეთქილება. პრეტენზიათაგან ერთ-ერთი, რომელსაც ჩვენგან განდგომილი ბერები გვიყენებენ, ის გახლავთ, რომ საეკლესიო-სლავურ ენაზე ვგალობთ. ჩვენი არგუმენტი ის გახლავთ, რომ კირილესა და მეთოდეს, ბულგარეთის, სერბეთის, ბელორუსის, უკრაინის, რუსეთის, ანუ მართლმადიდებელ სლავთა მღვდელმსახურების პოეტური ენა ტრადიციულად ჟღერს მართლმადიდებლურ ეკლესიებში. გარდა ამისა, კიევ-პეჩორის ლავრაში, მეორე - შერეული ტიპის გუნდიც გვყავს, რომელშიც ქალებიც გალობენ. 1992 წლიდან, ანუ მას შემდეგ, რაც განხეთქილება მოხდა ეკლესიაში, საკათედრო ტაძარი ჩვენთვის წართმეული აღმოჩნდა. ამიტომ კიევ-პეჩორის ლავრაში გადავედით. ამჟამად ლავრის საკათედრო ტაძრის ფუნქციას უსპენსკის ტაძარი ასრულებს. შესაბამისად, მიტროპოლიტი და გუნდი ლავრაში განთავსდა. ახლა ორი ტიპის მღვდელმსახურება მიმდინარეობს - სამოქალაქო და სამონასტრო, რომელსაც მხოლოდ ბერები ასრულებენ", - აღნიშნა აკადემიის რეგენტმა.

უდიდესი ტრადიციის მქონე ლავრა 1051 წელს შეიქმნა. სულ ცოტა ხნის წინათ მისი 950 წლის იუბილე აღნიშნეს.

კიევ-პეჩორის ლავრის გუნდი საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქს ილია II-ს საპატრიარქოში ესტუმრა; მგალობლები ეწვივნენ ბოდბეს, სადაც წმინდა ნინოს საფლავი მოილოცეს. სულთმოფენობის დღესასწაულზე კიევ-პეჩორის ლავრის სასულიერო გუნდმა სამების საკათედრო ტაძარში საპატრიარქოსა და სიონის ტაძრის გუნდთან ერთად იგალობა.

# სულ პატარა ავანგარდი

## ვარსკვლავები ბრწყინდებიან

სოფო კილასონია


ლევან ხერხეულიძის ფოტო
*სცენა სპექტაკლიდან*

საოპერო დასსაც დაუდგა ნანატრი დღე. თეატრალური სეზონის ბოლოს, როგორც იქნა, მეორე საპრემიერო სპექტაკლიც დაიდგა და უკვე საკუთარი ძალებით წარმატებული წარმოდგენა გაიმართა. 17, 18, და 19 ივნისი ოპერისა და ბალეტის თეატრში სამი ახალგაზრდა ხელოვანის დებიუტით აღინიშნა. რეჟისორი მაია გაჩეჩილაძე, მხატვარი გიორგი ნადირაძე და დირიჟორი გოგი ჭიჭინაძე ოპერის თეატრის ავანსცენაზე დადგნენ და წარმატებით ჩააბარეს გამოცდა, თუმცა, საქმე არც ასე მარტივადაა. აღსანიშნავი დეტალი და დასმული კითხვა არც ისე ცოტაა. კითხვები, რომლებსაც მაყურებელი წარმოდგენის მსვლელობისას თამამად სვამდა, უფრო სწორად, საკუთარ თავს უსვამდა და პასუხის გასაცემად წარმოდგენას დიდი ყურადღებით უსმენდა. არც არის გასაკვირი. არ ვიცი, რამდენად გაიაზრა მაყურებელთა უმრავლესობამ, თუმცა, ვფიქრობ, სადადგმო ჯგუფმა ჩვენი რეალობისთვის საკმაოდ თამამი ნაბიჯები გადადგა, რომელთა აღნიშვნა აუცილებლად ღირს. ეს უკანასკნელი ყველაზე ნაკლებად ალბათ ორკესტრსა და მუსიკალურ გადაწყვეტას შეეხება. თუმცა, საუბარს სწორედ აქედან დავიწყებთ.

ოპერისა და ბალეტის თეატრის ორკესტრმა "დონ პასკუალეთი" საკუთარი საშემსრულებლო დონის ასამაღლებლად ერთი სერიოზული ნაბიჯი გადადგა. ვინც პირველი სპექტაკლის დასაწყისში სასულე საკრავთა ჟღერადობას კარგად უგდებდა ყურს, პატარა ხარვეზებს ალბათ შენიშნავდა, თუმცა ფაქტია, ეს დეტალი მართლაც დეტალად დარჩა. ტემპობრივი, ემოციური, რიტმული გადაწყვეტით თუ საერთო ჟღერადობის თვალსაზრისით დირიჟორმა ოსტატურად შეძლო მთლიანად სპექტაკლის შეკვრა და მართლაც საზეიმო განწყობის შექმნა.

მიუხედავად იმისა, რომ გოგი ჭიჭინაძე პირველად ჩავიდა ჩვენი ოპერის თეატრის საორკესტრო ორმოში, მას ახალბედა დირიჟორს მაინც ვერ დავარქმევთ. პირიქით, ჭეშმარიტ მსმენელს მის პროფესიონალიზმში არასდროს შეუტანია ეჭვი. ამიტომ საკვირველი არ არის, რომ თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელმა მეორე საპრემიერო სპექტაკლის დირიჟორად და ჩვენი ორკესტრის მრავალწლოვანი პრობლემების დაძლევაში დასახმარებლად სწორედ ის მიიწვია. ბატონ ზაზა აზმაიფარაშვილს არ გავსაუბრებივარ, თუმცა, ორი საპრემიერო სპექტაკლის მოსმენის შემდეგ ისედაც ნათელი გახდა, რომ გოგი ჭიჭინაძემ არა მარტო მას, არამედ დასსა და მსმენელსაც გაუმართლა იმედი. "ის მართლაც ღირსეულია. უყურო მას სადირიჟორო პულტთან, ეს მთელი სიამოვნებაა. სპექტაკლს ეტყობა, რომ მას ძალიან ნიჭიერი ადამიანი მართავს", - ოპერის თეატრის ერთ-ერთი ხშირი სტუმრის ეს სიტყვები, რომელსაც აუცილებლად უნდა დავეთანხმო, დარბაზში მსხდომთა უმრავლესობის აზრის გამომხატველიცაა. გოგი ჭიჭინაძე ის დირიჟორია, რომლისგან წამოსული მუხტითა და ენერგიით არა მარტო ორკესტრი, არამედ მთელი სცენა ივსება.

მაია გაჩეჩილაძემ "დონ პასკუალე" ორი წლის წინ, ჯერ კიდევ კონსერვატორიის საოპერო სტუდიაში განახორციელა. ასე რომ, ნაცნობი სცენები მრავალია. მიუხედავად ამისა, სპექტაკლი მთლიანად ხელახლა აქვს აგებული და ამოძრავებული. სადადგმო ჯგუფიდან ის ერთადერთია, ვისთვისაც დიდი ხანია საოპერო ჟანრი ახლობელია. მას არაერთ დადგმაზე უმუშავია ამ მიმართულებით და ეს "დონ პასკუალეს" კარგად ეტყობა. მშვენივრად შეთვისებული მუსიკა, მსახიობებისთვის მინიჭებული თავისუფლება, უწყვეტი დინამიკა და კიდევ ბევრი რამ ამაზე მიუთითებს. ჩვენს სცენაზე განხორციელებული ეს კომიკური ოპერა მკვეთრად წარმოჩენილ იუმორისტულ სცენებს მიმართავს, რომელთა შორის ზოგი მართლაც დახვეწილად გამოიყურება, თუმცა, არის ისეთი ადგილები, რომლებსაც გადაწარბებისა და რადიკალიზმის იერიც დასდევს. თუმცა, ამ შემთხვევაშიც ფაქტია, რომ რეჟისორი და ხშირად ქორეოგრაფიც ახალ ფორმათა ძიებაში არიან...

ქორეოგრაფი ვახსენეთ.

ირაკლი შენგელიამ საკუთარი ქორეოგრაფიული მონახაზები ფართო საზოგადოებას ჯერ ვერდის "მაკბეტში" წარმოუდგინა, შემდეგ კი "აიდას" დამდგმელ ქორეოგრაფად მოგვევლინა. ირაკლი შენგელია გამოცდილი ბალეტმაისტერი ნამდვილად არ არის. თუმცა, როგორც ჩანს, ოპერის დასის ხელმძღვანელობისთვის იგი მართლაც რჩეულია. ორი ახალი სპექტაკლის სცენური ამოძრავება ხომ მართლაც დიდი პასუხისმგებლობაა. ამას ალბათ ყველა გრძნობს. მისი ნამუშევარი მთლიანად იმპროვიზაციაზეა აგებული. ზუსტად არ ვიცი, ვისი ჩანაფიქრია მოცეკვავეთა გამოსვლა გორგოლაჭებსა და პატარა ველოსიპედებზე, მაგრამ, ერთი შეხედვით, ეს ფაქტორი საქმის გაიოლებას ჰგავს, თუმცა, შესაძლოა, მსგავსი ატრიბუტები სპექტაკლში გარკვეული ავანგარდული დეტალების შეტანას ისახავდეს მიზნად. თუ ასეა, ამ სურვილში დიდ დანაშაულს ვერ ვხედავ, უბრალოდ, სასურველი იქნებოდა, ეს ხერხი ლამაზად "შეფუთულიყო" და ამ პატარა თამაშს დაბრკოლება კი არა, სიხალისე შეეტანა სცენაზე. ქორეოგრაფიული გადაწყვეტის თვალსაზრისით არის საინტერესო ადგილებიც, თუნდაც ის, სადაც სოპრანოს არიას პირველ მოქმედებაში, მოცეკვავე მამაკაცის სახით, მოძრაობა დასდევს.

ყველაზე საინტერესო მე მაინც ბოლოსთვის შემოვინახე. ანუ სცენოგრაფია, რომელმაც, დარწმუნებული ვარ, მრავალი გააკვირვა. გიორგი ნადირაძისთვის დონიცეტის "დონ პასკუალე" პირველი საოპერო და ერთ-ერთი ყველაზე თამამი ნამუშევარია. შესაძლოა, თავად ავტორი ამაში არ დაგვეთანხმოს, მაგრამ შექმნა სივრცე, რომლის მსგავსშიც თბილისში ოპერა არ შესრულებულა - უკვე სიახლეა. ერთ მხარეს ძალიან ჩვეულებრივი, ნეოკლასიკური სახეებით მოხატული შირმა, მეორე მხარეს კი შიშველ კონსტრუქციებზე აგებული, პატარა კიბეებით გადაბმული სასცენო ფენები. დაახლოებით ასე გამოიყურება დონ პასკუალეს სახლი, სადაც მიმდინარეობს ძირითადი მოქმედება და სადაც შავითა და თეთრით აბსტრაჰირებული დაკიდული სიბრტყეები და უკანა ფონი, საერთო თბილ ფერადოვნებას ანეიტრალებს და ყველაფერს არა სახლის ინტერიერსა და სიმყუდროვეში, არამედ უცნაურ და განყენებულ გარემოში აქცევს. სწორედ ისეთ სივრცეში, სადაც ფერადოვნებითა და კომპოზიციებით მდიდარი ოთხი კოსტიუმი (კოსტიუმები წამყვანი პარტიებისთვის) განსაკუთრებულად ენთება. რაც შეეხება გუნდის ბევრად უფრო სადა ჩაცმულობას, ისინი მთლიანად დეკორაციის კოლორიტში ეწერებიან. მხატვრული ჩანაფიქრის თვალსაზრისით არის რამდენიმე ისეთი ხერხი, რომელთა ჩამოთვლაც შორს წაგვიყვანს. თუმცა, ერთი მაინც განსაკუთრებულად დასამახსოვრებელია, სწორედ ის, როდესაც ამაღლებულ სცენაზე ნარინჯისფერთმიანი თოჯინა თითქმის სიბნელეში რჩება, თუმცა, ასევე ჟღალი ფერის სინათლე მას მარტოს არ ტოვებს. შემდეგ კი მას მორიგეობით შემსრულებლებიც უახლოვდებიან.

ის, ვისთვისაც საოპერო სპექტაკლი მდიდრულ დეკორაციებთან ასოცირდება, რომლის ერთადერთი მიზანი ხშირად "თვალის მოჭრაა" და სხვა არაფერი, ამ დღეებში თეატრიდან ისეთივე უკმაყოფილო წავიდოდა, როგორც ეს "აიდას" შემდეგ ხდებოდა ხოლმე, თუმცა, ვინც სასცენო მხატვრობას ბევრად უფრო სერიოზულად უყურებს, მისთვის "დონ პასკუალე" ერთ-ერთი გამორჩეული ნამუშევარი გახდება.

დონიცეტის "დონ პასკუალე" კიდევ მრავალი მიზეზის გამო გახლავთ გამორჩეული. უკვე სამი დღეა, რაც თბილისის ოპერის სცენიდან უკვე გამოცდილი და ჯერ კიდევ დამწყები ვოკალისტები ერთმანეთს ეჯიბრებიან და ერთგული მაყურებელი მართლაც აღფრთოვანებაში მოყავთ. ნორინას პარტია ჯერ ნინო მაჩაიძემ, შემდეგ კი ნინო ჩაჩუამ შეასრულეს. ორივე სოპრანომ ამოცანას კარგად გაართვა თავი და მაყურებელს დიდი იმედი მისცა. გოჩა დათუსანისა და ნიკა ლაგვილავას მკვეთრი ტანდემის შემდეგ დონ პასკუალეს სახე მეტად ოსტატურად და დიდი კულტურით შექმნა ზაზა ხელაიამ, მალატესტას პარტია კი ბესიკ გაბიტაშვილმა შეასრულა. ლირიკული და რომანტიკული ერნესტო გიტარების თანხლებით გია მახარაძემ მშვენივრად აამღერა. ყველაზე საინტერესო ისაა, რომ ყოველი მათგანი განსხვავებულ განწყობასა და ხასიათს გადმოგვცემს. "როგორ მღერიან, როგორ თამაშობენ!" - ეს სიტყვები ყველაზე ხშირად პირველ სპექტაკლზე ისმოდა, როცა ლაგვილავამ თავისი არტისტიზმით მაყურებელი მართლაც გააოგნა. ვერაფერს ვიტყვით, ჩვენს თეატრში ვარსკვლავები ბრწყინდებიან. 22 ივნისს ბოლო საპრემიერო სპექტაკლი სულ სხვა შემადგენლობით შესრულდება. წამყვან პარტიებში ჩვენი დასის უკვე სტაჟიანი სოლისტები, ორი გამორჩეული ბარიტონი: სულხან გველესიანი (მალატესტა) და ვანო გალუაშვილი (დონ პასკუალე) წარდგებიან. ამ ორ საინტერესო შემსრულებელს და მათ შემოქმედებით ურთიერთობას ჩვენ კიდევ დავუბრუნდებით.

# ზურაბ სოტკილავა იუბილეს საქართველოში აღნიშნავს



მოსკოვის დიდი თეატრის სოლისტი, ქართველი ტენორი ზურაბ სოტკილავა მომავალ წელს 70 წლის იუბილეს აღნიშვნას სამშობლოში გეგმავს. ამის შესახებ სოტკილავამ სამეგრელოში გამართული მეგრული სიმღერის ფესტივალზე განაცხადა. ქართველი ტენორი მშობლიურ კუთხეში გამართულ ღონისძიებაში მონაწილეობს და ძირითადად, ქართულ ფოლკლორულ სიმღერებს ასრულებს. ტენორმა თანამედროვე ქართული მუსიკა უარყოფითად შესაფასა და აღნიშნა, რომ ეროვნული სიმღერებისთვის თანამედროვე ფორმის შერჩევას მეტი პროფესიონალიზმი სჭირდება. "ჩვენნაირი ხალხური ფოლკლორი მსოფლიოში არც ერთ ხალხს არ აქვს და მას განსაკუთრებული მიდგომა სჭირდება", - თქვა სოტკილავამ.

ზურაბ სოტკილავა რამდენიმე დღის წინათ მოსკოვში საუკეთესო შემსრულებლისა და მეცენატების სპეციალური ორდენებით დააჯილდოვეს. ***პრაიმ-ნიუსი***

# სამი მარტივი საღამო

### ქართულ-ამერიკული კულტურული საღამოები დღეს მთავრდება

ია ვეკუა

მას შემდეგ, რაც თავადაც პრეზიდენტმა, თუმცა, ზეპირსიტყვიერებაში, მაგრამ მაინც უმცროს ბუშად წოდებულმა საპატიო სტუმარმა ქართული ფოლკლორის ურთულეს რიტმებზე მოიწადინა როკვა, ბევრი ოცნებებში წავიდა და წარმოიდგინა, რომ ჩვენსა და ამერიკას შორის არსებული გეოგრაფიული ზღვარი მხოლოდ წარმოსახვითია, კულტურული თვალსაზრისით კი თითქმის მონათესავე ერები ვართ. ეს, ცხადია, ასე არ არის, მეტიც, იმდენად განვსხვავდებით, რომ ერთმანეთის შესაცნობად სერიოზული ღონისძიებები გვჭირდება.

ნებისმიერი ერის გასაცნობად უმოკლესი, მარტივი და ყველაზე სასიამოვნო გზა კულტურაა. მისი ცალკეული სფეროებია პოეზია, კინო და მუსიკა. ქართულ-ამერიკული კულტურული დღეების ორგანიზატორებმა ამერიკულ კულტურასთან დასაახლოებლად სწორედ ეს სფეროები აირჩიეს. ორგანიზატორები კი ამ სამეულისგან სრულიად განყენებული სფეროს, მხატვრობის წარმომადგენლები არიან - მაკა ბატიაშვილი და ბაია სიხარულიძე.

მათი თქმით, პროგრამაში შეტანილი სამი საღამო საქართველოში მცხოვრებ ამერიკელებსა და, შესაბამისად, ამერიკაში მცხოვრებ ქართველებსაც ეძღვნება. თავად ღონისძიება კი ოთხ პრიორიტეტს აერთიანებს: **1. ურთიერთთანამშრომლობა კულტურისა და ხელოვნების სფეროში** - ჩვენი საზოგადოების გარკვეული ნაწილი ამერიკის ფაქტორს დიდ საშიშროებად მიიჩნევს და ამ მოვლენას კოხტა სახელი "ამერიკანიზაციაც" შეურჩია. თუმცა, თავადაც კარგად მოეხსენებათ, რომ კულტურულ თანამშრომლობაში ცუდი არაფერია, ამიტომ საღამოების ორგანიზატორებისთვის ჯერ კვერცხები არავის უსვრია. **2. ორი ქვეყნის ხელოვნების წარმომადგენელთა გაცნობა-დაახლოება, 3. გაცვლითი ჯგუფების მომავალი თანამშრომლობისთვის ადგილობრივი სექტორის გააქტიურება** - დროული და კეთილშობილური წამოწყებაა, რადგან ბევრი ქართველი ხელოვანი გამუდმებით იმაზე წუწუნებს, რომ ეს ქვეყანა (იგულისხმება საქართველო) მეტისმეტად პატარაა მათი ნიჭის სრულად გამოვლინებისთვის. გაცვლითი პროგრამები ბაზარზე გაიყვანს, ხოლო ამერიკელი კოლეგების გაცნობა და მათთან შემდგომი დაახლოება საკუთარი ნაკლისა თუ უპირატესობის უკეთესად განსაზღვრაშიც დაეხმარებათ.

მეოთხე პრიორიტეტი **ხელოვნების მოღვაწეთა პოპულარიზაცია** ამერიკელებზე მეტად ჩვენებს გაახარებთ. ამერიკული კულტურის წარმომადგენლებს მეტ-ნაკლებად ვიცნობთ, ვკითხულობთ, ვუსმენთ და ვუყურებთ. ამერიკელებისთვის კი ჩვენი კულტურა დღემდე მხოლოდ ფოლკლორის ხარჯზეა საინტერესო.



კადრი ფილმიდან "ხუთი მარტივი პიესა"

ეს ვაკუუმი ქართულ-ამერიკული კულტურის საღამოების პირველ დღეს (უფრო კი საღამოს) ნაწილობრივ შეივსო. 18 ივნისს "ლიტერატურული კაფეს" მოკრძალებულმა სივრცემ ამ ორი ქვეყნის თანამედროვე პოეზიის რჩეული ნაწილი და მისი წარმდგენები შეიფარა. საღამოს "ჰიტად" პრეზიდენტ სააკაშვილის მრჩევლის ეკონომიკის დარგში ლენს ფლეტჩერის დეკლამატორული გამოსვლა იქცა. მან თითქმის ერთი საათის განმავლობაში დაიპყრო იმპროვიზებული სცენა და საღამოს სტუმრების სმენა თანამედროვე ამერიკული პოეზიის საუკეთესო ნიმუშებით შეავსო.

საღამოზე ქართულ პოეტურ დესანტს დავით (დეფი) გოგიბედაშვილი, რატი ამაღლობელი, გაგა ნახუცრიშვილი, შოთა იათაშვილი და ზურაბ რთველიაშვილი წარმოადგენდნენ. მათ ფლეტჩერს საკუთარი ლექსები შეაგებეს, შემდეგ კი მშვიდად ისაუბრეს ამერიკულ პოეზიაზე.

გუშინდელი დღე კინოსა და თეატრს დაეთმო. კინოთეატრ "ამირანის" მცირე დარბაზ "ამარკორდში" ბობ რაფელსონის საკულტო, ჰოლივუდის მორიგი ოქროს ხანის ერთ-ერთ საუკეთესო ფილმად მიჩნეული 1970 წელს გადაღებული "ხუთი მარტივი პიესა" აჩვენეს. ფილმში ჯეკ ნიკოლსონმა თავისი საუკეთესო როლთაგანი შეასრულა, რისთვისაც "ოსკარის" ნომინაცია დაიმსახურა (ნომინირებულები იყვნენ ქალის მეორეხარისხოვანი როლის შემსრულებელი კარენ ბლეკი, სცენარი და თავად ფილმი). მსახიობი განასახიერებს ერთ დროს პერსპექტიულ პიანისტს რობერტ დუპეას, რომელმაც მრავალი მიზეზის გამო მუსიკოსის კარიერა მიატოვა და ნავთობის მომპოვებლად დაიწყო მუშაობა. ფილმი ამერიკის მუშათა კლასის ცხოვრების, შესაბამისად, ჩვენთვის ასე ნაცნობი ფენის, ერთ-ერთი საუკეთესო კინოილუსტრაციაა, ამიტომ ფილმი ქართულ-ამერიკული კულტურის დღეების პროგრამაში ჩაჯდა (მიუხედავად იმისა, რომ ფილმი სპეციალურად ამერიკელებისთვის ორიგინალის ენაზე გაუშვეს, მაყურებლის როლში მხოლოდ ადგილობრივი აბორიგენები ვიყავით).

იმავე დღეს ორგანიზატორებმა ბავშვობა გაგვახსენეს და "კოჯრის ტყის სიზმრების" ვიდეოჩანაწერი შემოგვთავაზეს. ვისაც მეხსიერების მხრივ ყველაფერი რიგზე აქვს, კარგად ემახსოვრება, რომ ამ მარიონეტულ სპექტაკლში ლუი არმსტრონგისა და ელა ფიცჯერალდის დუეტი სტუმრობს. ისინი ამერიკელები იყვნენ და, შესაბამისად, ამ კულტურული საღამოების "მოსაწვევიც" შეხვდათ.

ქართულ-ამერიკული კულტურული ურთიერთობების ოფიციალური ნაწილი დღეს მთავრდება, ხოლო შემდგომში ამ ურთიერთობათა გაგრძელება ნებისმიერს საკუთარი სურვილისამებრ შეუძლია. ფინალი გაიმართება კლუბ "ნოა-ნოაში", რომელსაც პროფილის შესაბამისად მუსიკალური ნაწილის მასპინძლობა ერგო. ამჯერად თანამედროვე რიტმების ნაცვლად, კლუბის სივრცე ფოლკლორული მუსიკით გაჯერდება. აქ მცხოვრებ ამერიკელთა ანსამბლი "ოქროს სტუმრები" ქართულ ხალხურ სიმღერებს შეასრულებს. საღამოს კი ჯგუფი "ენერგორესურსი" დახურავს.

# ტრადიციული სინდრომი



ნოდარ მალაზონია

ალბათ სიდუხჭირეს გაცილებით იოლად ვძლევთ, ვიდრე უნიჭობას!

როგორ ვუმასპინძლეთ ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტს?!. მოეწონა თუ არა, პრეზიდენტ ბუშს და პირველ ლედის აბანოთუბანში გამართული კონცერტი?

ძალიან!

რამდენად მიესადაგებოდა პარლამენტის ეზოში გამართული ოფიციალური მიღება, დასავლეთში აპრობირებულ ანალოგიურ პროტოკოლებს?!

მისაღებად!

თავისუფლების მოედანზე გამართული საზეიმო ცერემონიალი?

გრანდიოზულად!

მაშ, სახელმწიფო და ხალხიც ჩვენ ვყოფილვართ და თავზე ქუდიც გვხურებია, რადგან პრეზიდენტი ბუში არც რუსეთის ხელმწიფეა, არც ხრუშჩოვი, არც ბრეჟნევი და არც ჩერნენკო, რადგან ჟამ-ჟამად ნანახ თუ წაკითხულ ამბებს გავიხსენებთ, ქართველებს სხვა თუ არა, სტუმარ-მასპინძლობა ნამდვილად გამორჩევით ხელგვეწიფება, მაგრამ როგორ?!

რაც მე მინახავს და მახსოვს (მხოლოდ ტელეეკრანზე) მათ შორის, ყველაზე ამაზრზენი, ჩერნენკოსთან გამართული ტაშფანდური და ხონჩით მირთმეული ნაზუქნუგბარები გახლდათ.

გულისამრევი, დამთრგუნველი და შეურაცხმყოფელი.

საცოდავი ჩერნენკო, დაბენტერებული ბერიკაცი, რომელმაც ვერაფრით გაიგო თუ ასე რატომ ან რისთვის ძვრებოდა ტყავიდან (უთავმოყვარო) მასპინძელი.

ძალიან ძნელია უდღეურ გარდასულ ჟამთა მოვლენებთან ჩვენი სადღეისოდ სახვალიო საფიქრალ-საკეთებლის გაიგივება. მაგრამ ერთობ საჭირო.

ჩემთვის ბუში, არა მხოლოდ ამერიკის პრეზიდენტია, არამედ: ჯორჯ ვაშინგტონია, აბრამ ლინკოლნია, ფრანკლინ რუზველტია, ჯონ კენედია და რონალდ რეიგანია და არც საქართველოა ის საქართველო, პირი რომ წყლით ჰქონდა სავსე.

ბუში იმქვეყნიელია, რომლის ხალხი, მათი სახლ-კარ-ეზო-კარმიდამო, სარჩო-საბადებელი, თავისუფლება და მათ დასაცავად მახვილ-აბჯარ-ჩაჩქანიანი, მჯობნის მჯობნი როა მთელს დუნიაზე.

ჩვენი სამშობლო კი, სხვა თუ არაფრით, სტუმარ-სამასპინძლო ტრადიციული კულტურითაა სახელგანთქმული და იმ ღვთის მადლით, ასე უშურველად რომ დაგვანათლა უფალმა, რომელსაც ქართული მრავალხმიანობა და ცეკვა ჰქვია. ჰოდა ნუთუ ჩვენ იმისი სამყოფი ნიჭიერებაც აღარ უნდა აღმოგვაჩნდეს, რომ ვის ვის და მჯობნის მჯობნი სახელმწიფოს პრეზიდენტს, რომელსაც ასე მამაშვილურად გვპატრონობს, ეროვნული საგანძურიდან ამოვკრიფოდ და ერთ კონად შევკრათ, ერთი მშვენიერი საკონცერტო თაიგული?!

აკი ბუშს კონცერტი ძალიან მოეწონაო?!

დიახ, მოეწონა და მოიხიბლა კიდეც და იცით რით?! იმით, რაც მას არსად და არასდროს უნახავს, ეს კი უკვე სრულიად სხვა რამ გახლავთ და ჩვენ ნაკლებად გამოგვადგება თავმოსაწონად.

მაშინ რაც ვიხილეთ ნეტავ ის რაღა იყოო იკითხავთ.

ალა-ფურშეტი აზიური საკაზმით!

საგულდაგულოდ მორთული და შეფუთული აღმოსავლურ ვირტუალურ სივრცეში. ყურის წამღები, დაუსრულებელი და ერთფეროვანი დიმპიტაური-დამპიტაური.

გენიალური სუხიშვილების, მოსაწყენი კოსტუმები (ნეტავ სად გაქრა ვირსალაძე?)

უდღეურად შერჩეული ფოლკლორი: "ესტრადის ვარსკვლავის სევდიანი სლენგი (?!) და კინტო (?!), რომელიც ამ უგემურ კოქტეილშიც ვერ შეაზავეს.

აქ ერთი ქართული ანდაზა მოუხდება.

"თურაშაულის პატრონი ტყეში პანტას ეძებდაო".

ძალიან გავრეკე არა? რა ვქნა, ბუში ვიცი ვინც არის, მაგრამ კონცერტი მეც ხომ უნდა მომეწონოს?! კიდევ კარგა ხანს ვითმინე, ვითმინე და ბოლოს ამოვთქვი რადგან შევშინდი, - ვაი თუ თბილისი ხვალ-ზეგ ვიღაც-ვიღაცებს ისევ თეირანში (თუ ისპაჰანში) არ აერიოს-მეთქი.

ვინ ან საიდან ამოაყურყუმალავა "მიცვალებული" ჭრელი აბანო (აჯობებდა ჭრელა-ჭრული)?

აკი, ევროპელები ვართო?!

ან ეს ნოხფარდაგები, კიდევ რა სიურპრიზი იყო?!

თქვენი არ ვიცი და მე სულ მეგონა ჰა და ჰა, საცაა საიდანღაც მოლაც გამოჰყოფდა თავს.

ერთი შეხედვით, თითქოს შერჩეულ გარემოში არაფერი უნდა ყოფილიყო საგანგაშო. იარუსებიანი ლანდშაფტი, ზემოთ ნარიყალა და მტკვარგაღმა მეტეხი ერთობ მაცდუნებელი (იქვე რესტორანიც) რამ გახლდათ, მაგრამ ფოკუსირება აბანოსა და მით უფრო მის "ზენუარის ლოჟაში" განთავსებული ანსამბლი "რუსთავი"?!

ღმერთო ჩემო!..

თუმცა რატომ? იქნებ ეს პოლიტიკური კონიუქტურის მაძიებელთა მიგნებაა (მრავალეროვანი თუ სხვადასხვა რელიგიად ტოლერანტობისა და ასე შემდეგ)?!.

ეტყობა ენამ მიყივლა როცა ამ ორიოდე თვის წინათ, სწორედ "24" საათის ფურცლებზე ამ სულისკვეთებით რომ გამოვხატე ჩემი სათქმელი.

"დღევანდელი საქართველო და საბჭოთა სტერეოტიპები", რომელთა ადრესატები: პარლამენტის თავმჯდომარე, საგარეო საქმეთა მინისტრი და უმრავლესობის ლიდერი გახლდათ. იქ არაპირდაპირი მინიშნებით ჩემს შენიშვნებს გამოვთქვამდი პრეზიდენტ ბუშის მოსალოდნელ ვიზიტთან დაკავშირებით, მაგრამ როგორც აღმოჩნდა, "მშვენიერ ქალბატონებს" (წერილშიც ასე მოვიხსენიე) მსგავსი ოპუსების წასაკითხად, ან დრო არ ჰყოფნით, ან კიდევ თავ-თავიანთი პასუხისმგებლობის არეალად არ მიაჩნიათ (მგონია წერილი მხოლოდ ბატონმა ნოდარ ლადარიამ წაიკითხა და "ნდობის სერთიფიკატიც" მიბოძა).

ასე და ამგვარად, "ეს არის ჩემი გულმართალი და ყოვლად წრფელი სიტყვა, უმზაკვროდ კეთილგანწყობით წარმოთქმული", რომ ჩვენ ქართველებმა ვერ მოვახერხეთ და ვერ წარმოვაჩინეთ ის, რაც ყველაზე მეტად გვიხდება და გვამაღლებს!

როგორც ჩანს, ტრადიციული სინდრომი ჯერ ისევ ჰყვავის!..

**p.s.** უნაკლო, მომხიბლავი და სწორუპოვარი კი მათავრი მასპინძლები გახლდნენ: საქართველოს პრეზიდენტი და ჩვენი მშვენიერი პირველი ლედი სანდრა რულოვსი.

# ესპანური ცეკვის ნურეევი

ნათია ვადაჭკორია

პილარ ლოპესის მიერ გადესად მონათლულმა ანტონიო ესტევ როდენასმა თავისი ცეკვით წარუშლელი შთაბეჭდილება დატოვა არა მარტო მსოფლიო სცენებზე, არამედ კინოეკრანითაც დაუვიწყარი დარჩა. როგორც შეუძლებელია დაივიწყო "სისხლიანი ქორწილი", "კარმენი" თუ "მაცდური სიყვარული", ასევე დაუვიწყარია ანტონიო გადესი.

ცეკვის სამყაროსთვის სამუდამოდ გადესად ცნობილი ანტონიო ესტევ როდენასი ხმელთაშუა ზღვის სანაპიროზე, ალიკანტეს პროვინციის სოფელ ელდაში 1936 წლის 16 იანვარს დაიბადა. იმავე წელს ესპანეთში სამოქალაქო ომი დაიწყო და ანტონიოს კომუნისტი მამა რესპუბლიკელების რიგებს შეუერთდა. ცხოვრების უკეთესი პირობების შესაქმნელად როდენასების ღარიბი ოჯახი მადრიდში გადავიდა საცხოვრებლად. სწორედ სიღარიბის გამო გახდა იძულებული ანტონიო, სკოლა მიეტოვებინა. შემდგომ, მთელი ცხოვრების მანძილზე, ვერც დიდებამ და ვერც სიმდიდრემ ვერ წაშალა ის სევდა და ტკივილი, რაც ბავშვმა სკოლიდან წასვლით განიცადა. 1995 წელს, ფრანგული ჟურნალი Danser-ისთვის მიცემული ინტერვიუს დროს ანტონიომ ჩანთიდან ამოიღო პატარა, გაყვითლებული ფოტო, რომელზეც 11 წლის ბიჭი იყო აღბეჭდილი. მეორე მხარეს კი ესპანელი პოეტის წარწერა იყო: "შენ ჰგავხარ მდინარეს, რომელიც ზღვას უერთდება"... ეს ფოტო ანტონიო გადესს მთელი ცხოვრება თან დაჰქონდა, რათა არ დაევიწყებინა, საიდან მოდიოდა...

ფულის საშოვნელად ხან საფუნთუშეში, ხან ხილის ყუთების მტვირთავად, ხანაც ფოტოგრაფის ასისტენტად მუშაობდა. სიღარიბისგან თავის დასაღწევად, სხვების მსგავსად, მასაც თავისუფლად შეეძლო ტორეადორი გამხდარიყო, თუმცა, ვერასოდეს იფიქრებდა, რომ ერთ მშვენიერ დღეს ცეკვას დაიწყებდა. მეზობელი ქალის რჩევით, დღის მანძილზე გამომუშავებული ოთხი სუს წყალობით, ცეკვის გაკვეთილებზე დაიწყო სიარული. თექვსმეტი წლისა უკვე მამბოს და ჩა-ჩა-ჩას ცეკვავდა. ამგვარი ღარიბული ცხოვრება კიდევ დიდხანს გაგრძელდებოდა, მავანს პილარ ლოპესთან (ესპანური ბალეტის Pilar Lopez-ის დირექტორი) მისთვის რეკომენდაცია რომ არ გაეწია. ერთი წლის შემდეგ ანტონიო დასის წამყვანი მოცეკვავე ხდება და მონდომებით სწავლობს ყველაზე პოპულარულ ესპანურ ცეკვებს - ნავარულ ხოტას, კატალონიურ სარდანას, ბასკურ ტრადიციულ ცეკვას და, რაც მთავარია, ფლამენკოს.



ანტონიო გადესი

ფლამენკოს ეთიკა იმაში მდგომარეობს, რომ იგი თეატრალურ სცენაზე ესპანელი ხალხის კულტურის წარმოჩენა და ადამიანური გრძნობების გამოვლინებაა. სწორედ ამას ასწავლიდა ქორეოგრაფი და მოცეკვავე ვისენტე ესკუდერო ანტონიო გადესს. ესკუდერო პირველი მოცეკვავე გახლდათ, რომელმაც ბოშური ფლამენკოსთვის დამახასიათებელი ყველა ფორმა უარყო და ცეკვის დროს ჟესტების შემცირებით და მაღლა აწეული მკლავებით, დახვეწილი მოძრაობით, ფლამენკო შტრიხებიან ნახატს დაამსგავსა.

### მოცეკვავე ცეცხლოვანი ტერფებით

1961 წელს ანტონიო გადესმა დატოვა პილარ ლოპესის კომპანია და რომში გაემგზავრა. იქ ამ დროს ქორეოგრაფი ანტონ დოლინი დგამდა რაველის "ბოლეროს", რომლის რეპეტიციებსაც ანტონიო ესწრებოდა. "სპოლეტეს" ფესტივალის დირექტორის - ჯან-კარლო მენოტის მიწვევით და კარლა ფრანჩისთან და მილორად მიშკოვიჩთან თანამშრომლობით, გადესმა ორი ბალეტი დადგა - "ჰავანა მკვდარი ინფანტასთვის" და "დონ კრისტობალის საკურთხეველი". იტალიური გამოცდილების შემდეგ, იგი პარიზში გაემგზავრა ნორა და ნინა ტიხაროვებთან გაკვეთილების მისაღებად.

უდიდესი გამოცდილების მიღების შემდეგ, გადესი მადრიდში დაბრუნდა და დააარსა ცეკვის საკუთარი კომპანია, რომელიც სამი მოცეკვავის, ერთი გიტარისტისა და მომღერლისგან შედგებოდა. კომპანია პირველად ბარსელონაში წარდგა მაყურებლის წინაშე სპექტაკლით - Los Tarantos. წარმატება აშკარა იყო. ამავე სახელწოდების ფილმი 1963 წელს ეკრანებზე გამოვიდა. ამის შემდეგ ანტონიო ხვდება, რომ მისი მოწოდება არა მხოლოდ ცეკვა, არამედ ქორეოგრაფიაცაა და "ფლამენკოს" გადაკეთებას იწყებს; ცეკვას ფოლკლორულ მხარეს ჩამოაშორებს და კლასიკური ბალეტის ელემენტებს უმატებს. არც მეტი, არც ნაკლები, გადესი ამგვარად ცეკვის ნოვატორი ხდება.

მისი მეგობარი და პრესატაშე ნიკოლ გონზალესი წერდა: "როდესაც იგი სცენაზე თავისი Zapateado-ს (ფეხების ბაკუნი ფეხსაცმლის ქუსლით და წვერით) შესასრულებლად გამოდიოდა, მაყურებელი მის ძალას და ქარიზმას გრძნობდა. ასეთი ცეცხლოვანი ტერფები მხოლოდ ნურეევისთვის იყო დამახასიათებელი. ჩემთვის ის ესპანური ცეკვის ნურეევი იყო, რომელიც ოცი წლის მანძილზე სცენაზე არასდროს მინახავს ულიმღამო"...

### თავისუფალი და მოურჩულებელი

ფრანკოს სიკვდილიდან სამი წლის შემდეგ, 1978 წელს, ანტონიომ დააარსა ესპანეთის ნაციონალური ბალეტი, რომელიც ორი წლის შემდეგ დაიშალა და 1995 წლისთვის უკვე კერძო კომპანიად ჩამოყალიბდა. "დღეისთვის ცეკვის ერთადერთი კერძო კომპანია ვართ, რომელიც არანაირ სუბსიდიებს არ იღებს", - აცხადებდა იგი ამაყად.

ამ ემოციურ, ჯიუტ კაცს არაერთხელ გადაუსერავს ატლანტის ოკეანე იბიცადან ჰავანამდე თავისი თექვსმეტმეტრიანი აფრიანი გემით. განსაკუთრებით განთიადი უყვარდა - წამი, როდესაც მთვარე და მზე ჰორიზონტზე ერთდროულად ჩნდება.

არავის უკვირდა ანტონიო გადესის ქმედებები ან მისი უეცარი გაქცევები. 1989 წლის ივლისში, საფრანგეთის რევოლუციის 200 წლის იუბილეზე, მისი ცეკვის კომპანია Grand Palais-ში გამოდიოდა, - გადესი არ გამოცხადდა. მისი პროდიუსერი ანდრე ტომაზო აცხადებდა: "იგი სეულიდან ჩამოვიდა ახალ ქალზე შეყვარებული, თავს კარგად გრძნობდა და მაშინვე კუბაში გაემგზავრა"... ამ ინციდენტიდან ოთხი წლის მანძილზე ანტონიო გადესი სცენაზე აღარ გამოჩენილა. მას ვერავინ დაუშლიდა იმის კეთებას, რაც სურდა. "ყველაფერი, რაც ვიცი, ცხოვრებამ მასწავლა", - აცხადებდა ანტონიო გადესი.

ფრანგი მაყურებელი მისი ერთგული გახლდათ. ანტონიოს მოსწონდა კოსტიუმების მკაცრი სტილი, განათება, რომელიც ფორმებს ფერად ფონს უქმნიდა და მუსიკა, რომელიც ზუსტ ტონალობას იცავდა. მისი Zapateado მიწას ეფერებოდა, მისი braceo სევდაზე და სიყვარულზე საუბრობდა.

კინორეჟისორ კარლოს საურასთან შეხვედრამ გადესს საერთაშორისო დიდება და აღიარება მოუტანა. ფილმები - "სისხლიანი ქორწილი" (1981) ფედერიკო გარსია ლორკას მიხედვით, "მაცდური სიყვარული" (1983) მანუელ დე ფალას მიხედვით და ბოლოს "კარმენი" (1988) პროსპერ მერიმეს მიხედვით მსოფლიოს თითქმის ყვლა ქვეყნის კინოეკრანებზე აჩვენეს.

"კარმენში" ანტონიო გადესი ცნობილი მოცეკვავის - კრისტინა ჰოიოსის პარტნიორი იყო. კულისებში იმასაც ჩურჩულებდნენ, სრულყოფილი წყვილიაო. ანდრე ტომაზო წერდა: "საფრანგეთში სამი მილიონი "კარმენი" აქვთ ნანახი, მაგრამ ეს აბსოლუტური შედევრია".

"მაცდური სიყვარულის" გადაღებისას კრისტინა ჰოიოსი განხეთქილების მიზეზად იქცა ანტონიო გადესსა და კარლოს საურას შორის. ფრანგულ ჟურნალ Danser-ს 2002 წლის დეკემბრის ნომერში კინორეჟისორი აღნიშნავდა: "მიუხედავად იმისა, რომ მშვენივრად ვიცოდი მოცეკვავე კრისტინა ჰოიოსის უდიდესი შესაძლებლობები, მწამდა, რომ ლაურა დელ სოლი ეკრანზე უკეთ გამოჩნდებოდა, რადგან კარმენის პერსონაჟი უფრო ახალგაზრდა და მეტი შარმის მქონე უნდა ყოფილიყო, მაგრამ გადესმა კრისტინა ჰოიოსი თავს მომახვია".

### კაცი, რომელსაც ქალები უყვარდა...

გადესს ქალები უყვარდა. მას უამრავი შეყვარებული ჰყავდა. არავინ იცის, გარდაცვალებამდე სამი თვით ადრე რატომ დაქორწინდა ქალზე, რომელიც უცხოელ სტუმრებს ემსახურებოდა. მან ხუთჯერ იქორწინა, ერთ-ერთი მეუღლე მომღერალი პეპა ფლორესი გახლდათ, მეტსახელად - მარიზოლი. მასთან ანტონიოს სამი ქალიშვილი შეეძინა. მისი ცოლი გახლდათ ასევე მოცეკვავე - პილარ სან კლემენტე, რომელმაც ორი შვილი აჩუქა.

### პროფესიონალის შეხედულება

ანტონიო გადესი 67 წლის ასაკში, 2004 წლის 20 ივლისს მადრიდის გრეგორიო-მარანიონის საავადმყოფოში გარდაიცვალა.

კუბის კომუნისტური პარტიის წევრის ნეშტი, მისი სურვილის თანახმად, კუბაში, სანტიაგოს აღმოსავლეთ პროვინციაში დაკრძალეს, სადაც 1957-58 წლებში ფიდელ კასტროს მიერ ბატისტას დიქტატურის დაცემისთვის წარმოებული, პარტიზანული ბრძოლის მეორე ფრონტზე დაღუპულთა მავზოლეუმია.

ფიდელ კასტრო ანტონიო გადესმა 1975 წელს გაიცნო. მას შემდეგ მათი მეგობრობა არ შეწყვეტილა.

კუბის სახელმწიფოს ლიდერმა იგი უმაღლესი ჯილდოთი - ხოსე-მარტის ორდენით დააჯილდოვა.

რაც შეეხება ბალეტის პროფესიონალებს, ისინი საკუთარ თვალსაზრისს გამოთქვამდნენ. გაზეთ Diario der Sevilla-ს ბალეტის კრიტიკოსი როზალია გომესი წერდა: "სიცარიელე, რომელიც გენიალურმა არტისტმა ქორეოგრაფიის დარგში დატოვა, ძნელია რითიმე შეავსო".

მოცეკვავე და ქორეოგრაფი ვიქტორ ულლატე გაზეთ El Mundo-ში აღნიშნავდა: "იმისთვის, რომ დღეს ბალეტი ფლამენკო არსებობს, უნდა ვუმადლოდეთ ანტონიო გადესს - არტისტს თავიდან ფეხებამდე".



ნინო ტიკარაძე

## კოული უღელში ებმება

იცით, რომ გასულ კვირას დუბაიში დასასვენებლად მყოფმა ლონდონის "არსენალის" ფეხბურთელმა ეშლი კოულმა Girls Aloud-ის 21 წლის სოლისტს ჩერილ ტვიდის გული და ხელი სთხოვა? რომ იცოდეთ, გოგონას რა დაემართა?! საწყალი, შოკში ჩავარდა, თუმცა, მალევე მოეგო გონს და ფეხბურთელს თანხმობა განუცხადა.

"ეს ისეთი რომანტიკული იყო. ეშლი ნამდვილი ჯენტლმენია. მუხლმოყრილმა მთხოვა ხელი", - აღფრთოვანება ვერ დამალა ჩერილმა The Sun-თან საუბრისას. სხვათა შორის, ეს გაზეთი ეშლისა და ჩერილს ბექჰემების ცნობილ წყვილს ამსგავსებს. ალბათ, საქმიანობის სფეროთი თუ ჰგვანან ერთმანეთს - ორივე ფეხბურთელია და ორივეს პოპ-მომღერალი უყვარს (მეტ მსგავსებას, მე პირადად, ჯერჯერობით ვერ ვპოულობ, იქნებ მომავალში აღმოვაჩინო კიდეც!).

ბუნებრივია, ასეთმა მნიშვნელოვანმა შემთხვევამ საჩუქრების გარეშე არ ჩაიარა. ფეხბურთელმა სატრფო აქლემებით სასეირნოდ დაპატიჟა (მართლაც, ეგზოტიკური გასეირნება გამოუვიდოდათ!), შემდეგ კი 50 ათასი გირვანქა სტერლინგის ღირებულების ბრილიანტის ბეჭედი მიართვა.

მათი ურთიერთობა რვა თვეს ითვლის. წყვილმა ლონდონის ერთ-ერთ ღამის კლუბში გაიცნო ერთმანეთი. ეშლი კოულს მაშინვე ჩაუვარდა გულში ეს მომხიბვლელი ახალგაზრდა გოგონა. ჰოდა, ბევრი იფიქრა თუ ცოტა, 750 ათასი გირვანქა სტერლინგის ღირებულების სახლი შეიძინა ჩრდილოეთ ლონდონში. ვის მეზობლად? ძნელი გამოსაცნობი არ უნდა იყოს. ჩერილისა და მისი მეგობრების სახლის გვერდით. ამის შემდეგ წყვილი სულ უფრო ხშირად ხვდებოდა ერთმანეთს. ახლა ისინი, როგორც უკვე მოგახსენეთ, დაქორწინებასაც აპირებენ. თარიღს ჯერჯერობით არ ახმაურებენ, იქნებ ჯერ არც დაუნიშნავთ. მოკლედ, გავიგებ და აუცილებლად გაგაგებინებთ.

## ეტო`ომ რაიკაარდს თავი მოაბეზრა

მოაბეზრებდა, აბა, რა?! "ბარსელონას" მწვრთნელი ფრანკ რაიკაარდი ამბობს, გამუდმებით წუწუნებს, ყელში ამომივიდა მისი გამუდმებული მოთხოვნები ხელფასის გაზრდასთან დაკავშირებითო.

ჰოდა, დაიღალა ადამიანი!

მაგრამ, ეტო`ომაც რა ქნას? პირში წყალი ჩაიგუბოს და საწუხარი გულში შეინახოს, აქაოდა, მწვრთნელს მყუდროება არ დავურღვიოო?!

რაც არ ვიცი, არ ვიცი.

თუმცა, ის კი ვიცი, რომ სამუელ ეტო`ომ გასული სეზონი ბრწყინვალედ ჩაატარა, 24 ბურთი გატანა, რაც კატალონიელებს ქვეყნის ჩემპიონის ტიტულის მოპოვებაში დაეხმარა (ამას დანახვა ხომ უნდა?!)

მწვრთნელი კი მაინც უკმაყოფილოა. მიაჩნია, რომ კამერუნელმა ფეხბურთელმა დროის უმეტესი ნაწილი იმის ჩივილში გაატარა, თუ როგორ არ აფასებენ მას და მის შესაძლებლობებს კატალონიელები.

ზოგიერთის აზრით, ეტო`ოს ეს საქციელი იმითია გამოწვეული, რომ მისი ყიდვა ევროპის წამყვან კლუბებს, მათ შორის, ლონდონის "ჩელსის" სურს. ეს ფაქტი კი, ამბობენ, ფორვარდს უფრო მეტ გამბედაობას მატებს.

რაიკაარდის აზრით, ფეხბურთელებმა კლუბს უნდა უერთგულონ, თამაშებში გამარჯვებაზე იფიქრონ და პირად სარგებელზე ნაკლებად იფიქრონ.

"მაინცდამაინც ვერ ვხვდები, რას ითხოვს სამუელი. მინდა, რომ "ბარსელონას" ფეხბურთელები თავს კარგად გრძნობდნენ. თუ ფეხბურთელი უკმაყოფილოა და იმედი აქვს, რომ სხვა კლუბი უფრო მეტს გადაუხდის, მაშინ, ალბათ, უკეთესია ჩვენგან წავიდეს", - განაცხადა რაიკაარდმა.

ფაქტია, რომ ან ერთმა მხარემ უნდა დათმოს, ან მეორემ. წინააღმდეგ შემთხვევაში, ადვილი შესაძლებელია, ეტო`ომ მომავალ სეზონზე "ბარსელონას" ღირსება აღარ დაიცვას და დაიცვას, მაგალითად, "ჩელსის".

## კანის დაბადების დღემ იუბილარისთვის „საშინლად„ ჩაიარა

წლევანდელი 15 ივნისი გერმანიის ეროვნული ნაკრების მეკარის ოლივერ კანისთვის, მისი სიტყვებით, "საშინელი" გამოდგა. ამ დღეს მას 36 წელი შეუსრულდა, თანაც, ასეთ ღირსშესანიშნავ თარიღს მეორე არანაკლებ მნიშვნელოვანი ფაქტი დაემთხვა - კონფედერაციის მატჩი ავსტრალიის წინააღმდეგ. მართალია, გერმანიამ მოიგო (4:3), მაგრამ "ბაიერნის" მეკარე სამ გაშვებულ გოლს ვერ პატიობს საკუთარ თავს.

მოკლედ, გამარჯვებამ კანს მაინცდამაინც დიდი სიხარული ვერ მიანიჭა. ჰოდა, შესაბამისად, დაბადების დღეც უფერული და უხალისო გამოვიდა. "ბაიერნის" მეკარე სირცხვილით იწვოდა, ეს რა დამემართაო.

"უფრო უსიამოვნო დაბადების დღეებიც მქონია. საბედნიეროდ, გამარჯვება შევძელით. თუმცა, ეს ჩემთვის, როგორც მეკარისთვის, საშინელი დღე იყო. არაფერია იმაზე უსიამოვნო, რომ მთელი საღამოს განმავლობაში ბურთები გამოგქონდეს ბადიდან. ვერაფრის გაკეთება ვერ შევძელი", - განაცხადა კანმა.

ალბათ, შედარებით მაინც შეუმსუბუქებდა მეკარეს დარდს ის, რომ ეროვნული გუნდის წევრებმა გაშვებული გოლების გამო არ უსაყვედურეს, მაგრამ ზოგჯერ უთქმელობას თქმა და გაკიცხვა სჯობს.

მოკლედ, კანი თავს დამნაშავედ გრძნობს. ხუმრობა ხომ არაა, მსოფლიოს ერთ-ერთმა უძლიერესმა მეკარემ სამი გოლი გაუშვას, თანაც, როდის? დაბადების დღეზე. უკეთეს საჩუქარს ვერც ინატრებდა კაცი!

## ვენტოლამ შეყვარებულს ფეხბურთელების სიყვარული ასწავლა

ამბობენ, სიყვარული სასიამოვნო გრძნობაცაა და სასტიკიცო. ორივე ვერსიის დასადასტურებლად, თქვენი ნებართვით, ერთი ფეხბურთელის სიყვარულის ხანმოკლე ისტორიას გიამბობთ. ამ ამბის მთავარი გმირი იტალიელი თავდამსხმელი ნიკოლა ვენტოლა გახლავთ, ფეხბურთელი, რომელიც იჯარის წესით თამაშობს ინგლისურ "კრისტალ პალასში". რამდენიმე ხნის წინათ ეს ფორვარდი "ინტერის" ღირსებას იცავდა.

ერთი შეხედვით ყველაფერი კარგად, შეიძლება ითქვას, იდეალურადაც კი იყო: ჰქონდა საყვარელი საქმე, ჰყავდა მეგობარი გოგონა - მსახიობი ბიანკა გუაჩერო. ვენტოლა მომავლის გეგმებს აწყობდა. ერთხელ საკუთარი ოცნებაც გაამხილა: საყვარელ ადამიანთან ერთად წასულიყო "იქ, სადაც მზე და ზღვაა". არა, ცუდი არჩევანი ნამდვილად არ არის. თუმცა, მის ოცნებას ყოველთვის რაღაც უშლიდა ხელს და ეს "რაღაც", უმეტეს შემთხვევაში, ვენტოლასა და გუაჩეროს განსხვავებული დროის განრიგი იყო: "ერთად ვერასდროს ვერ ვახერხებთ წასვლას. როცა მე მცალია, ისაა დაკავებული და პირიქით", - აცხადებდა ფეხბურთელი. ეგეც რომ არა, თურმე, როგორც გაირკვა, ვენტოლას ფრენის შიში ჰქონია.

მოკლედ, ბედნიერიც იყო და უბედურიც.

საბოლოოდ რა მოხდა? წყვილი ერთმანეთს დაშორდა. ფეხბურთელი ინგლისში გაემგზავრა, მსახიობი კი იტალიაში დარჩა, ფილმში გადასაღებად.

თუმცა, როგორც აღმოჩნდა, ვენტოლასთან ურთიერთობას გუაჩეროსთვის უკვალოდ არ ჩაუვლია - ამ რომანმა მას ფეხბურთელების მიმართ განსაკუთრებული სიყვარული ჩაუნერგა, რისი დასტურიცაა ის, რომ ამ დღეებში იგი "პარმას" მცველის სტეფანო ბეტარინის საზოგადოებაში შეამჩნიეს. თავად მსახიობმა სასტიკი უარი განაცხადა, ამ ურთიერთობაზე ლიად ესაუბრა. აი, რამდენიმე ხნის წინათ კი თქვა, ფეხბურთელებთან ფლირტი ჩემს გეგმებში არ შედისო.

მოდი და დაიჯერე!

ფეხბურთი

# აბრამიძემ "დინამო" დააღალატა

მიხეილ აბაიშვილი



"დინამო" რუიტში ვარჯიშობს.

18 ივნისს თბილისის "დინამო" ავიაკომპანია "საქართველოს ავიახაზების" თბილისი-ფრანკფურტის რეგულარული რეისით გერმანიაში გაემგზავრა, სადაც წინასასეზონო საწვრთნელ შეკრებას გამართავს. გუნდის მთავარ მწვრთნელს წინასწარ ჰქონდა გამოცხადებული იმ ფეხბურთელთა 23-კაციანი სია, რომლებსაც მონაწილეობა უნდა მიეღოთ ამ შეკრებაში. "24 საათმა" უკვე შემოგთავაზათ ეს სია და მასზე აღარ შევაჩერებ თქვენს ყურადღებას. ცხადაძემ გერმანიაში 23 ფეხბურთელი კი წაიყვანა, მაგრამ მოხდა ერთი დაუგეგმავი ცვლილება. კერძოდ, საქართველოს ნაკრების ყოფილი მცველი ვალერი აბრამიძე, რომელიც ბოლო წლებში რუსეთის სხვადასხვა კლუბში ასპარეზობდა და ახლა "დინამოსთან" აპირებდა კონტრაქტის გაფორმებას, გუნდში აღარ არის. ამ საკითხთან დაკავშირებით "დინამოს" პრესატაშემ ლევან სალუქვაძემ "24 საათთან" ასეთი კომენტარი გააკეთა: "აბრამიძე ოთხი დღის განმავლობაში ვარჯიშობდა "დინამოსთან" ერთად. ამ ფეხბურთელმა ჩვენი კლუბის ხელმძღვანელობასთან მომავალ კონტრაქტთან დაკავშირებით ყველა პირობა, ყველა ნიუანსი შეათანხმა და იგი გერმანიაში გუნდთან ერთად უნდა წამოსულიყო. მთავარმა მწვრთნელმა გამგზავრებისწინა პრესაკონფერენციაზე აღნიშნა კიდეც, რომ იგი მოხარულია თავის გუნდში ისეთი მაღალი კვალიფიკაციის მცველის მოსვლით, როგორიც ვალერი აბრამიძეა. "დინამო" გამგზავრებამდე ორი საათით ადრე ფაქტის წინაშე დადგა: აბრამიძე მოვიდა ბაზაზე და განაცხადა, რომ პირადი პრობლემების გამო არათუ ვერ შეძლებდა შეკრებაზე გამგზავრებას, არამედ იგი თბილისის "დინამოში" კარიერის გაგრძელებაზე ამბობდა უარს. აბრამიძემ თავისი არჩევანი თავად გააკეთა. ცხადაძემ სასწრაფოდ მიიღო გადაწყვეტილება: აბრამიძის ნაცვლად შეკრებაზე "დინამო 2"-ის ახალგაზრდა მცველი ნიკა ფირცხალავა წამოიყვანა."

ჩემი მხრივ დავძენ, რომ აბრამიძის საქციელი ყოვლად გაუმართლებელია. თუ მას "დინამოსთან" კონტრაქტის გაფორმება და ამ კლუბში თამაში არ სურდა, ამის გაცხადება უფრო ადრეც შეეძლო და არა გამგზავრებამდე რამდენიმე საათით ადრე. ვფიქრობ, ასეთ ფეხბურთელთან კონტრაქტის არგაფორმებით "დინამოს" არაფერი წაუგია.

ფრანკფურტში ჩასული გუნდი ავტობუსით ორსაათიანი მგზავრობის შემდეგ საკურორტო დაბა რუიტში, ბუნდესნაკრების ცნობილ საწვრთნელ ბაზაზე მივიდა. უკვე მეოთხე წელია, "დინამო" საზაფხულო შეკრებას ამ ბაზაზე მართავს. როგორც ლევან სალუქვაძემ გვითხრა, ამჯერადაც ბაზის ტექნიკურმა პერსონალმა ყველა მოთხოვნა გაითვალისწინა და როგორც კვების, ისე ვარჯიშისა და დასვენების საკითხები ნიუანსებამდე არის გათვლილი.

ჩასვლის დღეს ცხადაძემ ფეხბურთელები დაასვენა, ხოლო გუშინ ორჯერადი კომბინირებული ვარჯიში (უბურთო ფიზიკური დატვირთვები და ბურთით ვარჯიში) ჩაატარა.

21 ივნისს ცხადაძეს ორმხრივი თამაში აქვს დაგეგმილი, ხოლო 23-ში "დინამო" თავის პირველ ამხანაგურ სპარინგმატჩს გამართავს. მეტოქედ შერჩეულია რეგიონალლიგის კლუბი "ფორცაიმი". ცხადაძეს "დინამოში" ბევრი ახალი ფეხბურთელი ჰყავს მიწვეული და გუნდის ჩამოყალიბების პროცესს, პრაქტიკულად, ნულიდან იწყებს. ასეთ დროს ფეხბურთელების შესათამაშებლად და სათამაშო რგოლების დასაბალანსებლად ძლიერი სპარინგპარტნიორი არც არის მიზანშეწონილი. 29 ივნისს "დინამო" შვეიცარიაში გადაინაცვლებს და მზადების დასკვნით ეტაპზე ამ ქვეყნის უმაღლესი ლიგის სამ გუნდს (სენტ გალენს", გრასჰოპერსს" და "შოპჰაუზენს") შეხვდება.

"ფორცაიმთან" მატჩი თბილისის დროით 20 საათსა და 30 წუთზე დაიწყება.

24 ივნისს უეფა ჩაატარებს 2005-06 წლების სეზონის ევროტურნირების კენჭისყრას, რომელიც გამოავლენს ჩემპიონთა ლიგის პირველ საკვალიფიკაციო ეტაპზე თბილისის "დინამოს" მეტოქის ვინაობას.

კრივი

# ტარვერმა რევანში აიღო და მეტოქესაც რევანშის უფლება მისცა



ჯონსონმა და ტარვერმა ერთმანეთს ბევრი ურტყეს.

*ორივე ისეთი მოკრივეა, რომელსაც სამგზის მსოფლიო ჩემპიონი როი ჯონსი (უმცროსი) დაუმარცხებია. ჯონსის გზიდან ჩამოშორების შემდეგ - ურთიერთობის გარკვევა და, პირველობის წყურვილმა მათი გზებიც გადაკვეთა. ყოჩობისთვის მებრძოლებმა ბრძოლის ველად მემფისის "ფედ ექს ფორუმის" რინგი დათქვეს და მეორედ შეერკინენ ერთმანეთს. მართალია, ნახევრადმძიმეწონოსან ანტონიო ტარვერისა და გლენკოფ ჯონსონის დაპირისპირება ნაკლებად მნიშვნელოვანი IBO-ს (კრივის საერთაშორისო ორგანიზაცია) საჩემპიონო ქამრისთვის წარიმართა, მაგრამ ამ შემთხვევაში სახელებს უფრო მეტი მნიშვნელობა მიენიჭა, ვიდრე რინგზე გამოფენილ ტიტულს. და კიდევ, "ფედ ექს ფორუმის" არენაზე გავლენიანმა ჟურნალმა The Ring-მა საკუთარი ვერსიით ნახევრად მძიმე წონის მსოფლიოს უძლიერესის წოდება გაათამაშა. ჟურნალის მიერ დაწესებული ტიტული არაოფიციალურია, მაგრამ, ალბათ, უფრო წონიანი, ვიდრე IBO-ს საჩემპიონო სარტყელი.*

ბიბა ბურასაშვილი

ანტონიო ტარვერმა როი ჯონსი შარშან, 15 მაისს, ლას ვეგასში დაამარცხა. დამარცხებულ დიდ ჩემპიონს შარშანვე, 25 სექტემბერს, გუშინდელი ორთაბრძოლის არენაზე იგივე დღე აწია გლენკოფ ჯონსონმაც. როი ჯონსის გზიდან ჩამოშორების შემდეგ, კრივის ლოგიკით, ტარვერისა და ჯონსონის შერკინების დროც დადგა. ლოგიკა არ დარღვეულა: ტარვერი ჯონსონს ლოს ანჯელესის "სტეპლზ სენტერში" შარშან, 18 დეკემბერს შეებრძოლა და წაგებულმა დატოვა რინგი. შემდეგ საქმეში ჩაერია მატჩ-რევანშის - ტარვერისთვის ღირსების აღდგენის მექანიზმი, რაც ასევე მნიშვნელოვანი და ერთგვარი ვალდებულებაც კია (წაგებულს განმეორებითი ორთაბრძოლის უფლება უნდა დაუტოვო). მართლაც, ანტონიო ტარვერს რევანშის უფლება მიეცა და საქმე ბოლომდე მიიყვანა. თითოეულ ორთაბრძოლაში გამარჯვებულის ვინაობა 12-რაუნდიანი შეხლის შედეგად გამოვლინდა. გუშინაც ასე მოხდა (თუ, რა თქმა უნდა, არ ჩავთვლით როისა და გლენკოფის ჩხუბს, რომელიც მეცხრე რაუნდში როის მარცხით დამთავრდა.- რედ.).

მიუხედავად იმისა, რომ პირველი ორთაბრძოლა ტარვერის წაგებით დასრულდა, ბუკმეიკერები ჯონსონთან მაინც მას თვლიდნენ ფავორიტად. თუმცა, არც თავად იყო უიმედოდ - საკუთარ თავს აუცილებელ გამარჯვებას უწინასწარმეტყველებდა. პირობაც დადო, გლენკოფს დავანოკაუტებო: "ჯონსონთან პირველი მარცხი საკამათო იყო, მაგრამ ამჯერად საკამათო არაფერი იქნება, - მემფისში ჩაფრენისთანავე დაიქადნა ტარვერმა. - ჩვენს ორთაბრძოლას მეგაჩხუბად ნათლავენ, მაგრამ როდესაც დასრულდება, ხალხს იგი მეგამიზეგვად გაახსენდება...

ჩვენი მატჩის არენად მემფისი იმიტომ აირჩიეს, რომ ხალხს ახსოვს, როგორ დაანოკაუტა გლენკოფმა როი ჯონსი. მაგრამ მას შემდეგ, რაც ჯონსონს დავანოკაუტებ, ყველას ჩემი სახელი ეკერება პირზე".

ნოკაუტი ერთადერთი იყო, რისი პირობაც ტარვერმა ვერ შეასრულა.

მოკრივეებმა პირველი რაუნდი ერთმანეთის დაზვერვით დაიწყეს - ხელსაყრელი მანძილის მოძებნას ცდილობდნენ. მიუხედავად იმისა, რომ პირველ რაუნდში რაიმე მნიშვნელოვანი არ მომხდარა, ტარვერი მაინც უკეთ მოქმედებდა. მისი უპირატესობა ბრძოლის საწყის ნახევარში იგრძნობოდა. მოქმედებდა უფრო აქტიურად, ორჯერ მეტ და ზუსტ დარტყმას ახორციელებდა. ტარვერის ზუსტმა ჯებებმა მეოთხე რაუნდისთვის გლენკოფს ქუთუთოებში სისხლჩაქცევები გაუჩინა. ამავე რაუნდში ტარვერმა მეტოქეს რამდენჯერმე ძლიერად მოარტყა, რაზეც ჯონსონმა მხოლოდ ერთხელ უპასუხა.

ერთგვარი გარდატეხა მეხუთე რაუნდს დაეტყო, როდესაც ჯონსონმაც ხელი გამოიღო და ახლო მანძილიდან ტარვერზე იერიშები მიიტანა, თუმცა...

მეექვსე რაუნდში ინიციატივა ისევ ტარვერმა იგდო ხელთ, მაგრამ ეტყობოდა, რომ არაქათი ეცლებოდა. ამის გამო იერიშები შეანელა და მისი კომპენსაციისთვის სამიზნე გაასწორა. გარკვეული უპირატესობა მეშვიდე რაუნდშიც შეინარჩუნა, მერვე და მეცხრე რაუნდებში კი გლენკოფის ჯერი დადგა. მან რამდენიმე ზუსტი დარტყმა განახორციელა და ინიციატივას დაეუფლა. თუმცა, ამგვარმა შემართებამ ჯონსონი სრულად გამოფიტა. მეათე რაუნდში უკვე აშკარად იგრძნობოდა, რომ გლენკოფს ძალა აღარ ჰქონდა. მიუხედავად ამისა, უკან არ იხევდა, ყველანაირად ცდილობდა, მწვრთნელის დავალებები შეესრულებინა, რომელიც საკუთარ შეგირდს ნოკდაუნით გამარჯვებას ჩასჩიჩინებდა.

მეთერთმეტე და მეთორმეტე რაუნდებში მოკრივეთა გარდამავალი უპირატესობის მოწმენი გავხდით. დაღლილობა კი თავისას შვრებოდა. ორივეს ეტყობოდა, რომ 12-რაუნდიანი ორთაბრძოლა მათთვის მეტისმეტი აღმოჩნდა. და მაინც, ბოლო წუთებზე ძალ-ღონე მოიკრიბეს და ერთმანეთს შეძლებისდაგვარად უბაგუნეს, თუმცა, არა ისე, რომ რომელიმეს სერიოზული ზიანი მიეყენებინა მეტოქისთვის.

ანტონიო ტარვერმა შარშანდელ მარცხზე რევანში აიღო. მსაჯებმა მის სასარგებლოდ დაითვალეს - 116-112, 116-112, 115-113.

"გვინდოდა, სხარტები ვყოფილიყავით. გვინდოდა, სწრაფად გვემოქმედა. გვინდოდა, ჩვენს ხელებს ისე ემოქმედათ, როგორც ჩვენ გვსურდა. ჩვენი ორთაბრძოლა იმის მაგალითი იყო, თუ რამდენი ვიშრომეთ საკუთარ ბანაკებში.

მატჩის შემდგომ ანტონიო ტარვერმა (23-3-0, აქედან 18 ნოკაუტით) თქვა, ჯონსონს (42-10-2, აქედან 28 ნოკაუტით) მესამედაც შევერკინები, ხოლო თუ როი ჯონსიც გადაწყვეტს, დაუბრუნდეს რინგს, მასთან ორთაბრძოლისთვისაც მზად ვარო.

გლენკოფმა ტარვერის განცხადებას ასე უპასუხა: "თუ ტარვერს კვლავაც სურს ჩემთან ჩხუბი, მზად ვარ შევებრძოლო. თუ სხვა რამ განუზრახავს, დე, ასეც იყოს".

TV-სპორტი

### ორშაბათი. 20 ივნისი

**НТВ+ФУТБОЛ**

12:00 თავისუფალი დარტყმა
12:25 მსოფლიო ჩემპიონატი ახალგაზრდულ გუნდებს შორის. არგენტინა - გერმანია
14:10 უკრაინის ჩემპიონატი. "შახტარი" - "დინამო"
16:00 თავისუფალი დარტყმა
16:15 ბრაზილიის ჩემპიონატი. "სან პაულუ" - "ბოტოფაგო"
18:00 "დიდი წინააღმდეგობები". განვლილი სეზონი - შოტლანდიის ლიგის თასი. "გლაზგო რეინჯერსი" - "სელტიკი"
19:45 "საფეხბურთო კლუბი". რუსეთის ჩემპიონატის მატჩების მიმოხილვა
20:45 სახვალიო ტელეპროგრამა
20:50 ჩემპიონთა ლიგის არქივი. სეზონი 2001/2002. "იუვენტუსი" - "სელტიკი"
22:35 "დიდი წინააღმდეგობები". განვლილი სეზონი - ინგლისის ჩემპიონატი. "არსენალი" - "ჩელსი"

**НТВ+ПЛЮС**

10:00, 12:45, 15:30, 18:45 პრესცენტრი
10:20, 15:45 "ქრონიკა"
10:25 "ჰარმონიის ფორმულა"
10:45 გოლფი. "US Open"
13:00 პროფესიული კრივი. გლენკოფ ჯონსონი - ანტონიო ტარვერი
15:00 "რკინის ფაქტორი". ტელეჟურნალი
15:50 სახვალიო ტელეპროგრამა
15:55 ჩოგბურთი. უიმბლდონის ტურნირი. პირდაპირი ტრანსლაცია ინგლისიდან
19:00 კალათბურთი. NBA-ს ჩემპიონატი. "DETROIT PISTONS" - "SAN ANTONIO SPURS". მე-5 მატჩი
21:00 NBA-ს ფინალი. "ექო"
21:30 "ექო". საინფორმაციო ანალიტიკური არხი
22:30 ჩოგბურთი. უიმბლდონის ტურნირი. პირდაპირი ტრანსლაცია ინგლისიდან
00:00 ჩოგბურთი. უიმბლდონის ტურნირი. შედეგები
00:30 ახალი ამბები
00:45 გოლფი. "US Open". ფლეი ოფი

**EUROSPORT**

10:30 მოტოსპორტი გამოსასვლელ დღეებში
11:00 ფეხბურთი. კონფედერაციის თასი გერმანიაში. მექსიკა - ბრაზილია
12:30 ფეხბურთი. კონფედერაციის თასი გერმანიაში. საბერძნეთი - იაპონია
13:30 ფეხბურთი. კონფედერაციის თასი გერმანიაში. ავსტრალია - არგენტინა
14:30 ფრენბურთი. მსოფლიო ლიგა. საფრანგეთი - იტალია
15:30 აკადემიური ნიჩბოსნობა. მსოფლიო თასი გერმანიაში
16:30 პლაჟის ფრენბურთი. მსოფლიო ტური შვეიცარიაში. ვაჟები. ფინალი
17:30 მძლეოსნობა. ევროპის თასი იტალიაში. მიმოხილვა
19:00 ფეხბურთი. კონფედერაციის თასი გერმანიაში. საბერძნეთი - იაპონია
20:00 ფეხბურთი. კონფედერაციის თასი გერმანიაში. მექსიკა - ბრაზილია
21:30 მულტისპორტი - აი, მესმის!
22:00 სუმო. ჰარუ ბაშო
23:00 მებრძოლთა კლუბი
01:00 ფეხბურთი. ფიფას კონფედერაციის თასი. მიმოხილვა
01:30 მულტისპორტი - VIP საშვი
01:45 ახალი ამბები
02:00 ავტორბოლები. ლე მანის 24 საათი. მიმოხილვა
03:00 მოტოსპორტი გამოსასვლელ დღეებში

ჩოგბურთი

# 27 ტონა მარწყვი უიმბლდონისთვის

დღეს უიმბლდონის ყოველწლიური საერთაშორისო ტურნირი იწყება (არაოფიციალური მსოფლიო პირველობა ბალახის კორტებზე) ჩოგბურთში, რომელიც 1877 წლიდან ტარდება. უიმბლდონი "დიდი სლემის" ტურნირებში შედის და სეზონის რიგით მესამე შეჯიბრებაა. ბევრი ჩოგბურთელისთვის აქ გამარჯვება ცხოვრების მთავარი ოცნებაა.

უიმბლდონი ნამდვილი საჩოგბურთო მაგიაა. აქ წარმოუდგენელიც კი შესაძლებელია. ამას ადასტურებს 2001 წელს ხორვატი გორან ივანიშევიჩის გამარჯვება, რომელიც ტურნირზე ძლივს მოხვდა. მან ორგანიზატორებისგან ეგრეთ წოდებული ველური ბარათი მიიღო და შემდეგ მადლიერების ნიშნად ტურნირი მოიგო.

ბალახის კორტების თავისებურება ბურთის ბალახიდან არეკნაა. თუ ამას გავითვალისწინებთ, მაშინ ივანიშევიჩის გამარჯვება მოულოდნელად სულაც არ მოგვეჩვენება. ხომ ნათელია, რომ მისი უძლიერესი მოწოდებები რომ არა, ის ვერ მოახერხებდა ყველა მეტოქის გაბითურებას.

უკვდავი აფორიზმი: "ჩოგბურთის ისტორია უბრალოა. ღმერთმა შექმნა ინგლისი, ინგლისელებმა კი ჩოგბურთი მოიგონეს" - საყოველთაოდ არის ცნობილი. თუმცა, ამ სიტყვების ავტორი უცნობია. ამის მიუხედავად, ეს სტროფები ნათლად ასახავს უიმბლდონის მთელ ატმოსფეროს. არადა, გაუგებარია, როგორ ახერხებენ ინგლისელები ადგილობრივი მასშტაბის შეჯიბრება მთელი სამყაროს სანახაობად აქციონ?

უიმბლდონის ისტორია იმ დღიდან იწყება, როცა ექვსმა ჯენტლმენმა დააარსა კროკეტის სრულიად ინგლისური კლუბი (ეს ამბავი 1868 წლის 23 ივნისს მოხდა ლონდონის სტრენდის ქუჩაზე მდებარე ნომერ 346-ე სახლში). სულ მალე მას "ლაუნ-ჩოგბურთი" შეუერთდა (1877 წელს). მას შემდეგ ყოველწლიურად, ივნისის მესამე კვირას, იწყება უიმბლდონის მორიგი ტურნირი.

ამ ტურნირის შესახებ კიდევ ბევრი საინტერესო ამბის მოყოლა შეიძლება. თუმცა, საგაზეთო ფორმატი არ იძლევა ამის საშუალებას, რადგან მარტო უიმბლდონის მარწყვზე თხრობას რამდენიმე გვერდი სჭირდება. მარწყვი ხომ დასაბამიდან ამ ტურნირის სიმბოლოა. მარწყვი სპეციალური კალათებით იყიდება. დაანგარიშებულია, რომ დიდი ჩოგბურთის ორი კვირის განმავლობაში გულშემატკივრები დაახლოებით 27 ტონა მარწყვს მიირთმევენ.

ცალკე საუბრის თემაა ლონდონური ამინდი, რომელსაც ტურნირის მსვლელობაში ჩარევა და მასზე დიდი გავლენის მოხდენა შეუძლია. "წვიმა" ის სიტყვაა, რომელიც ამ ხნის განმავლობაში, კაცმა არ იცის, რამდენჯერ ითქმება. შეჯიბრების ორგანიზატორთა ოფისში კი დამონტაჟებულია უზარმაზარი მონიტორია, რომელიც ლონდონის ამინდის ბიუროს უკავშირდება. აქ ნებისმიერ წუთს შეიძლება მიიღოთ ინფორმაცია ან ფოტო ხელოვნური თანამგზავრიდან მოსალოდნელი ამინდის შესახებ. სპეციალისტებმა გამოთვლაც კი ისწავლეს, თუ როდის დამთავრდება წვიმა და ამ გამოთვლის ცდომილება მხოლოდ 10-15 წუთს შეადგენს. ეს ყველაფერი კი იმისთვის კეთდება, რომ კორტები ნესტისგან საიმედოდ იყოს დაცული. უიმბლდონის არსებობის ისტორიაში წვიმის გამო ტურნირი 13-ჯერ ვერ ჩაეტია დათქმულ ვადებში.

ყოველ წელიწადს უიმბლდონს ჰენმანომანია იპყრობს. ინგლისელების გულის გატეხვას ბრიტანეთის პირველი ჩოგნის ტურნირზე გამოსვლის გამო საზღვარი არა აქვს. ტურნირზე ჰენმანის გამარჯვებას ინგლისელები 1996 წლიდან ელოდებიან. მაშინ მან ტურნირის პირველ წრეში "როლან გაროსის" ახლად გამომცხვარ ჩემპიონს ევგენი კაფელნიკოვს მოუგო.

ახლა კი თვალი გადავავლოთ სტატისტიკას.

**ერთეულთა თანრიგში ტურნირის რეკორდსმენები**

**ვაჟები:**

უილიამ რენშოუ (ბრიტანეთი) - 7 გამარჯვება (1881-1886 და 1889 წლებში)
პიტ სამპრასი (აშშ) - 6 გამარჯვება (1993-1995 და 1997-1999 წლებში)

**ქალები:**

მარტინა ნავრატილოვა (აშშ) - 9 გამარჯვება (1978-1979, 1982-1987 და 1990 წლებში)
ჰელენ უილს-მუდი (აშშ) - 8 გამარჯვება (1927-1930, 1932-1933 და 1935 წლებში)
შტეფი გრაფი (გერმანია) - 7 გამარჯვება (1988-1989, 1991-1993, 1995-1996 წლებში)
დოროთეა ლამბერტ-ჩამბერსი (ბრიტანეთი) - 7 გამარჯვება (1903-1904, 1906, 1910-1911, 1913-1914 წლებში).

**უიმბლდონის სუპერ მარათონი**

მატჩი ვაჟ ერთეულთა თანრიგში რიკარდო გონსალესი (აშშ) - ჩარლზ პასარელი (აშშ) - 22:24, 1:6, 16:14, 6:3, 11:9 (საერთო ჯამში 112 გეიმი, 1969 წელი).

**უიმბლდონის ყველაზე ახალგაზრდა ჩემპიონები. ერთეულთა თანრიგი**

**ვაჟები:**

ბორის ბეკერი (გერმანია) - 17 წელი და 227 დღე (1985 წ.),

**ქალები:**

შარლოტა დოდი (ბრიტანეთი) - 15 წელი და 285 დღე (1887 წ.)

**ყველაზე ხანდაზმული ჩემპიონები**

**ვაჟები:**

არტურ გორი (ბრიტანეთი) - 41 წელი და 182 დღე (1909 წ.)

**ქალები:**

შარლოტა სტერი (ბრიტანეთი) - 37 წელი და 282 დღე (1908 წ.)









# კალატრავას ცათამბჯენი ნიუ იორკში აშენდება

ცნობილმა ესპანელმა არქიტექტორმა სანტიაგო კალატრავამ სახელი გაითქვა უზარმაზარი ზომის, საზოგადოებრივ ნაგებობათა განუმეორებელი პროექტებით, რომელთაგან ერთ-ერთი ბოლო და ყველაზე ცნობილი ათენის ოლიმპიური სტადიონი და ნიუ იორკის სავაჭრო ცენტრის აღდგენილი სატრანსპორტო კვანძია.

პრაქტიკულად არ არსებობს მსოფლიოში დიდი ქალაქი, სადაც კალატრავას მიერ დაპროექტებული აეროპორტი, ოპერის სასახლე, ხიდები და სატრანსპორტო კვანძები არ იყოს აგებული. უფრო მეტიც, მის მიერ შექმნილი ყველა ნაგებობა ხელოვნების ნიმუშია და იმ ქალაქის მშვენებას წარმოადგენს, სადაც მდებარეობს.

და აი, კალატრავამ საცხოვრებელი სახლებისთვისაც მოიცალა - ნიუ იორკის წამყვან სამშენებლო კომპანიებთან ერთად, ის მეგაპოლისის ცენტრში, მსოფლიოს სავაჭრო ცენტრის ტყუპების ადგილიდან რამდენიმე კვარტალის დაშორებით ააგებს 254-მეტრიან საცხოვრებელ ცათამბჯენს, რომლის მსგავსი აქამდე არავის და არასოდეს უნახავს. და რა თქმა უნდა, ეს შენობაც არქიტექტურული ხელოვნების ნიმუშთა რიცხვში შევა.

"ნიუ იორკ პოსტის" ცნობით, ამ გაზეთის მფლობელს, მედიამაგნატ რუპერტ მერდოკს გასული წლის ბოლოს, ნიუ იორკის მე-5 ავენიუზე შეუძენია სააპარტამენტო ნაკვეთი, რომელშიც 44 მილიონი დოლარი გადაუხდია და კალატრავას შედევრის აგება სწორედ ამ ტერიტორიაზე აქვს ჩაფიქრებული.

დღეისათვის პროექტი იმ ადგილის სახელით მოიხსენიება, სადაც მისი აგებაა დაგეგმილი - "80 საუთ სტრიტ ტაუერი". მეორენაირად მას "ცაში გამოკიდულ ბინებსაც" უწოდებენ. ეს იქნება პირველი საცხოვრებელი ნაგებობა, რომელიც კალატრავას პროექტით აშენდება აშშ-ში.

"დღესვე შეიძლება იმის თქმა, რომ ეს შენობა, მისი უჩვეულო გარეგნობისა და სტრუქტურის წყალობით, ნიუ იორკის კიდევ ერთ ღირსშესანიშნაობად გადაიქცევა. ეს იქნება მანჰეტენის განახლების სიმბოლო", - ამბობს პროექტში მონაწილე სამშენებლო კომპანია "სკიამე კონსტრაქშნის" აღმასრულებელი ფრენკ სკიამე. "ეს ცათამბჯენი საშუალებას მოგცემთ, იცხოვროთ ხელოვნების შედევრის კედლებში. ჩვენ დარწმუნებულნი ვართ, კალატრავას მიერ დაპროექტებულ, ცაში გამოკიდებულ, 12 განცალკევებული საცხოვრებელი ბლოკის მქონე სახლში ცხოვრების სურვილს მსოფლიოს მრავალი მდიდარი ადამიანი ისურვებს", - ამბობს იმავე კომპანიის ვიცე პრეზიდენტი ჯონ ევანსი.

"ძალიან გამიმართლა, რომ ნიუ იორკის ცენტრში ცათამბჯენის დაპროექტება შემომთავაზეს. ეს შენობა ადამიანებს ცაში გამოკიდებულ სახლში ცხოვრების საშუალებას მისცემს. რაც მთავარია, ის თანამედროვე მსოფლიოს ერთ-ერთ ყველაზე გამორჩეულ ადგილზე აშენდება. ფრენკ სკიამ ემ სახელი გაითქვა ნიუ იორკის ცათამბჯენთა მშენებლობით და ახლა ჩემი ნამუშევრის განხორციელებასაც დიდი სიამოვნებით ვანდობ მას. ჩემთვის დიდი პატივია მასთან თანამშრომლობა", - განაცხადა თავის მომავალ პარტნიორზე კალატრავამ.





*სანტიაგო კალატრავა და მისი შედევრი ნიუ იორკისთვის*

სხვათა შორის, ნიუ იორკის იმ ნაწილში, სადაც კალატრავას საცხოვრებელი ცათამბჯენის აშენებაა გადაწყვეტილი, წინა სამ საუკუნეში აშენებული შენობები დგას და ამდენად, ყოველი ახალი მშენებლობის წამოწყებას ადგილობრივები ეჭვის თვალით უყურებენ. თუმცა, "80 საუთ სტრიტ ტაუერის" შემთხვევაში საქმე სულ სხვაგვარადაა - ესპანელი არქიტექტორის პროექტმა საყოველთაო მოწონება დაიმსახურა.

ერთი შეხედვით, პროექტში წარმოდგენილი ნაგებობა ჩვეულებრივი კოშკია, რომელზეც 12 კუბია ასხმული. ის სულაც არ ჰგავს ტრადიციულ ცათამბჯენებს. თითქოს, მისი მზიდი კონსტრუქცია ცაში აზიდული მხოლოდ რამდენიმე წვრილი ღერძია, რომლებზეც ყველა კუბია დამაგრებული. სინამდვილეში, შენობას ცენტრში მყარი საყრდენი აუყვება, სადაც ლიფტები და კიბეები, ასევე სხვა დამხმარე კომუნიკაციებია განლაგებული. საცხოვრებელი ფართები კი სწორედ იმ ცალკეულ კუბებშია (ბლოკებშია), რომლებიც შენობას უცნაურ გარეგნობას სძენს. მსგავსი რამ არავის და არასოდეს შეუქმნია, თუმცა კალატრავასთვის სწორედ ესაა მთავარი - მისი ქმნილება განუმეორებელი და გამორჩეული უნდა იყოს.

პროექტის მიხედვით, თითოეულ ბლოკში, რომელთა კედლები მთლიანად შუშისგან დამზადდება, 4 სართული უნდა იყოს. ყოველი მათგანის გვერდის სიგრძე კი დაახლოებით 14 მეტრი იქნება. საერთო ლიფტების გარდა, თითოეულ სართულს შენობის საყრდენ სისტემაში განლაგებული ცალკე ლიფტი მოემსახურება.

ყველა ბლოკის სახურავზე მინი-ბაღი გაშენდება, რომლებთანაც ზედა ბლოკის პირველი სართულის მაცხოვრებელს კიბე დააკავშირებს. გარდა ამისა, ცათამბჯენის ჰოლში რაიმე საზოგადოებრივი დაწესებულება, უფრო რესტორანი განთავსდება.

სპეციალისტების აზრით, ეს შენობა მეტად მყარი და უხიფათო იქნება, თუმცა მისი მშენებლობის პროცესი დიდ დაკვირვებასა და საზრიანობას მოითხოვს. ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, ეს იქნება მსოფლიოში ყველაზე ვიწრო ცათამბჯენი. ის საძირკველში 750 კვადრატულ მეტრს დაიკავებს, მისი საერთო სასარგებლო ფართი კი დაახლოებით 16 ათასი კვადრატული მეტრი იქნება.

წინასწარი ვარაუდით, "80 საუთ სტრიტ ტაუერის" მშენებლობა მერმის დაიწყება და დაახლოებით 18 თვეში დასრულდება.

# ტროპიკული სამოთხე შუა გერმანიაში

მალაიზიელი ბიზნესმენი კოლინ აუ ერთ დროს ტურისტული ხაზების უბრალო ოპერატორი იყო, ახლა კი აზია-წყნარი ოკეანის რეგიონის ტურისტული ბიზნესის ერთ-ერთი ლიდერის, კომპანია "სტარ კრუიზისის" აღმასრულებელი თავმჯდომარეა. მის კომპანიას მილიარდობით დოლარის ბრუნვა აქვს და ტურისტების ნაკლებობას არ უჩივის, თუმცა ბატონი აუ ამით არ კმაყოფილდება და ბიზნესის გაფართოების ახალ გზებსაც ეძებს.

"მსოფლიოში, თუნდაც გერმანიაში, არცთუ ცოტა ადამიანია, რომლებსაც ტროპიკულ ქვეყნებში შვებულების გასატარებლად არც დრო აქვს და არც ფული. არადა, ყველას სურს თბილ, ეგზოტიკურ ადგილებში დასვენება. სწორედ ამ გარემოების გამო წარმოიშვა ევროპის ქვეყნებში ტროპიკული მინი-გარემოს, ტროპიკული კუნძულის შექმნის იდეა", - გვამცნობს ბატონი აუ. დიახ, იმის ნაცვლად, რომ ადამიანები ტროპიკებამდე მიეყვანა, ის პირიქით მოიქცა - ტროპიკული გარემო დააფუძნა ევროპის შუაგულში და იქ დასვენება ნებისმიერი ევროპელისთვის ხელმისაწვდომი გახადა.

მისი იდეის განხორციელების კატალიზატორი კი, რამდენად უცნაურადაც უნდა ჟღერდეს, ერთი მეტად საინტერესო პროექტის ფიასკო გახდა. ეს კი 2003 წელს მოხდა. გერმანული კომპანია "კარგოლიფტერი" აშენებდა ჯერარნახული გაბარიტებისა და ტექნიკური მონაცემების მქონე, ცეპელინის (დირიჟაბლის) ტიპის სამგზავრო-სატვირთო საფრენ აპარატ "კარგოლიფტერს". ამ აპარატით შესაძლებელი იქნებოდა ასეულობით ტურისტის ტროპიკულ კურორტებამდე მიყვანა და ასეულობით ტონა ტვირთის მათი დამზადების ადგილიდან დანიშნულების ადგილამდე გადატანა.

"კარგოლიფტერის" მშენებლობა ბერლინის სიახლოვეს, დედაქალაქიდან ერთი საათის სავალში, პატარა ქალაქ ბრანდში მდებარე უზარმაზარ ანგარში მიმდინარეობდა. თუმცა, იმის გამო, რომ მშენებლობის დაწყებიდან რამდენიმე თვის შემდეგაც არ გამოჩნდა კომპანია, რომელიც ამ კოლოსის ყიდვას განიზრახავდა, მშენებლობა შეჩერდა, პროექტი კი დაიხურა.

უზარმაზარი სამშენებლო ანგარი გამოუყენებლად რჩებოდა. მის გაბარიტებზე რომ დაახლოებითი წარმოდგენა შეგექმნათ, გეტყვით, რომ მასში ადვილად დაეტევა თავისუფლების ქანდაკება, ან დაწვენილი ეიფელის კოშკი. უფრო ზუსტად კი, მისი სიგრძეა 360 მეტრი, სიგანე 210 მეტრი, სიმაღლე კი - 107 მეტრი.

სწორედ ბრანდის ანგარი აირჩია თავისი ტროპიკული კუნძულის ასაშენებლად კოლინ აუმ. მისი დაკვეთით, სამშენებლო კომპანიებმა დაამზადეს უნივერსალური ტროპიკული ჭერქვეშა კურორტი, რომელმაც პირველი ტურისტები 2004 წლის 19 დეკემბერს მიიღო.

აუს ტროპიკული კუნძული დღელამეში 24 საათი მუშაობს და ტურისტებს ისეთივე ჰავას და პირობებს სთავაზობს, როგორიც მათ აზიაში გამგზავრების შემთხვევაში დახვდებოდათ. ტემპერატურა მუდმივად 25-28 გრადუსის ფარგლებშია. თბილი ჰავის გარდა, აქ დამსვენებელს დახვდება ეგზოტიკური ხეები და ქვიშის ნაპირი, ბუნგალოები და ღია ბარები. ამ ჭერქვეშა სამოთხემდე კი ტურისტებს ბრანდის რკინიგზის სადგურიდან სპეციალური ტრანსპორტი მიიყვანს.

ჭერქვეშა კურორტზე დამსვენებელს ემსახურება 500-კაციანი პერსონალი, რომლებიც აზიიდან, აფრიკიდან, ოკეანეთიდან, კარიბეთიდან და სამხრეთ ამერიკიდან არიან შერჩეულნი. ისინი მორიგეობით მუშაობენ და ეროვნულ სამოსებში გამოწყობილნი, თავიანთი მხარის შესაფერის მომსახურებას სთავაზობენ ტურისტებს.





სამ თვეში ერთხელ იცვლება კურორტის ლანდშაფტი. ერთი ტროპიკული რეგიონის ბუნებას მეორე ენაცვლება. შესაბამისად, რგავენ ამ რეგიონის შესაფერის ყვავილებს, სპეციალურ კუთხეებში განათავსებენ შესაბამისი ქვეყნების ხელოვნების ნიმუშებს, გასაყიდად გამოაქვთ იქაური სუვენირები. ამასთან, დამსვენებელს შესაფერისი მუსიკითა და მომსახურებითაც უმასპინძლდებიან. მოკლედ, თავი ხან მალაიზიაში გეგონება, ხან ტაილანდსა და ჩინეთში, ხანაც ანგოლაში, ან ფიჯიზე და ბრაზილიაშიც კი.

ვისაც პლაჟი იზიდავს, მას შეუძლია თეთრი ქვიშით დაფარულ ნაპირზე ნებივრობა. პლაჟის მოყვარულთათვის 850 ცალი ხის დასაკეცი საწოლია გათვალისწინებული. სპეციალური პროექტორებით ანგარის კედლებზე ჰორიზონტი გამოისახება, სადაც დამსვენებელს მზის ამოსვლითა და ჩასვლით ტკბობაც შეუძლია. სხვათა შორის, იმ შემთხვევისთვის, როცა გარეთ, ბუნებრივ გარემოშიც კარგი ამინდი იქნება, ანგარის ერთ მხარეს კედლები იხსნება და მზის ბუნებრივი აბაზანის მიღებაც შესაძლებელი ხდება.

პლაჟის მიღმა ხელოვნური ტყეა გაშენებული, რომელიც 500-მდე ხეს მოითვლის. ზოგიერთი მათგანის სიმაღლე 14 მეტრია. ტყის შუაგულში ტურისტებს ჩანჩქერის ხილვის საშუალებაც აქვთ.

ყოველდღიურად, მასპინძელი დამსვენებელს იმ რეგიონს აცნობს, რომელიც მასპინძლის როლშია. გაცნობა ნახევარ საათს გრძელდება და მისი მოსმენა ტურისტებს ორ საათში ერთხელ შეუძლიათ. პარალელურად, ისმის შესაბამისი ქვეყნის მუსიკა, მოცეკვავეები კი ეროვნულ ცეკვებს ასრულებენ.

გარემოს სამ თვეში ერთხელ ცვლას კიდევ ერთი კარგი თვისება აქვს - ერთიდაიგივე ტურისტს ხელოვნურ კურორტზე ყოველ სამ თვეში სულ სხვადასხვა ქვეყანაში სტუმრობს, რაც იმას ნიშნავს, რომ იქ განმეორებით ვიზიტს სიახლის ხიბლიც ექნება.

საღამოობით ჭერქვეშა ტროპიკი ტურისტებს საინტერესო კულტურულ-გასართობ პროგრამას სთავაზობს. მაგალითად, გახსნიდან პირველი 90 დღის განმავლობაში აქ ბრაზილია მასპინძლობდა. 90 მსახიობი დამსვენებელს ყოველ საღამოს აცნობდა ბრაზილიის ბოლო ათასი წლის ისტორიას. შოუს ერთდროულად 2400 ტურისტი ესწრებოდა, რომლებსაც ბოლოს ბრაზილიური კარნავალის ხილვის საშუალებაც ჰქონდათ.

ბრაზილიის შემდეგ "ტროპიკულ კუნძულზე" კარიბული, პოლინეზიური და აფრიკული გარემო შეიქმნება.

შოუებისა და გართობის გარდა, ტურისტებს ჭერქვეშა კურორტზე სპორტული და გამაჯანსაღებელი ცენტრებით სარგებლობის საშუალებაც ექნებათ. აქ მუშაობენ უმაღლესი დონის სპეციალისტები, რომლებიც დამსვენებლებს იოგაში, უ-შუსა და მედიტაციაში გაავარჯიშებენ. აქვე არის აერობიკის, ფიტნესის, პლაჟის ფრენბურთისა და სხვა კომპლექსები. ძუნძულის მოყვარულთათვის კი სპეციალური ბილიკებია გამოყოფილი.

უნდა ითქვას, რომ თავისი ფანტასტიკური პროექტის განხორციელება კოლინ აუმ ორ წელიწადში შეძლო მის მშენებლობაში კი დაახლოებით 70 მილიონი ევრო დააბანდა.

თავიდან ბევრმა აზიელი ბიზნესმენის წამოწყება ავანტიურად მიიჩნია. თუმცა, აუს ჩანაფიქრს მყარი საფუძველი ჰქონდა - მისი "ტროპიკული კუნძული" ხომ შუა გერმანიაში მდებარეობს. ის მთელი წლის განმავლობაში, დღეში 24 საათია ღია და ერთდროულად 7000 ტურისტის მასპინძლობა შეუძლია.

მისგან ერთი საათის სავალზე (ავტომობილით) 5 მილიონი ადამიანი ცხოვრობს, სამი საათის სავალზე კი - 16 მილიონი. უფრო მეტიც, შონეფელდის საერთაშორისო აეროპორტიდან ამ ჭერქვეშა კურორტამდე მანქანით ნახევარ საათში მიხვალთ. ყოველივე კი იმას ნიშნავს, რომ ის თითქმის მთელი წლის განმავლობაში სრული დატვირთვით იმუშავებს.

"ტროპიკული კუნძული" ნიდერლაუზიტცის რეგიონში მდებარეობს და მასთან მისვლა A13 საავტომობილო მაგისტრალით შეიძლება. მისგან 60 კილომეტრში ბერლინია, 100 კილომეტრში კი - დრეზდენი.

კარგი იქნებოდა, ამ ანგარში "კარგოლიფტერი" ეწარმოებინათ, მაგრამ კიდევ უფრო უკეთესია, რაც ახლა იქ მდებარეობს. როგორც ამბობენ, მალაიზიელი ბიზნესმენის გერმანული ტროპიკი კლიენტის ნაკლებობას არ განიცდის...

# "ჰიდროპოლისი" - დუბაის წყალქვეშა სასტუმრო

მუსულმანური სამყაროს შუაგულში, არაბეთის ნახევარკუნძულზე, იქ სადაც ქალები დღესაც ჩადრით დადიან, შენდება ულტრათანამედროვე, ანალოგის არმქონე სასტუმრო, რომელიც მის სტუმართ უფრო დააახლოებს წყალქვეშა სამყაროსთან.

ლაპარაკია ქალაქ დუბაის სანაპირო ზოლში მშენებარე სასტუმრო "ჰიდროპოლისზე", რომელიც გერმანელმა არქიტექტორმა და ინვესტორმა იოახიმ ჰაუზერმა შეიმუშავა და რომლის ხორცშესხმაზეც თავადვე მუშაობს.

პროექტის ღირებულება 500 მილიონ დოლარადაა შეფასებული და ის ითვალისწინებს ემირატების ყველაზე თანამედროვე ქალაქის, დუბაის პრესტიჟულ რაიონ ჯუმერიას სიახლოვეს, ნაპირიდან მოშორებით და რაც მთავარია, წყალქვეშ სასტუმროს აშენებას. სასტუმროს საერთო ფართი დაახლოებით 107 700 კვადრატული მეტრი იქნება და მისი 220 ნომერი დაუვიწყარ შთაბეჭდილებებს პირდება მის სტუმრებს.

სასტუმროს მშენებლობა დაწყებულია და როგორც მისი ავტორი აცხადებს, 2006 წლის ბოლოს პირველ სტუმრებსაც მიიღებს. ამასთან, ეს იქნება ემირატებში განხორციელებული პირველი პროექტი, რომელსაც მთლიანად უცხოური კომპანია განახორციელებს და პირველ ხანებში ექსპლუატაციასაც გაუწევს.

აღსანიშნავია, რომ აქამდე ყველა პროექტს, თუნდაც მათში მთავარ როლს უცხოური კაპიტალი და კომპანიები თამაშობდნენ, მთლიანად ან ნაწილობრივ აკონტროლებენ სახელმწიფოს დაქვემდებარებული, ან ნახევრად დამოუკიდებელი, ადგილობრივი კომპანიები.

ჰაუზერმა კი თავისი კომპანიის რეგისტრაცია თავისუფალ სავაჭრო ზონა დუბაიში მოახდინა და ამდენად, პროექტის მთლიანად გაკონტროლების უფლებაც მიიღო.

"ამ სასტუმროს მშენებლობა მხოლოდ მცირე ნაწილია იმ დიდი გეგმისა, რომელიც დუბაის ეკონომიკის სხვადასხვა სფეროში მსოფლიოს წამყვანი კომპანიების ინვესტიციების მოზიდვას ითვალისწინებს. მალე "ჰიდროპოლისი" ჩვენი ქალაქის კიდევ ერთი სავიზიტო ბარათი გახდება და ჩვენი თანამოქალაქეები იამაყებენ ამით", - ამბობს დუბაის განთივარებისა და ინვესტიციების ადმინისტრაციის დირექტორი სალემ ბენ დასმალი.



*დაახლოებით ასეთი იქნება ჰიდროპოლისი*

ცნობისათვის, დუბაის ადგილობრივი მოსახლეობა სულ მილიონ ადამიანს შეადგენს. შარშან ამ ქალაქს 5 მილიონზე მეტი ტურისტი ჰყავდა. ქალაქის ხელისუფლება კი იმედოვნებს, რომ 2007 წლისთვის ტურისტების რაოდენობა 10 მილიონს მიაღწევს, 2015 წლისთვის კი - 40 მილიონს.

პარალელურად, ბაჰამის კუნძულებზე მსგავსი პროექტის განხორციელებას ამერიკელი ბიზნესმენებიც აპირებენ. მათ ნაპირის სიახლოვეს, 15 მეტრის სიღრმეზე გიგანტური სასტმროს აშენება აქვთ გადაწყვეტილი. სასტუმროში სულ 20 მდიდრული ნომერი, რესტორანი და ბარი იქნება. ამასთან, ნომრების გარე კედლები გამჭვირვალე აკრილისგან დამზადდება, რისი წყალობითაც, მაცხოვრებლებს მარჯნის რიფების მშვენიერებით ტკბობის საშუალება ექნებათ.

გამჭვირვალე იქნება სასტუმროს ყველა ნომრის ჭერიც, საიდანაც ტურისტები წყვალქვეშა სამყაროს ახლოს გაცნობას შეძლებენ. მათ შესაძლებლობა ექნებათ, საათების განმავლობაში უყურონ ასობით სახეობის ტროპიკული თევზის, გიგანტური კუებისა და ზვიგენების ცხოვრებას. რა თქმა უნდა, ყველაზე თავზეხელაღებულებს წყალქვეშ მოგზაურობის საშუალებაც ექნებათ.

წყალქვეშა სასტუმროში სტუმრები ორი გვირაბის მეშვეობით მოხვდებიან. ორივე გვირაბი ესკალატორებით იქნება აღჭურვილი. სასტუმროს ექნება წყალზედა ნაწილი, სადაც ტურისტებს მათი სურვილისამებრ შეეძლებათ ამოსვლა და მზეზე მიფიცხება. სასტუმროს პროექტი 40 მილიონ დოლარადაა შეფასებული, მასში ერთი დღეღამით დარჩენა კი ტურისტებს 1500 დოლარი დაუჯდებათ.

ბაჰამური პროექტი გაცილებით იაფი ჯდება დუბაისაზე, მაგრამ სამაგიეროდ, "ჰიდროპოლისი" ერთდროულად გაცილებით მეტი სტუმრის მასპინძლობას შეძლებს, რომლებსაც წყალქვეშ ცხოვრება დაახლოებით სამჯერ იაფი დაუჯდებათ. თუმცა, ბაჰამური პროექტის ხელმძღვანელი ბრიუს ჯონსი თვლის, რომ არაბულ სასტუმროში ცხოვრების ფასი (500 დოლარი) არარეალურია, რადგან ამ თანხით ხარჯები არ ანაზღაურდება და აქედან გამომდინარე, არც სასტუმრო იქნება მომგებიანი.

თავის წამოწყებაში კი ჯონსი აბსოლუტურად დარწმუნებულია. მისი თქმით, ტურისტები დიდ სიამოვნებას ნახულობენ წყალქვეშა სამყაროს დათვალიერებით. ამის დასტურად მას ერთი საინტერესო სტატისტიკური მონაცემი მოჰყავს - შარშან აშშ-ში დაახლოებით 100 მილიონი დამთვალიერებელი ჰყავდა სხვადასხვა ტიპის ოკეანორიუმებს, ბევრი ტურისტი კი ნეპტუნის სამფლობელოს ტურისტული წყალქვეშა ნავების მეშვეობით გაეცნო.



გადაცემა
# სუსტი რგოლი

## მოთამაშის ანკეტა

გეხერხებათ კროსვორდების ამოხსნა?

გიყვართ ინტელექტუალური თამაშები?

არ გეშინიათ, გადაცემაში "სუსტი რგოლი" თამაში?

დაგვიკავშირდით, "რუსთავი 2" ეძებს ერუდირებულ, თამამ, მონებამახსნილ კონკურსანტებს.

გადაცემაში მონაწილეობის მისაღებად საჭიროა გქონდეთ მხოლოდ ზოგადი განათლება, იუმორის გრძნობა და მოგების სურვილი.

ანკეტა გამოგზავნეთ ფოსტით ან მოიტანეთ მისამართზე:

სახელი ______ მისამართი

გვარი ______

ასაკი ______ საკონტაქტო ტელეფონის ნომრები ______

სიმაღლე ______

1 ოჯახური მდგომარეობა :
დაქორწინებული
დაუქორწინებელი
გაყრილი
ქვრივი

2 შვილები: (თუ გყავთ)

3 პროფესია :

4 სამუშაო ადგილი (მოკლედ აღწერეთ თქვენი საქმიანობა)

5 ადრე სად მუშაობდით? (მოკლედ აღწერეთ თქვენი საქმიანობა)

6 სხვა რომელ ტელეშოუებში გაქვთ მონაწილეობა მიღებული, სად და როდის?

7 სხვა რომელ არასატელევიზიო კონკურსებში და შეჯიბრებებში მიგიღიათ მონაწილეობა სად და როდის?

8 თქვენი ინტერესები

9 თქვენი ჰობი

10 თქვენი საყვარელი გადაცემა და ტელეშოუები ?

11 როგორ დახარჯავდით 8000 ლარს ერთ დღეში ? (პასუხი: ერთ დღეში ვერ დავხარჯავ არ მიიღება)

12 როგორ გრძნობთ თავს ჯანსაღი კონკურენციის პირობებში ? (ახსენით პასუხი)

13 როგორ წარმოგიდგენიათ თქვენი თავი გადაცემაში "სუსტი რგოლი" თამაშის დროს ? (ახსენით პასუხი)

ჩემი ხელმოწერით ვადასტურებ, რომ მოწოდებული ინფორმაცია არის ზუსტი და რომ არც მე და არც ჩემი ოჯახის წევრი არ მუშაობს სამაუწყებლო კომპანია "რუსთავი 2"-ში.

ხელმოწერა__________ თარიღი__________

ანკეტა ხელმოწერის გარეშე არ მიიღება !

თქვენი ფოტოსურათი

გთხოვთ, დააკრათ ნებისმიერი ზომის ფოტოსურათი, რომელზეც მხოლოდ თქვენ ხართ გამოსახული, მასზე სახე გარკვევით უნდა ჩანდეს. გთხოვთ, ფოტოსურათის უკან მიაწეროთ თქვენი სახელი და გვარი. ფოტოსურათი გამოყენებული უნდა იყოს ბოლო ორი წლის განმავლობაში.

## სკანვორდი




## TV პროგრამა

20 ივნისისი, ორშაბათი

### რუსთავი - 2

**07.30** დილა **08.00** ლუი **10.00** სერიალი "ოცნების კოშკები" **11.00** ღამის შოუ **12.00, 15.00, 17.00, 18.00, 21.00, 01.50** კურიერი **12.20** სერიალი "გრძნობათა ტყვეობაში" **13.30** მხ. ფილმი "წმინდა ინგლისური მკვლელობები" (გ) **15.25** სერიალი "ენტერპრაიზი" **16.30** სერიალი "ოცნების კოშკები" **17.25** ლუი **18.30** პატრული **19.00** ყველაზე ჭკვიანი **19.50** სერიალი "გრძნობათა ტყვეობაში" **22.00** სუსტი რგოლი **23.00** სერიალი "უცნობი" **00.00** მხ. ფილმი "იმპერიის დაცემა" (18) (გებრიელ ბირნი) **02.10** პატრული

### 1 არხი

**08.00** დოკ. ფილმები **10.00** სერიალი "დანაშაული" **11.00** სერ. "მემკვიდრე ლუნა" **12.00** "მთავარი" **12.20** ანიმაციური ფილმი "ტენტენის თავგადასავლი" **12.45** ანიმ. სერიალი "პატარა კენგურუები" **13.00** "სარჩევი" **14.00** სერ. "მაქსიმო ჩემი სიყვარული" **15.00** "მთავარი" აფხაზურ ენაზე **15.20** "მთავარი" რუსულ ენაზე **15.30** ბიოგრაფიული პორტრეტები -მ. ჯეკსონი **16.00** ლტოლვილთა დაცვის საერთაშორისო დღე **16.30** დოკ. ფილმი "გენერალ ლუოს გასაოცარი ბედისწერა" **17.30** "ვაკანსია" **18.00** "მთავარი" -რეგიონებიდან **18.30** სერიალი "ჩოგბურთის აკადემია" **19.00** დოკ. ფილმი "სიჩქარე" **19.30** გზაჯვარედინი **20.00** "მთავარი" **20.45** "ბაბილინა" **21.00** სერ. "მემკვიდრე ლუნა" **22.00** დოკ. ფილმი "დღეები, რომლებმაც მსოფლიო შეძრა" **23.00** მრწამსი - სამონასტრო ცხოვრება **23.30** მხ. ფილმი "შოპენი" (12) **01.45** საინფ. გამოშვება

### მზე

**08.30** მუსიკა მზეზე **09.00** "გეპატიჟებათ ბ. ვულფი" **09.30** სერიალი "ჩენტო ვეტრინე" **10.30** მხ. ფილმი "რომის ოქრო" **11.00, 13.00, 14.00, 16.00** საინფ. გამოშვება "მზერა" **12.30** ტელეჟურნალი "ჰოლივუდი დღეს" **13.05** სერიალი "დიელი და პასკო" **14.15** არჩევანის ზღვარზე **15.10** შემეცნ. პროგრამა "სამყაროს უთვალავი ფერი" **16.05** "ველური მთვარე" **17.00, 19.00, 20.00** საინფ. გამოშვება "მზერა" **17.20** ბალეტი "შეჰერეზადა" **18.20** "გეპატიჟებათ ბ. ვულფი" **19.05** სერ. "ჩენტო ვეტრინე" **21.00** სერიალი "კარაბინერები" **21.45** არჩევანის ზღვარზე **22.45** საფესტივალო ჩვენება: "ბოდვა", "არასოდეს ცხოვრებაში" **23.20** მხ. ფილმი "განწმენდა" (გ)

### მეორე არხი

**19.00** სერიალი "ცხელი ზაფხული" 1ს. 1-ლი ნ. **19.50** "ბაბილინა" **20.00** მულტსერიალი "გადაადგილების საშუალებები" **20.30** დოკ. სერიალი "ექსცენტრიკოსები" **20.55** დოკ. ფილმი "სიკვდილს გადარჩენილნი" **21.45** კონცერტი **22.35** კინოსეანსი "პარმის სავანე"

### იმედი

**07.45** იმედის დილა **08.00, 09.00, 10.00, 11.00, 12.00, 13.00, 14.00** ქრონიკა **08.05** იმედის დილა **09.15** "ნუცას სკოლა" **10.05** სერიალი "მოჯადოება" **11.15** დროება **12.30, 03.05** იმედის მელოდიები **12.40, 16.40, 01.50** ტვ-მარკეტი **13.15** "ნბა". ფინალური სერიის მატჩი. **14.45** "მერიდიანი" **15.00, 17.00, 18.00, 19.00, 22.00, 01.40** ქრონიკა **15.20** "არ იდარდო" **17.10** დოკ. სერიალი "მოგზაურობა დედამიწის გარშემო" **17.25** ვაკაჭი-ნიუსი **18.05** სერიალი "მოჯადოება" **19.55** სერიალი "ოცნების სანაპირო" **20.55** სერიალი "დრონგო" მე-9 ს. **22.55** "ნიკა ქავთარაძის შოუ" **23.55** სპ. პროგრამა "გოლი" **00.25** ნადიმი ჯ. კაშიასთან ერთად **02.25** ნუცას სკოლა (გამ.)

### აჭარა

**08.00** მუსიკა **08.30** საინფ. დაიჯესტი **09.00** სერიალი "ჩემი სამი და" **10.00** "პროექტი მომავალი" **10.45** კომედია "ზაზუნას დღესასწაული" **12.40** ბოევიკი "სახიფათო არჩევანი" **14.30, 17.30, 20.30** "ახალი ამბები" **15.00** დრამა "არსად აფრიკაში" **17.55** მულტფილმი **18.30** "ნოვოსტი" **19.05** მუსიკა **19.30** სერიალი "ჩემი სამი და" **21.00** კომედია "ჯენისი და ჯონი" **22.40** "პროექცია" **00.00** საინფ. დაიჯესტი **00.25** თრილერი "შიშის სახლი" **02.00** გერმანული ტალღის ახალი ამბები

### ОРТ

**06.00** "Доброе утро". **09.00, 18.00** Новости. **09.20** Гоша Куценко в блокбастере **"АНТИКИЛЛЕР-2". 12.20** Новое русское кино. **"ВЕСЬЕГОНСКАЯ ВОЛЧИЦА". 14.20** "В.Молотов. Школа выживания". **15.20** Что? Где? Когда? **16.20** Сериал **"НА УГЛУ У ПАТРИАРШИХ". 17.30** "Пять вечеров". **18.50** Сериал **"ХОЗЯЙКА СУДЬБЫ". 19.50** Жди меня. **21.00** Время. **21.30** Сериал **"ВРЕМЯ ЖЕСТОКИХ". 22.30** Выпускной бал 2005 в Кремле. **23.30** Дневник Московского кинофестиваля **23.40** Выпускной бал 2005 в Кремле. Продолжение. **01.30** Чулпан Хаматова в фильме **"ЛУННЫЙ ПАПА".** В таджикском поселке Фар-Хор, на берегу моря, вместе с отцом и братом жила девушка по имени Мамлакат. Больше всего на свете Мамлакат любила театр. Однажды после спектакля, она встретилась с человеком, который назвался актером. Мамлакат не смогла рассмотреть своего соблазнителя, но той самой ночи к появлению на свет стал готовиться Хабибулла, ее сын. Он и рассказал о том, как все семейство двинулось на поиски его неизвестного отца, и обо всех смешных, грустных и отчаянных приключениях, которые случились с его юной мамой еще до его рождения... **03.20** Джош Чарлз в комедии **"ТРОЕ".** Студенты Эдди и Стюарт живут в комнате общежития, рассчитанной на троих. Как и следует ожидать у них появляется новый сосед. Но к изумлению молодых людей это девушка. Недоразумение произошло по вине компьютера, который принял юную студентку за парня из-за ее имени - Алекс. Поначалу отношения складываются непросто. Вскоре ловелас Стюарт проникается к Алекс нежными чувствами, но - увы! - без взаимности. Она влюбляется в интеллектуала Эдди, который, правда, не очень интересуется девушками... **04.50** Док. фильм "Операция "Оверлорд".

### НТВ

**06.00** "Сегодня утром". **09.00** Совершенно секретно. Информация к размышлению. **10.00, 13.00, 16.00, 19.00, 22.00, 00.00** "Сегодня" **10.20** Чрезвычайное происшествие. Обзор за неделю. **10.55** Кулинарный поединок. **11.55** Квартирный вопрос. **13.35** Сериал **"ОПЕРА. ХРОНИКИ УБОЙНОГО ОТДЕЛА". 15.35** Игры разума. **16.20** Ток-шоу "Принцип домино". **17.25** Сериал **"ДАЛЬНОБОЙЩИКИ-2: ПРИВАТИЗАЦИЯ". 18.35** Чрезвычайное происшествие. **19.40** Сериал **"ИГРА НА ВЫБЫВАНИЕ". 20.45** Сериал **"ПОЛНЫЙ ВПЕРЕД!". 21.50** Чрезвычайное происшествие. **22.40** Сериал **"СЕКС В БОЛЬШОМ ГОРОДЕ". 23.45** Чрезвычайное происшествие. **00.15** Сериал **"ИГРА НА ВЫБЫВАНИЕ". 01.20** Анна Аммирати в фильме **"ШАЛУНЬЯ".** Красавица Лола - настоящая шалунья. Она никого не стесняется и готова в любую минуту оказаться в объятиях любимого Тамазо. Но Тамазо считает, что до свадьбы этого делать никак нельзя. Лола обманом заставляет Тамазо нарушить свои правила. А дальше будет свадьба, во время которой и ее отчим поймет, что невеста не откажет ему в своих ласках... **03.10** Сериал **"КИН ЭДДИ". 04.10** Сериал **"ЗВЕЗДНЫЕ ВРАТА-4". 05.05** Сериал **"ЗАПАДНОЕ КРЫЛО".**

ყველაზე ჭკვიანი

შენ სწავლობ სკოლაში და ხარ 11 ან 12 წლის ?
ხარ ჭკვიანი და გამოირჩევი სწრაფი აზროვნებით?
არ გეშინია გამოსცადო შენი ინტელექტუალური შესაძლებლობები?
მაშინ, შენ შეგიძლია გახდე გადაცემა "ყველაზე ჭკვიანის" მონაწილე !

ამისათვის საჭიროა:

შეავსო ანკეტის ფორმა მშობელთან ერთად.

მოგვაწოდო ინფორმაცია შენს შესახებ, იმ შემთხვევაშიც კი თუ საქართველოს ყველაზე შორეულ კუთხეში ცხოვრობ.

ჩვენ ვეძებთ ყველაზე ჭკვიან ბავშვებს !

მონაწილის ანკეტა (შეავსე ყველა გრაფა)

სახელი, გვარი, მამის სახელი ---------------------------------------------

მისამართი ---------------------------------------------

საკონტაქტო ტელეფონის ნომრები ---------------------------------------------

დაბადების თარიღი ---------------------------------------------

სკოლა ---------------------------------------------

კლასი ---------------------------------------------

დამატებითი საკონტაქტო ტელეფონის ნომრები ---------------------------------------------

მშობლის ან მეურვის სახელი, გვარი ---------------------------------------------

მშობლის ან მეურვის ხელმოწერა ---------------------------------------------

ყურადღება: კონკურსანტი ბავშვის ასაკი არ უნდა იყოს 2005 წლის 1 სექტემბრისათვის 11 წელზე ნაკლები და არ უნდა აღემატებოდეს 12-ს. ანკეტა გამოაგზავნეთ მხოლოდ ერთ ეგზემპლარად.

ანკეტა გამოგვიგზავნეთ ფოსტით ან მოგვიტანეთ მისამართზე: სამაუწყებლო კომპანია "რუსთავი 2", ვაჟა ფშაველას 45, 380077 თბილისი

ბ ლ ა ნ კ ი უ ფ ა ს ო ა

Maki
Fujitsu-Siemens-ის
პრემიერ-პარტნიორი
გთავაზობთ
ნოუთბუქებს - 888$-დან
2 წლიანი გარანტიით
AMD Athlon 64
კომპიუტერებს - 298$-დან
განვადებით 15 თვიანი გარანტიით
ტელ.: 921836, 921826 ირაკლი აბაშიძის 24

თქვენი რეკლამა
ჩვენს გაზეთში
20-24-04
20-00-24

სწავლა ლონდონში
ხელმისაწვდომ ფასად

London School of Commerce (LSC) ტურიზმის, ტექნოლოგიის და მენეჯმენტის სკოლა STM (ლონდონი) გიწვევთ ხარისხის მოსაპოვებლად შემდეგი პროგრამების ფარგლებში. ტექნოლოგიის და მენეჯმენტის სკოლის (ლონდონი) კამპუსი მდებარეობს ლონდონ ბრიჯთან, ეს ის ადგილია სადაც ლონდონის ღირსშესანიშნაობებია თავმოყრილი.
პროგრამები ბაკალავრის ხარისხის მოსაპოვებლად ხორციელდება University of sunderland (გაერთიანებული სამეფო) უნივერსიტეტთან ერთად, ხოლო პროგრამები მაგისტრის ხარისხის მოსაპოვებლად ხორციელდება ისტ ლონდონის UEL (გაერთიანებული სამეფო) და iniversity of Wales Newport (გაერთიანებული სამეფო) უნივერსიტეტებთან ერთად.
პროგრამები ცხადდება წელიწადში სამჯერ: აპრილი/აგვისტო/ნოემბერი. მორიგი კურსის დაწყების თარიღი 2005 წლის 3 აგვისტო.

MBA
MSc
£3950

ბიზნესის ან ბიზნეს ინფორმაციის ტექნოლოგიის პროგრამების ფარგლებში ბაკალავრის ხარისხის მოსაპოვებლად 2-წლიანი დაჩქარებული კურსის - BA (Hons) მთლიანი ღირებულება £ 5950

ზემოთ აღნიშნული თანხის გადახდა ხდება ეტაპობრივად
იმ სტუდენტებისთვის, რომლებიც ზემოაღნიშნული პროგრამებით სწავლობენ, ერთწლიანი ინტენსიური ინგლისური ენის კურსის გავლა შესაძლებელია დამატებითი £ 1000 გადახდის შემდეგ.
იმ სტუდენტებისთვისაც, რომლებიც მაღალი აკადემიური მოსწრება არა აქვთ, ხელმისაწვდომია მოსამზადებელი პროგრამები.

დამატებითი ინფორმაციისთვის დაუკავშირდით:
ნინა მუხიაშვილი / ტექნოლოგიისა და მენეჯმენტის მაშლები გარდიელება
მის: თბილისი, მეჩეთის 2, სადარბაზო 1, ოთახი 1
ტელ: 253 045, 230 284 მობ. 877 42 35 69
E-mail: LSCgeorgia@hotmail.com
www.LSCLondon.co.uk

# კინო-ოჯახურ-პოლიტიკური სამეული




ბილი ბობ თორნთონს, ბრედ პიტსა და ანჯელინა ჯოლის კიდევ ერთი საერთო გამოუჩნდათ. ჯოლი ხომ უკვე დიდი ხანია მესამე სამყაროს ქვეყნების ბედსა და მშვიდობაზე ზრუნავს და პოლიტიკაში აქტიურად მონაწილეობს. ახლა მას ბილი ბობ თორნთონი ეკრანიდან შეუერთდება, ბრედ პიტი კი - პროდიუსერის კაბინეტიდან: თორნთონი მთავარ როლს შეასრულებს ფილმში "მშვიდობა, რომელიც მდინარეს ჰგავს". პროექტს კინოსტუდია "უორნერ ბროსი" ახორციელებს, პროდიუსერი კი ბრედ პიტი გახლავთ.

სცენარი ლიფ ენგერის რომანის "მშვიდობის" მიხედვით დაიწერა. ჯერჯერობით, უცნობია რეჟისორის ვინაობა.

რაც შეეხება საერთო ფასეულობებს, ეს მართლაც კინო-ოჯახური ურთიერთობა გამოდის. ანჯელინა ჯოლი ხომ ბილი ბობ თორნთონის ყოფილი მეუღლეა, ახლა კი, "მისტერ და მისის სმიტების" ეკრანზე გამოსვლის შემდეგ, ჯოლისა და ბრედ პიტის რომანის შესახებაც გავრცელდა ხმები.

მართალია, ეს ფილმი ცოლ-ქმარი მკვლელების შესახებ, მსოფლიო ბლოკბასტერია, მაგრამ თავისი კინოწარმატებები ბილი ბობ თორნთონსაც აქვს. მან ახლახან დაამთავრა მუშაობა "პარამაუნტის" ფილმზე Bad News Bears, რომელიც ამერიკულ კინოთეატრებში 22 ივლისს გამოვა. ამის შემდეგ ის მუშაობას დაიწყებს სურათზე "მისტერ ვუდკოკი". ბოლოს მაყურებელმა თორნთონი "პარასკევი ღამის სინათლეებში ნახა, მაგრამ ბარი ლევინსონის "ბანდიტები" რომ იყო, ისე მის ფანებს არაფერი მოსწონებიათ.

# ბიორკი კინოგადაღებაზე დაითანხმეს



მართალია, ლარს ფონ ტრიერთან მიღებული გამოცდილების შემდეგ უარი თქვა კინოკარიერაზე, მაგრამ, როგორც ჩანს, გარემოებამ ბიორკს გადაწყვეტილების შეცვლა მოსთხოვა. მუსიკოსი კვლავ ჩაერთო კინოზე მუშაობაში და ისევ ორი დატვირთვით. ავანტიურაზე ბიორკის თანხმობა ინგლისელმა რეჟისორმა მეთიუ ბარნიმ (რომელმაც ხელოვანთა წრეებში მოკლემეტრაჟიანი ფილმებით Cremaster-ით გაითქვა სახელი) მოახერხა.

რეჟისორის ახალ ფილმს Drawing Restraint 9 ჰქვია. როგორც წესი, ბარნის ფილმები უსიუჟეტოა; 2 საათისა და 15 წუთის განმავლობაში მაყურებელი ვაზელინის სკულპტურების ტრანსფორმაციას მიადევნებს თვალს. ცოცხალი მსახიობების სახით კი მოგვევლინებიან: თავად მეთიუ ბარნი და ბიორკი. მაყურებლის დიალოგებით დამძიმებაც არ არის ბარნის სტილი.

ფილმის მნიშვნელოვანი შემადგენელი ნაწილია მუსიკა, რომელიც ბიორკმა დაწერა. მუსიკის შექმნისას მუსიკოსმა ტრადიციული თეატრი "ნოს" ვოკალური ტექნიკა და აზრობრივი სტრუქტურა გამოიყენა. ასევე, ბევრი პარტია დაწერილია ძველი იაპონური ინსტრუმენტი შოსთვის. მუსიკა ფილმისთვის Drawing Restraint 9, რომელიც 11 კომპოზიციას აერთიანებს, 25 ივლისს ცალკე დისკად გამოიცემა.

# პიკასოს სიყვარული - აუქციონზე



თვის ბოლოს პარიზი კიდევ ერთხელ გაიხსენებს პაბლო პიკასოს. 79 წლის ჟენევიევ ლაპორტი, რომელიც მხატვრის საყვარელი იყო, პიკასოს 20-მდე სკეტჩს გამოიტანს აუქციონზე გასაყიდად. ერთად ლოტების ფასი 2.4 მილიონ დოლარს აღწევს.

"პიკასო ძალიან ნიჭიერი, ნაზი, თავაზიანი, მორიდებული კაცი იყო და არა ისეთი აუტანელი და ცივი, როგორც მას ხშირად ახასიათებენ ხოლმე", - აცხადებს ლაპორტი, რომელმაც მხატვარი სტუდენტობის წლებში გაიცნო. ახალბედა ჟურნალისტმა ჟენევიევმა პიკასოსგან კოლეჯის გაზეთისთვის ინტერვიუ აიღო. შემდეგ მათი ურთიერთობა გაღრმავდა და 1951 წელს, სენ ტროპეში დასვენებისას, ჟენევიევის უამრავი სკეტჩიც დაიხატა. ეს წელი მათი რომანის პიკი იყო. მაშინ ჟენევიევი სულ 24 წლის გახლდათ. ამ ამბიდან ორიოდე წლის თავზე პიკასომ ლაპორტს ერთად ცხოვრება შესთავაზა - მხატვარი მარტო იყო, საყვარელმა ფრანსუაზ ჟილომ მიატოვა და განიცდიდა. ჟენევიევმა კი უარი უთხრა: "თქვენ დათანხმდებოდით? ერთ დილას ქალმა მიატოვა და მეორე დილას იმავე სახლში გადასვლა მე მთხოვა". ასე რომ, რომანი აღარ გაგრძელდა. ჟენევიევი 1959 წელს ერთ ფრანგ დოკუმენტალისტსა და პოეტზე დაქორწინდა, წელს კი, 79 წლის ასაკში, პიკასოსგან დარჩენილი ძვირფასი მოგონებებიც გასაყიდად გაიმეტა. ნახატების უმრავლესობას აქვს წარწერა: "ჟენევიევისთვის" - ანუ, აუქციონზე ყველაფერი ნამდვილი გავა.

სამეფო უბნის თეატრი
თბილისის I კლასიკური გიმნაზიის საბალეტო სტუდია
საინვესტიციო კომპანია A WORD წარმოგიდგენთ
გენერალური სპონსორი
25-26 ივნისი
საძაგელი იხვის ჭუჭული



დასაწყისი 17 და 19 სთ-ზე
მისამართი: გია აბესაძის №10
ტელ.: 92 38 70
თანადგომისთვის მადლობას ვუხდით სპონსორებს
პიკოვიტი Pikovit
KRKA კრკა
PSP ჯგუფი GMP
ნაბიჯ-ნაბიჯ მწვერვალისკენ

სწრაფად ხარისხიანად!
EUROCLEAN-SERVICE

შ.პ.ს. "EUROCLEAN-SERVICE" გთავაზობთ ბინებში, ოფისებში, კინოთეატრებში, კაზინოებში, საბილიარდოებში, ბენზინ-გასამართ სადგურებში, რესტორნებსა და სხვა დაწესებულებებში შემდეგი სახის მომსახურებას:

- ხალიჩების, ხალიჩების, ქვისა და მარმარილოს იატაკის რეცხვა-გაწმენდა.
- რბილი ავეჯის, საძინებლი გარნიტურის, მატრასებისა და ლოგინების სიღრმული წმენდა დასუფთავება.
- ფანჯრების, ვიტრინების და მინის კონსტრუქციების რეცხვა-გაწმენდა.
- ხის კედლების წმენდა გაპრიალება.
- მანქანის სალონის წმენდა.
- აუზებისა და ჯაკუზების წმენდა.
- კაფელის, მეტლახის და ლინოლეუმის წმენდა და გაპრიალება.
- ავეჯის რესტავრაცია.

მის. ლესელიძის ქუჩა - ყაველაშვილის შესახვევი №1 ტელ: 93 13 03,
მის. გურამიშვილის №64 (ავეჯის სავაჭრო ცენტრი) 893 13 29 98, 893 50 93 50
E-maile: Euroclean_service@posta.ge